

„ა (ა) იპ“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის

უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

კოჩალიძე მანარ

ტაბახმელას ხეობის ენობრივი თავისებურებები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - თალიკო ბერიძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,

პროფესორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

ტაბახმელას მეტყველების თავისებურებები

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ტაბახმელას ხეობის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვება და შესწავლა. შეკრებილი ლექსიკური ერთეულების როგორც ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური, ასევე ლექსიკოლოგიური კუთხითაც დაჯგუფება. ცოცხალი სასაუბრო მეტყველება ენის ყველაზე სწრაფად ცვალებადი ნაწილია. სწორედ, დიალექტების ლექსიკის კვლევა ხშირად წარმოაჩენს საიმედო მასალებს ქართველურ ენათა ნათესაობის მრავალი საკითხის დასადგენად.

შეკრებილი მასალის საფუძველზე ნაშრომში გაანალიზებულია ტაბახმელას მეტყველების თავისებურებანი.

თემა აქტუალურია, რადგან დღევანდელ პირობებში ყოველდღიურად მკვიდრდება ახალი სიტყვები და გამოთქმები, რის გამოც სასაუბრო ლექსიკა თითქმის შეცვლილია, რაც გაქრობის საშიშროებას უქადის ენას.

ადამიანის ლექსიკური ფონდი ამოუწურავია და მასზე დაკვირვება ისტორიული, თუ სამეცნიერო თვალსაზრისით, საინტერესო მასალას წარმოგვიდგენს. ვფიქრობთ, რომ საინტერესოა აღნიშნული ტიპის კვლევები აჭარული კილოს შესახებ სრულყოფილი სურათის წარმოსაჩენად.

ნაშრომში, წყაროებისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია დასკვნები, მოყვანილია მაგალითები.

ნაშრომი მოიცავს 56 ნაბეჭდ თაბახის ფურცელს, ანოტაციას (ქართულ და ინგლისურ ენაზე), შინაარსს, 4 თავს, დასკვნებსა და გამოყენებული ლიტერატურის დასახელებას.

Manar Kochalidze

Annotation

Speech peculiarities of Tabakhmela Valley

The object of our research is to observe and study live talk interaction of Tabakhmela Valley, phonetic, morphological and syntactic grouping of the collected lexical units, as well as sorting out from the lexicological point of view. Live speaking speech is the fastest changing part of the language. To be exact the research of the vocabulary of often provides reliable materials in order to determine many of the kinship of Kartvelian languages.

On the basis of the gathered material, the peculiarities of Tabakhmela's speech are analyzed in the work.

The topic is relevant, because in present conditions the new words and expressions are established in the everyday speech, this is why the vocabulary has almost been altered, which threatens with the disappearance of the language.

The human lexical foundation is inexhaustible and the observation of it is interesting material from a historical or scientific point of view. We think that it is interesting to describe these types of studies to illustrate the perfect picture of Adjarian speech manner.

Based on the analysis of the sources and research results, the relevant conclusions are made and the real examples are given in the work.

The work includes 56 pages of typed papers, annotation (in Georgian and English), the contents, 4 chapters, conclusions and the list of the used literature.

შინაარსი

1. შესავალი ————— 5 - 8
2. თავი I - ტაბახმელას ხეობის მეტყველების ზოგიერთი ფონეტიკური
თავისებურებები ————— 9 - 18
3. თავი II - ტაბახმელას ხეობის მეტყველების ზოგიერთი მორფოლოგიური
თავისებურებები ————— 19 - 31
4. თავი III - ტაბახმელას ხეობის მეტყველების ზოგიერთი სინტაქსური
თავისებურებები ————— 32 - 33
5. თავი IV - ტაბახმელას ხეობის ზოგიერთი ლექსიკური
თავისებურებები ————— 34 - 47
6. დასკვნები ————— 48 - 55
7. გამოყენებული ლიტერატურა ————— 56
8. დანართი ————— 57 - 128

შესავალი

აჭარა ერთ-ერთი ძირძველი კუთხეა საქართველოსი, რომელიც ძველთაგანვე დასახლებულია ქართველი ხალხის ეთნიკური ჯგუფით, კერძოდ, აჭარლებით. აქაური მკვიდრნი აჭარულ დიალექტზე მეტყველებენ. ენა ურთიერთგაგებინების საშუალებაა. ყოველი ცოცხალი ენა ცვალებადია. ეს ცვალებადობა ენის ტერიტორიული გავრცელების სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა მაშტაბითა და ნაირსახეობით ხდება. ენის სივრცული ნაირსახეობა დიალექტია. დიალექტი ძველ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: „მეტყველებას, წარმოთქმა, გამოთქმა, საუბარი, სამეტყველო მანერა, სტილი“, იგი ენათმეცნიერული ტერმინია და ერთი ენის ფარგლებში პოვნირი მეტყველების ნაირსახეობას გულისხმობს. დიალექტის ზუსტი ქართული შესატყვისი „კილოა“ [ჯორბენაძე, 1989.: 7].

აჭარული დიალექტი კი ერთიანი ქართული ენის ორგანული ნაწილია „ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი, ენობრივი თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანი კილოთაგანია, რომელმაც, ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და სრულყოფის საქმეში“ [ნოლაიდელი, 2013.: 3].

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ აჭარა სხვადასხვა დროს სხვადასხვა დამპყრობთა სათარეშო იყო. საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეს, იპყრობდნენ და ანადგურებდნენ არაბები, ოსმალები, სპარსელები.

მე-16 საუკუნის ბოლოს ჩვენი სამშობლოს ოდესღაც ერთი ყველაზე დაწინაურებული კუთხე - მესხეთი თურქთა ბატონობის ქვეშ მოექცა. თუმცა აჭარა თავგანწირული ბრძოლით ერთხანს კიდევ იგერიებდა კარზე მომდგარ მტერს, მაგრამ მე-17 საუკუნის დამდეგს ისიც ხელთ ჩაიგდო ვერაგმა მტერმა [ნიჟარაძე, 1961.:10].

თურქთა სამსაუკუნოვანმა და სხვა დამპყრობთა ბატონობამ, აჭარელთა მეტყველებაში, დაამკვიდრა ზოგიერთი უცხოური სიტყვა, თუმცა მას ორგანული კავშირი არ გაუწყვეტია ქართულ ენასთან და მის დიალექტებთან. შეინარჩუნა ძირითადი ლექსიკური ფონდი და საკუთარი გრამატიკული წყობა.

აჭარული კილო ახლა გავრცელებულია არა მარტო აჭარაში (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონები), არამედ ჩოხატაურის რ-ის (გურია) სამ სოფელში (ზოტი, ჩხაკაურა, ქვაბლა), სადაც ზემოაჭარიდან გადასახლებულან XIX ს-ის 70-80-იან წლებში. დღეისათვის აჭარული დიალექტი, გურიის გარდა, ისმის საქართველოს სხვა კუთხეებშიც (იმერეთი, მესხეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, თრიალეთი...), სადაც აჭარელთა მასობრივი ჩასახლება მოხდა. აჭარულ დიალექტზე მეტყველებენ, ასევე, აჭარულ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში (ინეგოლი, უნია, ფაცა, იზმირი, ამასია, ადანა და სხვა.) ცხოვრობენ [ნოლაიდელი, 2013.:3].

დღეისათვის ზემოაჭარულის შესახებ არაერთი სპეციალური გამოკვლევა მოგვეპოვება, აღსანიშნავია მ. ხუბუას შრომა „ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა“ (1932 წ), სადაც ავტორს სრულყოფილად აქვს აღწერილი ზემოაჭარულის რიგი თავისებურებანი.

დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული აჭარული კილოს შესწავლის საქმეში ჯ. ნოლაიდელს. მას გამოქვეყნებული აქვს „ნარკვევები აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“, (1933); „აჭარის ხალხური პოეზია“, (1936) და „აჭარა დიალექტოლოგიურად“, (1936). იგი თავის გამოკვლევაში ხშირად ცალკე გამოყოფს იმ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც

ზემოაჭარულისათვის (ავტორის თქმით: მთის აჭარულისათვის) არის დამახასიათებელი [ნიჟარაძე, 1961.: 13].

აჭარული დიალექტი შეისწავლა ე. ლომთათიძემაც: ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“, (1938) და „დამოკიდებულ წინადადებათა ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში“, (1946).

ი. მეგრელიძეს აჭარული კილოს შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის, რომელმაც გაარკვია არაერთი საკითხი განიხილა კრებულში ჩვენთვის საინტერესო დიალექტის ცალკეულ მოვლენათა შესახებ: „იაზიკ მიშლენიე“, (1950) , „მიცემითი ბრუნვისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში“, (1938) და „ლაზსკი ი მეგრელსკი სლოი ვ გურიისკომ“ (1938) [ნიჟარაძე, 1961.: 14].

აჭარის მკვიდრთა მეტყველების შესწავლას პ. ჯაჯანიძემ საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა: „აჭარული დიალექტის მორფოლოგიის საკითხები (ქედის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, 1959) და „აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი (ხულოს რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით“, 1960).

აჭარული კილო შეისწავლა შ. ნიჟარაძემ „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“ (1961), ავტორი თავის მონოგრაფიაში გამოყოფს ზემოაჭარული კილოსათვის დამახასიათებელ რიგ თავისებურებებს.

მხატვრულ ლიტერატურაში ჭ. ლომთათიძესთან, მ. ჭიჭინაძესთან და ბაქრაძესთან გვხვდება აჭარული მეტყველების არაერთი ნიმუში.

გ. ახვლედიანს, ვ. თოფურიას, ს. ულენტს, ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, შ. ძიძიგურს და სხვა აჭარული დიალექტის ცალკეულ მოვლენათა შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული .

აჭარული დიალექტი ცვლილებებს განიცდის, შიდა თუ საქართველოს სხვა რეგიონებში მიგრაციის, სხვა კუთხეებთან ურთიერთობის, სალიტერატურო ქართული ენის, საინფორმაციო საშუალებათა თუ სხვა მოქმედ ფაქტორთა ძლიერი გავლენის გამო, რაც ცვლის აჭარული დიალექტის აქამდე არსებულ ერთიან სახეს.

აჭარული კილოსათვის დამახასიათებელ ლინგვისტურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული სალიტერატურო ენისა თუ ისტორიული

დიალექტების და, საერთოდ, ქართულ ენაში მომხდარ ცვლილებათა პროცესების კვლევაში. აჭარული დიალექტი ერთ-ერთი საინტერესო საკვლევე ობიექტია ლექსიკის თვალსაზრისითაც, რადგანაც დიალექტების ლექსიკის კვლევა ხშირად წარმოაჩენს საიმედო მასალებს ქართველურ ენათა ნათესაობის მრავალი საკითხის დასადგენად. როგორც ვხედავთ, აჭარული დიალექტის შესახებ არსებობს მრავალი გამოკვლევა, გამოცემულია ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკონიც (ნიჟარაძე, 1971), თუმცა წლების განმავლობაში აჭარული დიალექტის დარგობრივად კვლევამ უამრავი ახალი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა, რომლებიც ელის თავის ადგილს საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ნაშრომის საკვლევ მასალას წარმოადგენს, ზემო აჭარის, სოფელ ტაბახმელას მცხოვრებთა ცოცხალი მეტყველების ნიმუშები. შეკრებილი მასალა მოიცავს ბუნებრივი საუბრის დროს ჩაწერილ ფრაზებს, დიალოგებს, ანდაზებს, ლექსებს, თქმულებას - გადმოცემებს, წეს-ჩვეულებათა, სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო საქმიანობათა აღწერას.

ჩვენი კვლევის ობიექტი, ტაბახმელას მცხოვრებთა მეტყველება, ყურადღებას იქცევს: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თვალსაზრისით.

საკვლევ მასალაში აღმოჩნდა ისეთ ლექსიკურ ერთეულთა ფენა, რომელიც საერთოა ქართველური ენებისათვის და ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ მოიპოვება ქართული ენის განმარტებით, შ. ნიჟარაძის, ალ. ლლონტის, ნ. ნოლაიდელის, ი. აბულაძის, ჩუბინაშვილის, ლექსიკონებში და არც სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონაში.

ვფიქრობთ, რომ ადამიანის ლექსიკური ფონდი ამოუწურავია და მასზე დაკვირვება ბევრ ისტორიულ თუ სამეცნიერო თვალსაზრისით საინტერესო მასალას წარმოაჩენს.

თავი I

ტაბახმელას ხეობის მეტყველების ფონეტიკური თავისებურებები

ზემო აჭარული ხასიათდება მდიდარი ფონეტიკური მოვლენებით. ჩვენი საკვლევი ობიექტი, ტაბახმელას მეტყველებაც, ფონეტიკური თავისებურებებით საინტერესოა სხვა კუთხის ცოცხალი სასაუბრო მეტყველების მსგავსად. აქაც გამოიყოფა ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერის დაკარგვის, გაჩენის და სხვა სახის ფონეტიკური პროცესები.

ტაბახმელას ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ფონეტიკურ პროცესთაგან ასიმილაცია ძალზე გავრცელებულია. გამოიყოფა როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაცია. საანალიზო მასალა გვიჩვენებს, რომ ფონეტიკური პროცესებიდან ყველაზე ხშირია პრევერბისეულ ხმოვანთა რეგრესული, სრული ასიმილაციის შემთხვევები.

განსაკუთრებულ მასიმილირებელ ძალას იჩენს „უ“ ხმოვანი, რომელიც სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ „ა, ე, ო“ და „ი“ ხმოვნებს. სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი იდენტური ხმოვანი შეერწყმის ერთმანეთს და იქმნება გრძელი „უ“-ს შთაბეჭდილება. ამ გზით მიღებულ „უ“-ს ახასიათებს ერთგვარი დაყოვნება.

უმთავრესად, შემდეგ სახეობებს გვაძლევს პრევერბთა ხმოვნითი ელემენტების ასიმილაციასთან დაკავშირებული ბგერათცვლილებანი:

აუ → ოუ → უუ

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ასიმილაცია რეგრესულია და სრული: გ უ უ შ ვ ე ბ ს (გაუშვებს); გ უ უ ს ნ ო რ დ ე ბ ო დ ა (გაუსწორდებოდა); გ უ უ დ უ ღ ე ბ დ ა (გაუღუღებდა); გ უ უ გ ზ ა ვ ნ ა (გაუგზავნა); გ უ უ ძ ლ ო (გაუძლო); გ უ უ კ ე თ ე ბ დ ნ ე ნ (გაუკეთებდნენ); გ უ უ რ ბ ე ნ ე ნ (გაურბენენ); გ უ უ ს ი ნ ჯ ე ო (გაუსინჯეო); გ უ უ შ ვ ი (გაუშვი); გ უ უ ხ მ ე ს (გაუხმეს); დ უ უ ნ ა ხ ი ა (დაუნახია); დ უ უ რ ი გ ა (დაურიგა); დ უ უ ბ ე რ ა ვ დ ა (დაუბერავდა); დ უ უ ს კ დ ე ბ ა (დაუსკდება); დ უ უ დ ე ბ დ ე ნ (დაუდებდნენ); დ უ უ ხ უ რ ვ ე ლ ო ბ ა (დაუხურველობა); დ უ უ ლ ო ც ე ვ დ ნ ე ნ (დაულოცევდნენ); დ უ უ ბ უ ღ ე ბ დ ე ნ (დაუბუღებდნენ); დ უ უ მ უ შ ა ვ ე ბ ე ლ ი (დაუმუშავებელი); დ უ უ ნ ე ვ დ ი (დაუნევდი); დ უ უ ლ ა პ ა რ ი კ ე ბ ე ლ ი (დაულაპარიკებელი); დ უ უ ნ გ რ ე ვ ი ა (დაუნგრევია); ჩ უ უ დ ე (ჩაუდე); ჩ უ უ მ ა ტ ე (ჩაუმატე); ჩ უ რ ე ვ დ ე ნ (ჩაურევდნენ).

ზემოთ მოყვანილ ასიმილაციის შემთხვევებში „უ“ უკანამავალი ხმოვანი გავლენას ახდენს წინამავალ „ა“ ხმოვანზე და სრულად იმსგავსებს. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ხეობის მეტყველებაში ტენდენციაა ზმნისწინისეული ხმოვნის შეცვლა.

გამოიყოფა ასიმილაციის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „უ“ ხმოვანი გავლენას ახდენს წინამავალ „ე“-ზე, „ი“-სა და „ო“-ზე ხმოვნებზე და სრულად იმსგავსებს მათ. მაგ.:

ეუ → ოუ → უუ : შ უ უ რ ე ვ დ ნ ე ნ (შეურევდნენ); შ უ უ რ ი გ დ ე ს (შეურიგდეს); შ უ უ კ ე რ ე ვ დ ე ნ (შეუკერავდნენ); შ უ უ ძ რ ა ო (შეუძრაო); შ უ უ ჯ ა მ ი ა (შეუჯამია).

იუ → უუ : მ უ უ ნ ე რ ა ო (მიუნწერა); მ უ უ ტ ა ნ ე ს (მიუტანეს); მ უ უ ს ლ ე ლ ი (მიუსვლელი).
ოუ → უუ: ა მ უ უ ლ ე ბ დ ა (ამოუღებდა); ა მ უ უ გ ლ ი ჯ ო ს (ამოუგლიჯოს);
გ ა მ უ უ რ ჩ ი ა (გამოურჩია); გ ა მ უ უ ვ ა (გამოუვა); გ ა მ უ უ შ ვ ა თ (გამოუშვათ);
მ უ უ ა რ ე (მოუარე); მ უ უ კ დ ა (მოუკვდა); მ უ უ ლ ო ბ ა ვ შ ი (მოულობავში);
მ უ უ ნ ი ა (მოუნია); მ უ უ ყ ვ ა (მოუყვა); მ უ უ ხ დ ა ო (მოუხდაო); მ უ უ წ უ რ ა ვ დ ი (მოუნწურავდი);
მ უ უ ვ დ ო დ ე ნ (მოუვდოდნენ).

ჩვენს საკვლევ მასალაში ხშირია პრევერბისეულ „ა,ე“ ხმოვნებისა და ზმნის ქცევის ნიშნის „ი“ ხმოვანთა სრული ასიმილაციის მაგალითები, როცა მათ შორის ობიექტური პირის პრეფიქსებია, აქაურთა მეტყველებაში I და II ობიექტური პირის ნიშნები „მ-, გ-, გვ-“ დაბრკოლებას ვერ ქმნის ასიმილაციისათვის. „ი“ ხმოვანი იმსგავსებს ზემოთ დასახელებულ „ა, ე,“ პრევერბისეულ ხმოვნებს და ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას.

ა+ი>ი-ი : ი გ ვ ი შ ე ნ ე ს (ავვიშენეს); ი გ ვ ი ხ ი ლ ე ს (ავვიხილეს); ი მ ი შ ე ნ ე ს (ამიშენეს).

გა+ი>გი-ი: გ ი მ ი ა რ ს (გამიარს); გ ი მ ი კ ვ ი რ დ ა (გამიკვირდა); გ ი მ ი ნ ი ა (გამინია);
გ ი მ ი ხ ა რ დ ა (გამიხარდა); გ ი მ ი ქ ნ ი ა (გამიქნია); გ ი მ ი ჩ ლ ა გ ნ ა (გამიჩლაგნა);
გ ი მ ი შ ვ ა ნ (გამიშვან); გ ი გ ი ზ დ ი ს ო (გაგიზრდისო); გ ი გ ი კ ე თ ე ბ ს (გაგიკეთებს);
გ ი გ ი რ ე ც ხ ე ვ დ ე ნ (გაგირეცხევდნენ); გ ი გ ვ ი ა რ ა (გაგვიარა); გ ი გ ვ ი ბ ე მ დ ე ნ (გაგვიბემდნენ);
გ ი გ ვ ი შ ვ ე ს (გაგვიშვეს); გ ი გ ვ ი ხ ა რ დ ე ბ ო დ ა (გაგვიხარდებოდა).

და+ი>დი-ი: დ ი მ ი რ ე კ ა (დამირეკა); დ ი მ ი ნ ა ხ ა ვ ს (დამინახავს); დ ი მ ი ნ თ ი ა (დამინთია);
დ ი მ ი რ გ ვ ი ა (დამირგვია); დ ი მ ი ყ ა რ ე ს (დამიყარეს); დ ი გ ი ძ ა ხ ე ბ ე ნ (დაგიძახებენ);
დ ი გ ი შ ვ ე ბ დ ნ ე ნ (დაგიშვებდნენ); დ ი გ ი ნ ა ხ ო (დაგინახო); დ ი გ ი ბ ა მ (დაგიბამ);
დ ი გ ი ბ რ უ ნ ე ბ ე ნ ო (დაგიბრუნებენო); დ ი გ ი შ ვ ე ს (დაგიშვეს); დ ი გ ვ ი ყ რ ი დ ე ნ (დაგვიყრიდნენ);
დ ი გ ვ ი რ ი გ ე ბ დ ნ ე ნ (დაგვირიგებდნენ); დ ი გ ვ ი ძ ა ხ ე ბ დ ნ ე ნ (დაგვიძახებდნენ);
დ ი გ ვ ი დ გ ე მ დ ე ნ (დაგვიდგემდნენ); დ ი გ ვ ი ტ ი ე თ (დაგვიტიეთ).

ჩა+ი>ჩი-ი: ჩ ი მ ი ყ ვ ა ნ დ ა (ჩამიყვანდა); ჩ ი მ ი თ ლ ი (ჩამითვლი); ჩ ი მ ი ყ ა რ ა (ჩამიყარა); ჩ ი მ ი დ ვ ა (ჩამიდვა); ჩ ი გ ი ყ რ ი ა (ჩაგიყრია); ჩ ი გ ვ ი ბ ა რ ა (ჩაგვიბარა).

წა+ი>წი-ი: წ ი მ ი ვ დ ა (წამივიდა); წ ი მ ი ჭ ი რ ე ბ ს (წამიჭირებს); წ ი გ ვ ი ყ ვ ა ნ ე ს (წაგვიყვანეს)

შე+ი>ში-ი: შ ი მ ი ძ ლ ი ა (შემიძლია); შ ი მ ი ნ ა ხ ა (შემინახა); შ ი მ ი კ ე რ ე ლ (შემიკერეო); შ ი გ ი ყ ვ ა ნ ე ს ლ (შეგიყვანესო); შ ი გ ა ტ ყ ო ბ ი ე ბ დ ი (შეგატყობიებდი); შ ი გ ი ძ ლ ი ა (შეგიძლია); შ ი გ ი ლ ო ც ა ვ (შეგილოცავ); შ ი გ ვ ი ნ ა ხ ე (შეგვინახე).

ჩვენს საკვლევ ობიექტზე ხმოვანთა ნაწილობრივ ასიმილაციას ადგილი აქვს პრევერბისეულ და ქცევის ნიშნის ან ძირის ხმოვნებს შორის. მაასიმილირებელ ხმოვანად გვევლინება „ი“, ასიმილაციის შედეგად მიღებული „ე“ (-ო,-ა) გავლენას ახდენს „ი“ ხმოვანზე და გ-მდე ასუსტებს.

აი → ეი : ე ი ლ ე ბ დ ე ნ (აილებდნენ); გ ე ი ქ ც ა (გაიქცა); გ ე ი ლ ე ნ კ ე ბ ა (გაილენკება); გ ე ი კ ე თ ა (გაიკეთა); გ ე ი ა რ ა (გაიარა); გ ე დ ე ი ტ ა ნ ს (გადაიტანს); დ ე ი ნ ა ხ ა (დაინახა); დ ე ი ხ ა რ ჯ ო დ ა (დაიხარჯებოდა); დ ე ი ხ ვ ი ე (დაიხვიე); დ ე ი წ ა მ ლ ა (დაინამლა); ჩ ე ი ც ვ ა მ ს ო (ჩაიცვამსო); ჩ ე ი ტ ა ნ დ ა (ჩაიტანდა); ჩ ე ი რ ბ ი ნ ა (ჩაირბინა); წ ე ი ყ ვ ა ნ დ ა (წაიყვანდა); წ ე ი ლ ე ბ დ ა (წაილებდა); წ ე ი თ ა რ ა (წაიფარა).

ოი → ეი: გ ა მ ე ი მ ს ო (გამოივსო); მ ე ი ტ ა ნ ა (მოიტანა); მ ე ი ც ლ ი დ ა (მოიცლიდა); მ ე ი წ ა დ ი ნ ა (მოინადინა); მ ე ი ხ ა რ შ ო დ ა (მოიხარშებოდა); მ ე ი ჭ რ ი დ ე ნ (მოიჭრიდნენ); მ ე ი ტ ა ნ დ ე ნ (მოიტანდნენ); მ ე ი ლ ა ლ ა (მოილალა); ჩ ა მ ე ი ყ ვ ა ნ ე ს (ჩამოიყვანეს); ჩ ა მ ე ი ტ ა ნ ა (ჩამოიტანა); წ ა მ ე ი ლ ე ბ (წამოილებ).

აქაურთა მეტყველების სპეციფიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ი“ თავსართთან (იქნება ეს ქცევის ნიშანი თუ საწარმოებელი) პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ, I პირის ფორმაში „ი“ ხმოვნის უკვალოდ გაქრობა:

გ ა დ მ ე ვ ბ ა რ გ ე თ (გადმოვიბარგეთ); გ ე ვ ნ ა ნ ი ლ ე თ (გავინაწილეთ); გ ე
დ ე ვ ხ ა დ ე თ (გადავიხადეთ); გ ე ვ ხ ს ე ნ ო (გავიხსენო); გ ე ვ ქ ნ ი ე (გავიქნიე);
დ ე ვ ს ნ ა ვ ლ ე (დავისწავლე); დ ე ვ ძ ი ნ ე ბ დ ი (დავიძინებდი); დ ე ვ ნ ა ხ ა ვ
(დავინახავ); ე ვ შ ე ნ ე (ავიშენე); მ ე ვ შ ე ნ ე (მოვიშენე); მ ე ვ ტ ა ნ ე ო (მოვიტანეო); შ
ე ვ ძ ი ნ ე (შევიძინე); წ ე ვ ლ ე (წავილე).

მსგავს ვითარებაში ძირისეული „ი“-ც იკარგება „ვიდ“ ფუძიან ზმნაში: გ ა მ ო ვ
დ ა (გამოვიდა); გ ე ვ დ ო დ ა (გავიდოდა); ე ვ დ ო დ ი თ (ავიდოდი); ე ვ დ ა
(ავიდა); მ ო ვ დ ა (მოვიდა); შ ა მ ო ვ დ ა (შემოვიდა); წ ე ვ დ ო დ ა (წავიდოდა).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში „ო“ ხმოვანი „მ“-ს გავლენით იქცა „უ“-დ:

ახლა რ უ მ (//რუმე, რუმენ, რომ), იმფო მაგარი სისუფთეა, ისე არ იყო.

ს ა ლ უ მ ე (სალომე), მაქ ემენებია შერთებული, გამოი, გამოი ერთი ჰა გამოძრა ...

დაგვა-დასუფთვა მაზეა, მათ ა დ გ უ მ ა მ დ ე (ადგომამდე) მიმუალავებს.

ტაბახმელას მეტყველებაში თანხმოვანთა ასიმილაციის შემდეგი შემთხვევები
დასტურდება. აქ უფრო რეგრესული ასიმილაციაა გავრცელებული, რომელიც
ნაწილობრივია და დისტანციური, ასიმილაციას ადგილი აქვს როგორც წარმოების
ადგილის, ისე ბგერათა გვარობის მიხედვით.

ბ —> ფ: შ ა ფ ა თ (შაბათს); ო თ ხ შ ა ფ ა თ (ოთხშაბათი); ხ უ თ შ ა ფ ა თ
(ხუთშაბათი); ჯ ი ფ ი ე ბ შ ი (ჯიბიებში). ფ —> ჰ: ფშვინიერი „ფ“ ბგერა ყრუ „ტ“-სთან
შორეულ მეზობლობაში გამკვეთრდება და მოგვცემს „ფ“-ს მკვეთრ ვარიანტს -
აბრუპტივ „ჰ“-ს: დ ე ვ ჰ ა ნ ტ ო თ (დავიფანტოთ); კ ა მ ჰ ე ტ ი (კანფეტი).

დ —> ტ; ყრუ ბგერებთან მეზობლობაში „დ“ ყრუვდება და „ტ“-ს გვაძლევს ყრუ
ბგერებთან მეზობლობაში მიმართულების მიხედვით აქ ზოგჯერ პროგრესული
ასიმილაციაც დასტურდება [შ. ნიჟარაძე, 1961.: 34].

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია როგორც გაარკვია ბ. ფოჩხუამ
დასავლურ დიალექტებს ახასიათებს და ის შენიშნავს რომ ეს მოვლენა აქ
სპორადულია როგორც იმერხეულში [ბ. ფოჩხუა, 1939.: 187].

მაგ. ს კ ლ ა ტ შ ი (სკლადში); ა ვ ა მ ტ ყ ო ფ ე ბ ი (ავადმყოფები).

ასეთივე პროცესის შედეგად მიღებულად თვლის შ. ნიჟარაძე ავატყოფი (ავანტყოფი), დავანტყოფა, სადაც იქმნება ქართულისათვის ბუნებრივი ბგერათკომპლექსი „ტყ“, ოღონდ ასიმილაციამდე, როგორც ეს ცნობილია ლიტერატურაში, თავს იჩენს მეტათემის-სუბსტიტუცია [ნიჟარაძე, 1961.:35]. ეს ფორმა ჩვენს საკვლევ ტექსტებშიც დასტურდება: დ ა ვ ა ტ ყ ო ფ ა (დაავადამყოფა).

გ → კ, ქ მეორე ობიექტური პირის ნიშანი „გ“ ყრუ ბგერებთან მეზობლობაში დაყრუების შედეგად „ქ“-დ ან „კ“-დ იქცევა. ასევეთივე პირობებში ასიმილირდება ობიექტი პირველი პირის „გვ“ პრეფიქსის „გ“ ელემენტი: დ ა ქ ც ვ ი ნ დ ე ბ ა ო (დაგცვინდებაო); მ ო ქ ც ე მ ო (მოგცემო); დ ა კ ვ ტ ი ო ს (დაგვტიოს). კ → ქ მკვეთრი „კ“-ს გაფშვინიერებით „ქ“-ს მიღების შემთხვევა აქაურთა მეტყველებაში ასეთ ფრაზაში დადასტურდა „აქომკა“, რომელიც ჩვენს მიერ მოძიებულ ტექსტებში კომპოზიტის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია: კარ - ა ქ ო შ კ ა (კარ-აკომკა). ც → ზ; რიცხვით სახელებში ო ზ დ ა ე რ თ ი (ოცდაერთი); ო რ მ ო ზ დ ა თ ო რ მ ე ტ ი (ორმოცდათორმეტი); ო ზ დ ა თ უ თ ხ მ ე ტ ი (ოცდათხუთმეტი), როგორც მაგალითებიდან ჩანს სისინა აფრიკატი „ც“ მჟღერ „დ“-ს წინ მოქცევის შედეგად მჟღერ სპირანტ „ზ“-ს გვაძლევს. ეს პროცესი დასტურდება „და-თი“ შეერთებულ რიცხვით სახელებში, რომლის კომპონენტად „ოც-ია“ ნავარაუდევია. ს → შ; აქაურთა მეტყველებაში „ს“ სისინა თანხმოვანის, ყრუ ბგერებთან მეზობლობაში, „შ“-დ ქცევის შემთხვევებშიც დადასტურდა: გ ა შ ი ნ ჯ ა ვ (გასინჯავ); შ კ ო ლ ა (სკოლა); შ ჭ ა მ ს (სჭამს).

ტაბახმელას მეტყველებაში ბგერათა განმსგავსების მოვლენები ისე არაა გავცელებული, როგორც მგერათა დამსგავსებისა.

„რ“-ს დისიმილაცია მოუდის - ჯერ ნაწილაკდართულ ისეთ სახელებში რომელთა ძირში (ფუძეში) „რ“ არის: ზ ო გ ჯ ე ლ (ზოგჯერ); რ ა მ ი თ ჯ ე ლ (რამითჯერ, რამდენჯერ); შ ვ ი დ ჯ ე ლ (შვიდჯერ); ხ უ თ ჯ ე ლ (ხუთჯერ).

ხმოვანთა დისიმილაციიდან ყურადღებას იქცევს ჩვენი საკვლევ ობიექტისთვის დამახასიათებელი შემდეგი შემთხვევები, როდესაც დისიმილაცია მოუდის პრევერბისეულ (ა) ხმოვანს ფუძისეულ ხმოვნებთან:

გ ი ე ყ ი დ ე ს (გაეყიდეს); გ ი ე თ ხ უ ე ბ ო დ ი (გაეთხუებოდი); დ ი ე ლ ა პ ა რ ი კ ე ბ ო დ ი (დაელაპარაკებოდი); დ ი ე მ ა რ თ ა (დაემართა); ჩ ი ე წ ყ ე ს (ჩაეწყეს); წ ი ე ლ ო (წაელო); გ ა მ ი ე კ ი დ ე (გამოეკიდე); მ ი ე წ ო ნ ა (მოეწონა); მ ი ე მ ს ა ხ უ რ ე (მოემსახურე).

დისიმილაციის მაგალითები დადასტურდა სახელებშიც მრავლობითი რიცხვის - „ებ“ ფორმანტის „ე“ ხმოვანსა და ფუძის ბოლოკვიდურ - „ე“-სა და „ა“ ხმოვნებს შორის:

დ ლ ი ე ბ შ ი (დღეებში); ი ა კ ო ბ ა ძ ი ე ბ შ ი (იაკობაძეებში ტოპ. სახ.); კ ი ბ ი ე ბ ი (კიბეები); ო ფ ი ე ბ ი ს (ოფეების); ს ა ქ მ ი ე ბ ი (საქმეები); ტ ყ ი ე ბ შ ი (ტყეებში); ლ ა მ ი ე ბ შ ი (ლამეებში); ლ ე ლ ი ე ბ შ ი (ლელეებში); ყ ა ვ ი ე ბ ს (მუავეებს); გ ზ ი ე ბ ი (გზები); თ ი ე ბ ი (მთები); ც ი გ ი ე ბ ი (ციგები).

ტაბახმელას მეტყველებაში დასტურდება ანალოგიის შემთხვევაც:

ა მ ტ ო ნ ე თ ი, ი მ ტ ო ნ ე თ ი მოცემულ შემთხვევაში -**ეთ** სუფიქსი მიღებული ჩანს **ასეთ**-ისა და **მასეთ**-ის გავლენით:

ერთი მიხველ, ათი მიხველ, მიეწყინება ა მ ტ ო ნ ე თ ი მოვდაო და გიგიკეთებს საქმეს, აბა; ოჯალში არ აქ ი მ ტ ო ნ ე თ ი ხალხს, რა ქნან.

ტაბახმელას მეტყველებაში დადასტურდა მეტათეზისის შემთხვევები, იგი შეინიშნება სონორულ თანხმოვნებთან, გვაქვს თანხმოვანთა ახლოური და კონტაქტური გადსმის მაგალითები:

თანხმოვნის მეტათეზისს ადგილი აქვს ახლოურ პოზიციაში.

გ ა ბ ლ ე ნ ე ბ ე უ ლ ი (გაბნელებული); ბ ლ ე ნ ა (ბნელა); ბ ლ ე ნ ე თ ა შ ი (ბნელეთაში); გ ა ვ ა ნ ო რ ი ე ბ დ ი თ (გავარონიეთ); ზ რ უ გ შ ი (ზურგში); მ ი ბ ლ ე ნ დ ე ბ ა (მიბნელდება); ჭ უ რ ჭ უ ტ ა ნ ე ბ შ ი (ჭუჭრუტანებში).

თანხმოვანთა კონტაქტური გადასმაა ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში:

მ ა ხ ს რ ო ბ ა (მასხრობა); გ ა ვ ს ხ ე ნ ი თ (გავსენით); მ ა ს ხ ე ნ დ ე ბ ა (მასენდება).

ბგერათშენაცვლება ტაბახმელას ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული. ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც თანხმოვნები, ასევე ხმოვნები:

ვ → **ბ**: კბილბაგისმიერ „ვ“- ს ენაცვლება წყვილბაგისმიერი „ბ“. მაგ.: ე რ ა ციცაია თმიების **დ ა ბ ა რ ც ხ ნ ა** (დავარცხნა) არ უყვარს. **ვ** → **მ**: ამავე „ვ“- ს სხირად ენაცვლება „მ“: მაგ.: ე კ ა ბ ა ცოტა **მ ი ნ რ ო ა** (ვინროა) და ვერ მეფხვიე, ერთი მეორე კაბანა ჩევცვა; ეიდა აჰა მაშინდელი **გ ა მ ლ ი ლ ი** (გავლილი) ვარ. **ღ** → **ტ**: წინაენისმიერ ხშულმსკდომ „ღ“- ს ენაცვლება ამავე წარმოების მკვეთრი „ტ“, შენაცვლების შედეგად ოდენ-ფუძიანი სიტყვები წარმოდგენილია შემდეგნაირად: **ი მ ტ ო ნ ზ ე** (იმლონზე, იმდენზე); **რ ა მ ტ ო ნ ი ნ ა** (რამლონინა, რამდენინა); **მ ა გ ტ ო ნ ი** (მაგლონი, მაგდენი); **ნ** → **ლ**: არტიკულაციურად მონათესავე წინაენისმიერი ბგერები **ნ** და **ლ** ენაცვლებიან ერთმანეთს: **ლ ე მ ს ი** (ნემსი); **მ** → **ნ**: ერთიმეორეს ცვლის ნაზალური თანხმოვნები: **გ ა ნ ხ დ ა რ ა** (გამხდარა); **დ ა ნ თ ა ვ რ ე ბ ე ლ ი** (დამთავრებული). გვხდება „ნ“- სა და „მ“- ს მონაცვლეობა: **რ ა ტ ო ნ** (რატომ).

კ → **ყ**: მკვეთრ „კ“- ს ენაცვლება „ყ“: **ყ ა რ თ ო ფ ს** (კართოფილს); **წ ყ ე ჰ ლ ე ბ ს** (წვეჰლებს); **ს** → **ჰ**: სპირანტ „ს“- ს ენაცვლება ხორხისმიერი ყრუ სპირანტი „ჰ“: **ჰ ა ც ხ ა** (საცხა); **ჰ ა დ** (სად); **ჰ** → **ბ**: **კ ა ბ ი კ ე ბ ი** (კაპიკები); **რ** → **ლ**: მუღერ ვიბრანტ „რ“- ს ენაცვლება ლატერალი „ლ“; **ბ ე ლ კ ე ბ ი** (ბურკები).

სმოვანთა სუბსტიტუცია

ო → **უ**: **კ ა ნ უ ნ ი** (კანონი); **დ ა რ უ შ კ ე ბ ი** (დაროშკები). **ა** → **ე**: **ნ ე ვ თ ს** (ნავთს). **უ** → **ი**: **ი მ ფ ო** (უმფო). **ო** → **ა**: **კ ა ნ ვ ე რ ტ ე ბ ა დ** (კონვერტებად).

ჩვეულებრივია, თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები ტაბახმელას ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისთვის. სხირია „რ“ თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევები, როგორც სიტყვის დასაწყისში, ასევე სიტყვის ფუძეში:

მაგ.: ყვეილამფერი მარაგი იყო, კარაქ აჭმევდენ, ჩაი, ყველი, თუ **ძ ე ს** (რძეს) მეიტანდნენ ქაშ გაკეთებდნენ; თავრობა **კ ძ ა ლ ე ვ დ ა** (კრძალევდა) ბოლოხან ამფერ აშენებულ სახლებს; **ნ უ ვ ი ს** (ნურვის) სამარ ნუ დაგვტევ; ცისარტყელას კბილები არნა დანახო, რომ მალე დაქცვინდებო, ვინ **უ ფ თ ხ ი ლ დ ე ბ ა** (უფრთხილდება) ახლა მაგას; ასე შეკერევიდი ფეშტამალ, მაშინდელი ხალხი **ჯ ა მ თ ე ლ ი** (ჯანმრთელი) იყო, ზამთარ ზაფხულ ეხვივნენ წელზე; შვიდმაისის წვიმა მადლია, თმას **გ ი გ ი ზ დ ი ს ო** (გაგიზრდისო).

„ფერ“ კომპონენტთან უარყოფით ნაცვალსახელებში „რ“ გაუჩინარდება „ა“-სთან ერთად (რა): მაგ. მეგენი ა ფ ე რ ი (არაფერი) მასხენდება; ვ ე ფ ე რ ი (ვერაფერი) მევეგონე.

დასტურდება „მ“ - ს დაკარგვის შემთხვევებიც სიტყვის დასაწყისსა და ფუძეში: თ ა ვ რ ო ბ ა (მთავრობა); ზ ა რ ე ვ ლ ი (მზარეული); ს ხ ა ლ ი (მსხალი); ჟ ა ვ ი ე ბ ს (მჟავეებს); ს ი ჯ ა ნ თ ე ლ ე (სიჯანმრთელი). იკარგება „ნ“: ჯ ა მ თ ე ლ ი (ჯანმრთელი).

დაკარგვის საპირისპირო პროცესია ბგერის განვითარება. უპირატესად , ჩვენს საკვლევ ტექსტებში დასტურდება „მ, ნ“ სონორული ბგერების განვითარება: ყ ვ ე ი ლ ა მ ფ ე რ ი (ყველაფერი); მ ო ქ ს ო ვ ნ ი ლ ი (მოქსოვილი).

გვხდება „ვ“- ს გაჩენის შემთხვევებიც: გ ვ ა რ უ ქ ვ ე (გვაჩუქე); გ ვ ა ნ ა ხ ვ ე ს (გვანახეს); ე ქ ვ ს კ უ რ ს ი ა ზ ე (ექსურსიაზე); გ ა გ ა ს ი ნ ჯ ვ ო (გაგასინჯო).

აქაურთა მეტყველებაში დამახასიათებელია სრულხმოვნობა, რაც ზოგადად დამახასიათებელია აჭარული დიალექტისათვის. აღსანიშნავია, რომ თანხმოვანთა თავმოყრის დროს ჩნდება „ი“ ხმოვანი: თ ი ბ ი ლ ი (თბილი); კ ი ბ ი ლ ე ბ ი (კბილები); კ ი ლ დ ი ე ბ შ ი (კლდეებში); ზ ი რ ი კ ლ ი (ზირკლი).

ამგვარად, საკვლევა მასალამ გვიჩვენა, რომ აქაურთა მეტყველებისათვის ისევე, როგორც ზოგადად აჭარული მეტყველებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია რეგრესული, სრული ასიმილაცია. მაგ.: გ უ უ შ ვ ე ბ ს (გაუშვებს); გ უ უ ს ო რ დ ე ბ ო დ ა (გაუსწორდებოდა); დ უ უ ს კ დ ე ბ ა (დაუსკდება); შ უ უ რ ე ვ დ ნ ე ნ (შეურევდნენ); მ უ უ ტ ა ნ ე ს (მიუტანეს); გ ა მ უ უ რ ჩ ი ა (გამოურჩია).

დასტურდება პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრული ასიმილაციის მაგალითები სადაც ობიექტური პირის პრეფიქსები „მ-, გ-, გვ-“ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ქმნის ასიმილაციისათვის. მაგ.: გ ი მ ი ა რ ს (გამიარს); გ ი მ ი კ ვ ი რ დ ა (გამიკვირდა); დ ი მ ი რ ე კ ა (დამირეკა); შ ი გ ი ძ ლ ი ა (შეგიძლია); შ ი გ ი ლ ო ც ა ვ (შეგილოცავ); შ ი გ ვ ი ნ ა ხ ე (შეგვინახე); ი გ ვ ი შ ე ნ ე ს (ავვიშენეს).

დასტურდება ხმოვანთა რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციის დამადასტურებელი ფორმები. მაგ.: ე ი ლ ე ბ დ ე ნ (აილებდნენ); გ ე ი ქ ც ა (გაიქცა);

დ ე ი ხ ა რ ჯ ო დ ა (დაიხარჯებოდა); გ ა მ ე ი მ ს ო (გამოიმსო); მ ე ი ტ ა ნ ა (მოიტანა).

გვხდება „ი“ თავსართთან პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ (ი-ს) უკვალოდ გაქრობა I პირის ფორმაში. მაგ.: გ ა ღ მ ე ვ ბ ა რ გ ე თ (გადმოვიბარგეთ); გ ე ვ ნ ა ნ ი ლ ე თ (გავინაწილეთ); გ ე ღ ე ვ ხ ა ღ ე თ (გადავიხადეთ).

გვაქვს ძირისეული „ი“-ს დაკარგვის შემთხვევები „ვიდ“ ფუძიან ზმნაში. მაგ.: გ ა მ ო ვ ღ ა (გამოვიდა); ე ვ ღ ო ღ ი თ (ავიდლოდით); წ ე ვ ღ ო ღ ა (წავიდლოდა).

სისტემებრ ისმის „მ“-ს მეზობლობაში „ო“-ს „უ“-დ ქცევის შემთხვევები. მაგ.: რ უ მ (რომ); ს ა ლ უ მ ე (სალომე); ა ღ გ უ მ ა მ ღ ე (აღგომამღე).

აქაურთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთ ასიმილაციის მაგალითებიც. მაგ.: შ ა ფ ა თ (შაბათს); კ ლ ა ტ შ ი (სკლადში); დ ა კ ვ ტ ი ო ს (დაგვტიოს); ა ქ ო შ კ ა (აკოშკა).

„რ“-ს დისიმილაცია მოულის „ჯერ“ ნაწილაკდართულ სახელებში, რომელთა ფუძეში „რ“ არის. მაგ.: ზ ო გ ჯ ე ლ (ზოგჯერ); შ ვ ი ღ ჯ ე ლ (შვილჯერ); გვხვდება ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევებიც: მაგ.: გ ი ე ყ ი ღ ე ს (გაეყიდეს); გ ი ე თ ხ უ ე ბ ო ღ ი (გაეთხუებოდი); ჩ ი ე წ ყ ე ს (ჩაეწყეს); გ ა მ ი ე კ ი ღ ე (გამოეკიდე); მ ი ე წ ო ნ ა (მოეწონა).

ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები გვხდება „ა“-სა და „ე“-ზე დაბოლოებულ სახელებშიც. მაგ.: დ ღ ი ე ბ შ ი (ღღეებში); ტ ყ ი ე ბ შ ი (ტყეებში); ღ ა მ ი ე ბ შ ი (ღამეებში); გ ზ ი ე ბ ი (გზები); თ ი ე ბ ი (მთები); ც ი გ ი ე ბ ი (ციგები).

დასტურდება ანალოგიის შემთხვევებიც. მაგ.: ამტონეთი, იმტონეთი.

გამოვლინდა თანხმოვანთა მეტათემზისის, როგორც ახლოური ისე კონტაქტური გადასმის მაგალითები. მაგ.: გ ა ბ ლ ე ნ ე ბ უ ლ ი (გაბნელებული); გ ა ვ ა ნ ო რ ი ე ბ ო თ (გავარონიებდით); მ ა ხ ს რ ო ბ ა (მასხრობა); გ ა ვ ს ხ ე ნ ი თ (გავხსენით). ადგილი აქვს ხმოვანთა სუბსტიტუციასაც. მაგ.: კ ა ნ უ ნ ი (კანონი); დ ა რ უ შ კ ე ბ ი (დაროშკები); ი მ ფ ო (უმფო).

ტაბახმელას მეტყველებაში ხშირია ბგერათა დაკარგვის შემთხვევები როგორც სიტყვის თავში, ასევე შუაში. ძირითადად სონორ თანხმოვნებს მოულის. მათგან ყველაზე ხშირად იკარგება „რ“ თანხმოვანი, სიტყვის ფუძესა და დასაწყისში. მაგ.: კ ძ ა

ლ ე ვ დ ა (კრძალევდა); გ ი გ ი ზ დ ი ს ო (გიგიზრდისო); ძ ე ს (რძეს). ასევე იკარგება „მ“, როგორც სიტყვის თავში, ასევე სიტყვის ფუძეში. მაგ.: თ ა ვ რ ო ბ ა (მთავრობა); ს ხ ა ლ ი (მსხალი); ს ი ჯ ა ნ თ ე ლ ე (სიჯანმრთელე); გვაქვს „ნ“-ს დაკარგვის შემთხვევაც. მაგ.: ჯ ა მ თ ე ლ ი (ჯანმრთელი).

დადასტურდა ბგერის დაკარგვის საპირისპირო პროცესი, ბგერის გაჩენა.: მაგ.: ყ ვ ე ი ლ ა მ ფ ე რ ი (ყველაფერი); მ ო ქ ს ო ვ ნ ი ლ ი (მოქსოვილი); გ ვ ა ჩ უ ქ ვ ე (გვაჩუქე).

როგორც მაგალითებიდან ირკვევა ტაბახმელას მეტყველებაში დაცულია სრულხმოვნობა. მაგ.: თ ი ბ ი ლ ი (თბილი); კ ი ბ ი ლ ი (კბილი); კ ი ლ დ ი ე ბ შ ი (კლდეებში); ზ ი რ ი კ ლ ი (ზირკლი).

II - თავი

ტაბახმელას ხეობის ზოგიერთი მორფოლოგიური თავისებურებები

ტაბახმელას მეტყველება საინტერესოა მორფოლოგიური თავისებურებების მხრივაც, სახელთაგან განსხვავებული ვითარება დადასტურდა არსებით, ზედსართავ, რიცხვითსა და ნაცვალ სახელებში. გამოიყო ზმნა, ზმნიზედა კავშირი, თანდებული და ნაწილაკი განსხვავებული ფორმით.

ა) სახელობით ბრუნვაში ხმოვანთუძიანი საკუთარი სახელები დაირთავენ ბრუნვის ნიშანს „ი“-ს, რომელიც აქაურთა მეტყველებისათვის ნიშანდობლივია:

ა ი შ ა-ი, მ ა რ ი ჯ ე-ი, მ ა რ ი ნ ა-ი, მ ე რ ი კ ო-ი, ნ ა დ ი კ ო-ი, ნ ა ზ ი კ ო-ი,

ნ ა დ ი ე-ი, ს ე რ გ ო-ი, ს უ რ ი ე-ი, თ ა ტ ო-ი; ჩვენებურთა მეტყველებაში დასტურდება

„ვე“-ნაწილაკიან რიცხვით სახელთანაც აღნიშნული ნიშანი: ო რ ნ ა

ვ ე-ი, ა თ ნ ა ვ ე-ი; სახლობითი ბრუნვის ნიშანი „ი“ დადასტურდა სხვა სახელებთანაც,

სადაც ენის ნორმის მიხედვით არ გვაქვს: ბ უ რ ვ ა კ ა-ი, თ ვ ა ლ ა-ი, ც ი ც ა-ი, ძ ი ნ ა

რ ა-ი, წ კ ე ნ ტ ი ა-ი.

ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც არის დამახასიათებელი ეს მოვლენა. ბ.

ჯორბენაძის აზრით, ფშაურში სახელობითი ბრუნვის „ი“ ნიშანი სრული სახით არის

წარმოდგენილი: ვაჟა-ი, ქალა-ი და მისთ. [ჯორბენაძე, 1989.: 245]. რაც შეეხება

მთიულურ-გუდამაყრულს, „ი“ დაერთვის „ა“ ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ორ და

მეტმარცვლიან სახელებს: ხმალა-ი, ივანა-ი, წერწენა-ი, სარეკელა-ი. აღნიშნული

შემთხვევები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც: მინა-ი, დრო-ი, ლობია-

ი, უმთავრესად მაშინ, როცა სახელი წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაშია

[ჯორბენაძე, 1989.: 280].

აღნიშნული მოვლენა შეინიშნება მოხეურ დიალექტშიც, თუმცა აქ მხოლოდ

„ა-„ ზე გათავებული სახელები დაირთავენ „ი“-ს: გუდა-ი, რა-ი, ძალა-ი [ჯორბენაძე, 1989.: 266]. ეს შემთხვევა დამახასიათებელია კახური დიალექტისთვისაც: ელენე-ი, დრო-ი, ცხოვრება-ი [ჯორბენაძე, 1989.: 322].

ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ ან მასთან ფუნქციურად გატოლებულ საზოგადო სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნად დასტურდება „ი//ღ“, სამცხურში ბრუნვის ნიშნად გვაქვს „ღ“ , „ი“ - ჯავახურში. სამცხურში გვაქვს: შოთა-ღ, პეტრე-ღ, დედა-ღ, მამა-ღ; ხოლო ჯავახურში „ი“: შოთა-ი, პეტრე-ი, ნუნუ-ი, დედა-ი, მამა-ი, ძალო-ი [ჯორბენაძე, 1989.: 385].

გურულ დიალექტშიც დასტურდება ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში სახელობითი ბრუნვის „ი“ ნიშნის დართვის შემთხვევები, ოღონდ ერთმარცვლიან სახელებთან: ძმა-ი, და-ი, ქვა-ი, ტბა-ი [ჯორბენაძე, 1989.: 523]. ასევე გვაქვს „ი-„ ს დართვის შემთხვევები ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან იმერულ დიალექტშიც: რიყე-ი, და-ი, ცა-ი, დრო-ი, წყარო-ი, ღვინო-ი [ჯორბენაძე, 1989.: 458].

იმერხეულ დიალექტშიც დასტურდება სახელობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელებში „ი“ ნიშნის დართვის შემთხვევები: ანა-ღ, ბაბა-ღ, გიდელა-ღ ზოჰრა-ღ [ჯორბენაძე, 1989.: 580]. დანარჩენ დიალექტებში ხმოვანფუძიან სახელებზე სახელობით ბრუნვაში „ი“ ბრუნვის ნიშნის დართვა არ დასტურდება.

როგორც ირკვევა, ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში „ი“ ნიშნის დართვას იცნობს უმრავლესობა ქართული ენის დიალექტებისა.

ტაბახმელას მეტყველება საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ საკუთარი სახელები წოდებით ბრუნვაში დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს: ა ი შ ო-ვ, ე მ ი ნ ე-ვ, ფ ა დ ი მ ე-ვ, ფ ა ტ ო-ვ, თ ე მ უ რ-ო, რ ა უ ლ-ო, ქ ა ზ ი მ-ო.

საანალიზო ტექსტებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ბოლოთანხმოვნიან სახელებთან, მიცემით ბრუნვაში იკარგება ბრუნვის ნიშანი „ს“-ანი, მაგ.: ერთი ბეჭედი სამ გ ე ნ ი ლ (ს) მოგვიტანეს; რაცხა ბ უ ლ უ ზ (ს), ერთ ყათ წ ი ნ დ ა (ს); სკივრი ჩემ გ ე ნ ი ლ (ს) თაზე აქ; ქალები ს ა ჭ მ ე ლ (ს) გაჰაზირებდენ; ჩემი და ბ ა ლ ვ (ს) არხატაშად წეიყვანდა; მაშინ ხ ა ლ ხ (ს) ფურლუნი ჰქონდენ; ცხრა ქ ა ლ (ს) იქმოდენ და ორი ხერთალინა დეგერთა; ვინცხამ ცქვიტი რთვა იცოდა სამ ხ ე რ ტ ა ლ(ს)

დართევდა; ა ვ ა ტ ყ ო ფ (ს) თუ მუარებენ სარძი კარი დაყრა რალარი; ც ხ ვ ა რ (ს) ვილან შეინახავს; თ ა ვ (ს) დაადგეგები ვერც იზარმაცებს; ერ კ ე ღ ე ლ (ს) ერთ თ ვ ე (ს) ლესევედა; ბ ა ღ ა ღ ე ბ (ს) ვაკერებდით; კ ა რ ა ქ (ს) აჭმევდენ, ჩაი, ყველს; გ უ შ ი ნ დ ე ლ (ს) აქეთ მომაგონდა; სამ თ ვ ე (ს) ისკელეში იწვა; ს კ ა მ (ს) გვეტანდი და სკამზე ვემდვალეობდი; ჩვენ ხელ-ფ ე ხ (ს) ნუ მოგვიშლი; ცომში ხ ე ლ (ს) აკრევიებდენ; დასწავავდი ზ ე თ(ს); პ უ რ(ს) რომ მოზელ; კ ა კ ა ლ (ს), ძეს, ფ ქ ვ ი ლ (ს) მისცემდნენ; ჭადი ფ ქ ვ ი ლ (ს) მარაგად; ყირმიზ ს ი მ ი ნ(ს) ძინარას უძახიდენ; წ ვ ე ნ(ს) ცალკე მუადულებდა და კ ა კ ა ლ (ს) ან თ ხ ი ლ (ს) ჩაჰყრიდა; დ ა თ ე ს ი ლ(ს) ჩიტი მოვდოდა და ამეილებდა; წყალში ჭადი ფ ქ ვ ი ლ (ს) მოხარშავ; გემოვნებით შ ა ქ ა რ (ს) მისცემ მაგასაც; გ ვ ე ლ (ს) ხვრელიდან გამოიყვან; რკინის კ ა რ (ს) გააღებ; ბ ა ღ ვ (ს) პირი არ დიწვას? წ ყ ა ლ (ს) დაყენებდნენ; წ ყ ა ლ (ს) დასხემდენ და ს ა რ ე ც ხ (ს) რეცხევენ. როგორც მაგალითებმა აჩვენა , ეს პროცესი აქაურთა მეტყველებაში მეტად პროდუქტულია.

აღნიშნული მოვლენა, მიცემითი ბრუნვის ნიშნის „ს“ დაკარგვა თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან დამახასიათებელია ლეჩხუმური დიალექტისთვისაც: გინდა ქოთან დაკარი ქვას და გინდა ქვა ქოთან (=ქოთანს) [ჯორბენაძე, 1989.:499].

სშირია ასევე, ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტი „ს“-ს მოკვეცის შემთხვევები პრეპოზიციულად ხმარებულ ბოლოთანხმოვიან მსაზღვრელ სახელებთან: ბ ზ ი (ს) მოსლამდი მეძინა; ბ ა ღ რ ი (ს) ქალი მებნეოდა; ამ ბ ა ღ ვ ი (ს) დასახლება აფერი ხებერია?; თ ო კ ი (ს) გაბოგვა იყო თოკს გაბოგევდნენ და ფარას ართვემდნენ მაამთილს; თ უ თ უ ნ ი (ს) სხმაში ნად იქმოდენ; კილო მ ა ტ ყ ლ ი (ს) ჩეჩვაში, ს ი მ ი ნ დ ი (ს) რჩევაში; სარძი კ ა რ ი (ს) დაყრა რალარი; კ ა რ ჭ ლ ი (ს) ფესვში აძრუმლებდნენ ბაღებს კონინას წამალიაო; კ ა ლ ო შ ი (ს) ნატრული ვიყავით; მ ა ტ ყ ლ ი (ს) დართვა მახსრობა არ არი; შილიც დამხდა და მ ა ზ ლ ი (ს) შვილებიც; მ უ ხ ლ ი (ს) კვირითავი დარტყა და ველარ იარება; ჯეზად წინწინ ისე იყო ს კ ი ვ რ ი (ს) გატანება; ს ი ც ი ვ ი (ს) მ გ ო ნ ე კუტდებოდენ; ოზდახუთ წელწად ქარხანაში იმუშავა ს ა წ ყ ო ბ ი (ს) გამგედ; ყ უ რ ძ ნ ი (ს) კაკალი რომ შიავდო ცეცხლში ტირისო; ს ხ ლ ი (ს) წვენი; ყ უ რ ძ ნ ი (ს) წვენი; შ ვ ი ლ ი (ს) მომლილი

გემრიელიაო; ხ ე ლ ი (ს) სისხოზენა შეკოჭო და არ დიხვეტება; იშტა დღენა მეკითხა ფ ე ნ ჯ რ ი (ს) ძირში. ეს მოვლენა დასტურდება ლეჩხუმურ დიალექტშიც: რკინი (ს) ქალამანი [ჯორბენაძე, 1989.: 499].

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში მოქმედებით ბრუნვაში უცვლელად ერთვის ბრუნვის ნიშანი-„ით“, მაგრამ ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი დასუსტების შედეგად დად იქცევა: კ ვ ე ს ა ბ ე დ ა დ თ (კვესაბედით).

საანალიზო ტექსტებში ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად გამოყენებულია „-ში“ თანდებულიანი ფორმა: ჩადგებოდა ს ა თ ი ბ ა ვ შ ი (ად) ათითუთხმეტი, ოცი კაცი; მოვთიბევდით ყილევს გადავაბრუნებდით, არა პ ი რ ვ ე ლ შ ი (ად) არა, ორი დღი მემრე; კორკოტი, ხორცი ძ ი რ ი თ ა დ შ ი (ად) ჰასუთა და ლუხუმი.

აქაურთა მეტყველებაში „ ე“-სა და „ა“-ზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანი სახელები თავისებურებას იჩენენ მრავლობითის წარმოებისას, ფუძისეული „ე და ა“ ხმოვანები დისიმილაციას განიცდიან „-ებ“ სუფიქსის ხმოვანთან, რის შედეგად მრავლობით რიცხვში ასეთ ფორმებს ვღებულობთ: დ ღ ი ე ბ შ ი (დღეებში); კ ი ბ ი ე ბ ი (კიბეები); ო ფ ი ე ბ ი (ოფეები); ყ ა ვ ი ე ბ ს (მყავეებს); ს ა ქ მ ი ე ბ ს (საქმეებს); ტ ყ ი ე ბ შ ი (ტყეებში); ლ ა მ ი ე ბ შ ი (ლამეებში); ღ ე ლ ი ე ბ შ ი (ღელეებში); ი ა კ ო ბ ა ძ ი ე ბ შ ი (იაკობაძეებში, ტოპ. სახ.); ძ ი რ კ ვ ა ძ ი ე ბ შ ი (ძირკვაძეებში, ტოპ. სახ.); თ ი ე ბ ო (მთებო), გ ზ ი ე ბ ი (გზებო).

მრავლობითობა ზოგჯერ კრებითობის „-ობა“ სუფიქსითაა გამოხატული: ნ ა დ ო ბ ი ს; თ უ თ უ ნ ო ბ ა ; ს ი მ ი ნ დ ო ბ ა ; თ ვ ე ლ ო ბ ა .

ხეობის მეტყველებაში ზედსართავი სახელი, რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით არ გამოირჩევა. აღსანიშნავია: „ასეთის“ ნაცვლად „ამფერი“, ისეთის ნაცვლად „იმფერი“: ა მ ფ ე რ ი (ასეთი) საქმე; ი მ ფ ე რ ი (ისეთი) ტანსაცმელი.

„მერეს“ ნაცვლად ხშირია „მემრეს“ გამოყენების შემთხვევები: მ ე მ რ ე (მერე) რა ვენა;

„უფრო“ ზედსართავი სახელის ნაცვლად გვხვდება მსცოვანთა მეტყველებაში „უმფო“ ფორმაც, რაც ზემოაჭარულისათვის და ტაბახმელას ხეობის მეთყველებისათვის დამახასიათებელია: უ მ ფ ო (უფრო) დეილლები.

რაც შეეხება ნაცვალსახელთან დაკავშირებულ თავისებურებებს საანალიზო მასალიდან ჩანს, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელები „ეს“, და „ის“, ისე როგორც რიგ სხვა დიალექტებში, ტაბახმელას მეტყველებაშიც თანხმოვანმოკვეცილი ფორმით გამოიყენება: ი (ს) ერთი ბეჭედიც ქერთი ქალზე იერთმევიეს ლობიაზე; ხბო რაცხა გვექონდა ი (ს) გევანნილეთ; ი (ს) სკივრი ჩემ გენილ თაზე აქ; ი (ს) ბადადიც რათერ ნახეს; ე (ს) სახლი რუმ ევშენე ბერმა ბუხრი ქუები მეიტანა; მარბაში ე (ს) დიდვანი სობები გამოვდა; ე (ს) რამბავია ჩვენ რაულივით გეიბჯგინა ფეხები; ე (ს) რა ჰიქმეთობა გამოვდა არ ვიცი; ე (ს) ფერიდეი გამშვობდა კარზე რა იქნაო; ერთი ე (ს) ბალვი რამეს ლაპარიკობს; ე (ს) გენილები ჰა გიმიყაიბდნენ. მაგალითებიდან იკვეთება, რომ აღნიშნული თავისებურება, თანხმოვანმოკვეცილი ნაცვალსახელების გამოყენება აქაურთა მეტყველებისათვის სისტემური ხასიათისაა.

თავისებურებას იჩენს კითხვითი ნაცვალსახელი „რა“, რომელიც მსგავსად ძველი ქართულისა, ნათესაობით ბრუნვაში არ იკვეცს ფუძისეულ „ა“ ხმოვანს: რ ა ი ს (რ-ის) კანსერვი მაშინ ჰა იყო.

პირის ნაცვალსახელები „უნდა“ ნაწილაკის „ნა“ ელემენტებთან შერწყმული სახით გვხვდება: მ ე ნ ა (მე უნდა) მექსოვნა; მ ე ნ ა (მე უნდა) გემეთხარა; შ ე ნ ა (შენ უნდა) ნახვიდე თუ.

მეორე პირთან ახლოს მყოფობის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები „ეგ, მაგ“ გვხვდება საანალიზო მასალაში „მეგ“ ფორმით: მ ე გ ქალი; მ ე გ ე ნ ი არ ვიცი.

სშირია „ემე“ ჩვენებით ნაცვალსახელის გამოყენება, თანაც „ში“ თანდებულის დართვით: ე მ ე შ ი გამრიგო ქალი გამოყოფილი იყო; ჩასხემდენ ე მ ე შ ი და ალაპარიკებდენ მენთევრები.

ჩვენებითი ნაცვალსახელი „ამდენი, იმდენი, მაგდენი“ გვხვდება „ამტონეთი, იმტონეთი, მაგტონი“ ფორმით: ა მ ტ ო ნ ე თ ი მოვდაო და გიგიკეთებს საქმეს; ი მ ტ ო ნ ე თ ი ხალხი; მ ა გ ტ ო ნ ი აღარ მახსოვს.

„ამა“ და „ამ“ ნაცვალსახელს ჩვეულებრივ ენაცვლება „ამომავალ“ ფორმა: ა მ ო მ ა ვ ა ლ თ ა ნ კ ა ი ს უ თ ლ ი ი ყ ო ო .

დადასტურებულია „რაცხა“, „ვინცხა“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი: რ ა ც ხ ა გ ვ ე ო ნ დ ა ი გ ე ვ ნ ა ნ ი ლ ე თ ; ბ ა თ უ მ კ ი ლ ო რ ა ც ხ ა ი ო ვ ნ ე ბ ი დ ა ; მ ე რ ი კ ო ი რ ა ც ხ ა ა ვ ა თ ა რ ი ო ; ვ ი ნ ც ხ ა ს თ ა ნ ჰ ა ც ხ ა დ ე ნ ა ხ ი ა გ ო ი ა ი ს უ ნ დ ა .

აქაურთა მეტყველებისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს „ში“ და „ზე“ თანდებულების დართვა ადგილის ზმნიზედებსა და ნაცვალსახელებზე: ი ე შ ი ; ი გ ზ ე .

თანდებულთა გამოყენებისას უნდა გამოვყოთ შემდეგი მომენტი „ზე“, „ში“, თანდებულიანი მიცემითი ენაცვლება ზოგჯერ უთანდებულო მიცემითსა და ვითარებითს: ი მ ო მ ი ა ნ ო ბ ი დ რ ო ზ ე (დროს) მატყლი იყიდე და ქსუე; ჩვენ დ რ ო ზ ე (დროს) რაცხა ბადადებ ვაკერებდით; ჩვენ დ რ ო ზ ე (დროს) იმდენი მიტკალი ჰა ი ყ ო ; ი მ ა უ რ ა ს ტ ი ნ ა ზ ე (პრასტინას) მივაკერებდით და გოია უხდებოდა; ისე არ მემეტები რაულო ამელამ იყავ და დ ი ლ ა ზ ე (დილას) წაი ; ს ა ლ ა მ ო ზ ე (სალამოს) მალე ვერ დანვებოდა;

ჩადგებოდა ს ა თ ი ბ ა ვ შ ი (სათიბავად) ათი-თუთხმეტი, ოცი კაცი; ხორცი ძ ი რ ი თ ა დ შ ი (ძირითადად) ჰასუთა, ლუხუმს მოკრეფდნენ; პ ი რ ვ ე ლ შ ი (პირველად) აქ იყო სკოლა; ჯ ე ი ზ შ ი (ჯეიზად) აყოლებდნენ: ძროხას, ნოხს, ტაშტს, გუგუმს.

„გან“ თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად ჩვეულებრივ ჩვენს საკვლევ მასალაში „დან“ თანდებულიანი მოქმედებითი გამოიყენება: ჩანთები გვექონდა ბ ა დ ა დ ი დ ა ნ (ბადადისგან) ამოკერილი; ტ ყ ა ვ ი დ ა ნ (ტყავისგან) შევკერევიდით; ხ ი დ ა ნ (ხისგან) გავაკეთებდით; წ ო ს გ ა ვ ა კ ე თ ე ბ დ ი თ : ჭ ა რ ბ ა დ ე ლ ა დ ა ნ (ჭარბადელასგან), ო ლ ე ნ ა დ ა ნ (ოლენასგან), უ რ ა ს ი დ ა ნ (ურასისგან), ჭარხლი ფ ო თ ლ ი დ ა ნ (ფოთლისგან), გ ე ნ ი ლ პ ა რ მ ა ლ ი დ ა ნ (გენილპარმალისგან).

ჩვენს საკვლევ მასალაში გამოიყო ფორმა, სადაც „ში“ თანდებულის ნაცვლად გამოყენებულია „ჩი“: ს ა ხ ლ ჩ ი (სახლში).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში „ვით“ თანდებულის ნაცვლად გამოყენებულია „-ვეთ“ :

ს მ ე ვ ა ს ე ვ ე თ (სმეფასავით); თ ა ბ ლ ა ს ე ვ ე თ (თაბლასავით); ტ რ უ ბ ა ს ე ვ ე თ (ტრუბასავით); ბ ა ქ ლ ა ვ ა ს ე ვ ე თ (ბაქლავასავით); ს ე ტ კ ა ს ე ვ ე თ (სეტკასავით).

„-მდე“ ვითარებითი ბრუნვის თანდებულის ნაცვლად „-მდი“ გვხვდება: მ ო ს ლ ა მ დ ი (მოსვლამდე); წ ა ს ლ ა მ დ ი (წასვლამდე); ქ ო რ წ ი ლ ა მ დ ი (ქორწილამდე).

„-თვის“ თანდებულის პარალელურად გვხვდება „-თვინ“: სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „-თვინ“ (ძვ. ქართ.-თ ვ ნ) მომდინარეობს „თუ“ (თავი) ძირიდან [ნიჟარაძე, 1961, 80]. მაგ.: შ ე ნ თ ვ ი ნ (შენთვის); ი მ ი ს თ ვ ი ნ (იმისთვის); მ ა თ თ ვ ი ნ (მათთვის); ს ი ძ ე ს თ ვ ი ნ ა ც (სიძისთვისაც); მ ა ზ ლ ი ს თ ვ ი ნ (მაზლისთვის); კ ა ც ე ბ ი ს თ ვ ი ნ (კაცებისთვის); დ ე დ ა მ თ ი ლ ი ს თ ვ ი ნ (დედამთილისთვის); ზ ა ფ ხ უ ლ ი ს თ ვ ი ნ (ზაფხულისთვის); ს ა ხ ლ ი ს თ ვ ი ნ (სახლისთვის); ს ტ უ მ რ ი ს თ ვ ი ნ (სტუმრისთვის).

საინტერესოა ასევე, „-თვის“ თანდებულის პარალელურად ამავე თანდებულის ფუნქციით კუთვნილებით ნაცვალსახელებთან „გულებად“ ფორმის გამოყენების შემთხვევები: მ ი ნ ს გ უ ლ ე ბ ა ი მოსიჰრეს.

აქაურთა მეტყველებაში „გამო“ თანდებულის შინაარსი აქვს „მგონე“-ს; იგი დაერთვის ნათესაობით ბრუნვას და ვდებულობთ: ს ი ც ი ვ ი მ გ ო ნ ე კუტდებოდენ; ს ი ხ ა რ უ ლ ი მ გ ო ნ ე არ ვიყავ; თ უ თ უ ნ ი მ გ ო ნ ე არ გვეცალა.

ტაბახმელას მეტყველებაში „წინწინ“ გამოიყენება „უნინ, ძველად“ , ზმნიზედების მნიშვნელობით: წ ი ნ წ ი ნ სტუმარი მოვლოდა, კაცები ელაპარიკებოდენ, ქალები საჭმელ გაჰაზირებდენ; წ ი ნ წ ი ნ ბევრი კუტობა იყო ქალებისა.

„დიღხან“ ზმნიზედის პარალელურად იხმარება „ბარსახან“ ფორმაც : მაგ. აჰ! აჰ! ბ ა რ ს ა ხ ა ნ საჭმელს არ ვსჭამდი მამთილთან.

საანალიზო ტექსტებში თავს იჩენს „უნდა“ ნაწილაკის, სხვა სიტყვებთან შერწყმა, ფონეტიკურ ნიადაგზე „ნა“, „და“ სახით, რაც ვფიქრობთ მეტყველების

გამარტივებისკენ მიმართული პროცესია: ეიღა აჰა ი მ ი ს თ ვ ი ნ ნ ა (იმისთვის უნდა) წასულიყავ თუ; რ ა ნ ა (რა უნდა) ეჩუქებია მე რა ვიცი ზირიკლი; წ ი ნ დ ა ნ ა (წინდა უნდა) ექსოვნა, დერთო, გეჩეჩა; ჩ ა დ რ ი ნ ა (ჩადრი უნდა) დიეხურა; ს ა ქ ო ნ ე ლ ი დ ა (საქონელი უნდა) ჩეგებარებია; მამამთილს ა რ დ ა (არ უნდა) დალაპარაკებოდა; შათათი დ ლ ე დ ა (დღე უნდა) იყოს.

რაც შეეხება ზმნას და მასთან დაკავშირებულ თავისებურებებს აქაურთა მეტყველებაში III-ირიბი ობიექტური პირის პრეფიქსი „ჰ“ არაა წარმოდგენილი ზმნებში: (ჰ) ქ ო ნ დ ა; (ჰ) ქ ვ ი ა; (ჰ) ყ ა ვ დ ნ ე ნ; (ჰ) გ ო ნ ი ა ნ.

მაგრამ „ჰ“ და „ს“ პრეფიქსები გვხვდება იქ სადაც სალიტერატურო ქართულში მის ხმარებას გამართლება არა აქვს: გ ა ვ ჰ თ ლ ი დ ი თ; დ ა ვ ჰ ტ ე ვ დ ი თ; ჩ ა ჰ ყ რ ი დ ა; მ ო ს თ ი ბ დ ი.

გარდამავალი ზმნების მრავლობითობა III პირში გამოხატულია „ენ“ სუფიქსით ნაცვლად „ნენ“-ისა: შ ო ვ ნ ი ლ ო ბ დ ე ნ (შოვნილობდნენ); გ ა ჰ ა ზ ი რ ე ბ დ ე ნ (გაჰაზირებდნენ); შ ე ი ტ ა ნ დ ე ნ (შეიტანდნენ); მ ო ჭ რ ი დ ე ნ (მოჭრიდნენ); გ ა მ უ ა ც ხ ო ბ დ ე ნ (გამოაცხოვდნენ); დ ა ხ უ რ ე ვ დ ე ნ (დაახურავდნენ).

საანალიზო ტექსტებში სისტემურია გარდაუალ ზმნებში III-პირის მრავლობითობის „-ენ“- სუფიქსის გამოყენების შემთხვევები: ჩ ა მ უ ვ ა რ დ ე ნ (ჩამოუვარდათ); ჰ ყ ა ვ დ ე ნ (ჰყავდათ); ჰ ქ ო ნ დ ე ნ (ჰქონდათ); უ ჭ ი რ დ ე ნ (უჭირდათ).

მაგალითებმა აჩვენა, რომ აქაურები თითქმის ყველა ზმნის მრავლობითობას, „ენ“ დაბოლოებით წარმოთქვამენ.

თავისებურება შეინიშნება თემის ნიშანთა გამოყენების შემთხვევებშიც. ზოგიერთი ზმნა, რომელსაც სალიტერატურო ქართულში, თემის ნიშანი აქვს, აქაურთა მეტყველებაში ამ ნიშნის გარეშე გვხვდება: მ ო ს თ ი ბ დ ი (მოთიბავდი).

აქაურთა მეტყველებაში ზოგიერთი „-ებ“ თემისნიშნის ზმნა „-ევ „ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი: ძალიან ანცი ვიყავ და იბრეთებ ვ მ ა რ თ ე ვ დ ი (ვმართებდი) იმ თვეში.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში „ებ“ თემის ნიშნის ნაცვლად ჩვეულებრივ „-ობ“ არის გამოყენებული: მ უ ა ს წ რ ო ბ დ ა ო (მოასწრებდაო); ვ კ ა ნ კ ა ლ ო ბ დ ი ო (ვკანკალეობდო); ა ს წ რ ო ბ დ ა (ასწრებდა).

უთემისნიშნო ფუძედრეკად ზმნებთან დადასტურდა „-ავ“, თემის ნიშანი: მ ო ზ ი ლ ა ვ დ ი (მოზელდი) მაკარინას, მაგარი ცოში უნდოდა.

საანალიზო ტექსტში ასევე გვხვდება წყვეტილში „-ე“ ბოლოსართიანი ზმნის ფორმები, რომლებიც I და II პირში „-ვი“-ს დაირთავს: ა გ ვ ი ნ თ ე ვ ი თ (ავვინთეთ); მ ე ი ძ რ ე ვ ი თ (მოიძრეთ); ე ვ ლ ე ვ ი თ (ავილეთ).

ტაბახმელას მეტყველებაში „-ავ და -ამ“-სუფიქსიან ზმნებს ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში რიგ ქართულ დიალექტთა მსგავსად ახასიათებთ „-ევ“-დ, და „-ემ“-დ წარმოება. ამდენად, აქაც დღემდე შემონახულია გადმონაშთის სახით „-ავ“ და „-ამ“ სუფიქსიან ზმნათა უღლების ძველი ქართული ნორმა: ი ხ ი ლ ე ვ დ ნ ე ნ (იხილავდნენ); ლ ე ს ე ვ დ ნ ე ნ (ლესავდნენ); მ ო ხ ა რ შ ე ვ დ ე ნ (მოხარშავდნენ); დ ა ვ ძ ა ხ ე ვ დ ი თ (დავძახავდით); ვ ი ზ ე მ დ ი თ (ვიზამდით); დ ა ვ დ გ ე მ დ ი (დავდგამდით); ვ ა ს ხ ე მ დ ი თ (ვასხამდით); ვ ი ც ვ ე მ დ ი თ (ვიცვამდით).

თურმეობით პირველში „-ავ“ სუფიქსიანი ზმნის ნაცვლად აქ ჩვეულებრივ „ი-ა“ დაბოლოებიანი ფორმა დადასტურდა: მ ი ქ ა რ გ ი ა (მიქარგავს); შ ი მ ი კ ე რ ი ა (შემიკერავს).

აქაურთა საუბრებში ზოგჯერ „ი-ა“ დაბოლოების წინ შემონახულია რედუცირებული თემის ნიშანი: აქ ტაბახმელას თუთუნი არ დ ი მ ი რ გ ვ ი ა (დამირგავს), საერთოდ მოვსპე.

ზმნისწინთან დაკავშირებით სისტემატურია ზმნისწინის ხმოვნის შეცვლა. მაგ.: გ ი მ ი ხ ა რ დ ა (გამიხარდა); გ ი მ ი ქ ნ ი ა (გამიქნია); დ ი მ ი რ ე კ ა (დამირეკა); დ ი მ ი ნ ა ხ ა ვ ს (დამინახავს); ჩ ი მ ი ყ ვ ა ნ დ ა (ჩამიყვანდა); ჩ ი მ ი თ ლ ი (ჩამითვლი); წ ი მ ი ვ დ ა (წამივდა); წ ი გ ვ ი ყ ვ ა ნ ე ს (წავვიყვანეს); შ ი მ ი ნ ა ხ ა (შემინახა).

ჩვენს საკვლებ დიალექტში, შეიძლება ითქვას, რომ კავშირი რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით არ გამოირჩევა. სისტემურია „მაგრამ“ კავშირის

ნაცვლად „მარა „ კავშირის გამოყენების შემთხვევები და „რომ“ კავშირის ნაცვლად „რუმე“-ს გამოყენება: მ ა რ ა (მაგრამ) წევდენა; მემრე იმდენი აკითხვის რ უ მ ე (რომ), აღარ იბნიდოდა.

აქაურთა მეტყველებაში კაუზატივის საწარმოებლად გამოიყენება მხოლოდ „-ი“ სუფიქსი: შირიმშო, ჩემი ქული მ ა ნ ა ხ ვ ი ე (მანახვინე) შირიმშო; მემრე იმდენი ა კ ი თ ხ ვ ი ე ს (აკითხვინეს) რუმე, აღარ იბნიდოდა.

ამდენად, მაგლითებიდან იკვეთება, რომ ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები სახელობით ბრუნვაში ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშანს: მარიჯე-ი, მარინა-ი, ნაზიკო-ი.

„ი“ ბრუნვის ნიშანს დაირთავენ „ვე“ ნაწილაკდართული რიცხვითი და სხვა სახელები: ორნავე-ი; ბურვაკა-ი, ციცა-ი.

აქაურთა მეტყველებაში საკუთარი სახელები წოდებით ბრუნვაში დაირთავენ ბრუნვის ნიშანს. მაგ.: აიშო-ვ, ფატო-ვ, თემურ-ო, რაულ-ო.

ტაბახმელას მეტყველებაში, როგორც მასალამ აჩვენა, ხშირია ბოლოთანხმოვნიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის „ს“- ანის დაკარგვის შემთხვევები: სამ გენილ(ს); რაცხა ბულუმ(ს); სამ ხერთალ(ს).

დადასტურდა შემთხვევები დიდი პროდუქტულობით, სადაც ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნიანი ნაწილი პრეპოზიციური განსაზღვრებისა დაკარგულია: ბზი(ს) მოსლამდი მეძინა; ბადრი(ს) ქალი; ბაღვი(ს) დასახლება.

სახელს მოქმედებით ბრუნვაში უცვლელად ერთვის ბრუნვის ნიშანი, მაგრამ დასუსტების შედეგად დ-ად იქცევა. მაგ.: კვესაბედათ (კვესაბედით).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად დასტურდება „ში“ თანდებული. მაგ.: სათიბაუში (სათიბად); პირველში (პირველად); ძირითადში (ძირითადად).

„ე“-სა და „ა“-ზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანი სახელები დისიმილირდებიან მრავლობითი რიცხვის „ებ“ სუფიქსის ხმოვანთან და გვაძლევს შემდეგ ფორმებს: დ ლ ი ე ბ შ ი (დღეებში); ტ ყ ი ე ბ შ ი (ტყეებში); ლ ა მ ი ე ბ შ ი (ღამეებში); თ ი ე ბ ო (მთებო), გ ზ ი ე ბ ი (გზებო).

დადასტურდა მაგალითები სადაც მრავლობითობა ზოგჯერ კრებითობის „ობა“ სუფიქსითაა გამოხატული: ნ ა დ ო ბ ი ს; თ უ თ უ ნ ო ბ ა; ს ი მ ი ნ დ ო ბ ა.

ზედსართავ სახელებთან დაკავშირებული თავისებურებიდან მნიშვნელოვანია: ა) ასეთის ნაცვლად „ამფერის“, ისეთის ნაცვლად „იმფერის“ გამოყენების შემთხვევები: ამფერი საქმე; იმფერი ტანსაცმელი; ბ) „მერე“ ზედსართავის ნაცვლად „მემრე“ გამოიყენება: მემრე (მერე) რა ვქნა.

„უფრო“ ზედსართავი სახელის ნაცვლად გვხდება „უმფო“: უ მ ფ ო დეილლები. აქაურთა მეტყველების თავისებურებად უნდა ჩაითვალოს „ეს“, „ის“ ნაცვალსახელთა თანხმომოკვეცილი გამოყენება. მაგ.: ი (ის) სკივრი ჩემ გენილ თაზე აქ; ე (ეს) გენილები ჰა გიმისაიბდნენ.

როგორც მაგალითებმა აჩვენა, ძველ ქართულისებურ ვითარებას ინარჩუნებს „რა“ კითხვითი ნაცვალსახელი, ნათესაობით ბრუნვაში ფუძისეულ „ა“ ხმოვანს არ იკვეცს: რაის (რ-ის) კანსერვი მაშინ ჰა იყო.

დადასტურდა პირის ნაცვალსახელების „მენა, შენა“ ფორმები, სადაც „უნდა“ ნაწილაკის „ნა“ ელემენტია შერწყმული: მ ე ნ ა (მე უნდა) მექსოვნა; შ ე ნ ა (შენ უნდა) ნახვიდე თუ.

მეორე პირთან ახლოს მყოფობის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები გამოხატულია „მეგ“ ფორმით: მეგ ქალი; მეგენი არ ვიცი.

სპეციფიკურად უნდა ჩაითვალოს „ემე“ ფორმის არსებობაც „ში“ თანდებულთან ერთად, ხეობის მეტყველებაში: ე მ ე შ ი გამრიგო ქალი გამოყოფილი იყო.

გვხდება მაგალითები სადაც „ამდენი, იმდენი, მაგდენი“ გამოხატულია ამტონეთი, იმტონეთი, მაგტონი ფორმებით. მაგ.: ა მ ტ ო ნ ე თ ი მოვდაო და გიგიკეთებს საქმეს; ი მ ტ ო ნ ე თ ი ხალხი; მ ა გ ტ ო ნ ი აღარ მახსოვს.

აქაურთა მეტყველებაში, ჩვეულებრივია, „ამა და ამა“ ფორმების ნაცვლად „ამომავალი“ ფორმის გამოყენების შემთხვევებიც: ა მ ო მ ა ვ ა ლ თ ა ნ კაი სუთლი იყო.

დადასტურდა „რაცხა“, „ვინცხა“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი: ბათუმ კილო რ ა ც ხ ა იშოვნებოდა; ვ ი ნ ც ხ ა ს თ ა ნ ჰაცხა ღუნახია გოია ის უნდა.

საანალიზო მასალამ აჩვენა, რომ „ში“ და „ზე“ თანდებულის დართვა ხდება ადგილის ზმნიზედებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებზე, რასაც ამ ხეობის მეტყველებაში სისტემური ხასიათი აქვს: იქში; იგზე .

აქაურთა მეტყველებაში ხშირია თანდებულთა მონაცვლეობის შემთხვევები: ა) გამოიყო „ზე“ და „ში“ თანდებულის უთანდებულო მიცემითსა და ვითარებითზე შენაცვლების შემთხვევები: იმ ომიანობი დ რ ო ზ ე (დროს) მატყლი იყიდე და ქსუე; პ ი რ ვ ე ლ შ ი (პირველად) აქ იყო სკოლა; ბ) გვხვდება „გან“ თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად „დან“ თანდებულიანი მოქმედებითი: ბ ა დ ა დ ი დ ა ნ (ბადადისგან); ტ ყ ა ვ ი დ ა ნ (ტყავისგან); ხ ი დ ა ნ (ხისგან). გ) „ში“ თანდებულის ნაცვლად გამოიყენება „ჩი“ სახლჩი (სახლში); დ) ხშირია „ვით“ თანდებულის ნაცვლად „ვეთ“ გამოყენების შემთხვევები: ს მ ე ვ ა ს ე ვ ე თ (სმევასავით); თ ა ბ ლ ა ს ე ვ ე თ (თაბლასავით); ბ ა ქ ლ ა ვ ა ს ე ვ ე თ (ბაქლავასავით). ე) „მდე“ ვითარებითი ბრუნვის თანდებულს აქაურთა მეტყველებაში ენაცვლება „მდი“: მ ო ს ლ ა მ დ ი (მოსვლამდე). ვ) „თვი“-ს თანდებულის ნაცვლად გვხვდება „თვინ“: კ ა ც ე ბ ი ს თ ვ ი ნ (კაცებისთვის); მ ა ზ ლ ი ს თ ვ ი ნ (მაზლისთვის); ს ტ უ მ რ ი ს თ ვ ი ნ (სტუმრისთვის). ზ) აღნიშნულ თანდებულს ენაცვლება „გულებაი“ ფორმაც: მიწი გ უ ლ ე ბ ა ი მოსიჰრეს. თ) „გამო“ თანდებულს ენაცვლება „მგონე“: ს ი ხ ა რ უ ლ ი მ გ ო ნ ე; თ უ თ უ ნ ი მ გ ო ნ ე; ს ი ც ი ვ ი მ გ ო ნ ე.

დადასტურდა „წინწინ“ ფორმა „უწინ, ძველად“ ზმნიზედების მნიშვნელობით: წ ი ნ წ ი ნ ბევრი კუტობა იყო ქალებისა. „დიდხან“ ზმნიზედის პარალელურად გამოიყენება „ბარსახან“: აჰ! აჰ! ბ ა რ ს ა ხ ა ნ საჭმელს არ ვსჭამდი მამთილთან.

აქაურთა მეტყველებაში „უნდა“ ნაწილაკი ფონეტიკურ ნიადაგზე შეერწყმის სხვა სიტყვებს და მიიღება: წ ი ნ დ ა ნ ა ექსოვნა; ჩ ა დ რ ი ნ ა დიეხურა; ს ა ქ ო ნ ე ლ ი დ ა ჩეგებარებია.

თავისებურება ზმნებშიც დასტურდება. აქაურთა მეტყველებაში ზოგიერთი ირიბ ობიექტური ზმნა, III-ირიბი ობიექტური პირის პრეფიქსის „ჰ“ გარეშეა წარმოდგენილი. მაგ.: (ჰ)ქ ო ნ დ ა; (ჰ)ქ ვ ი ა; (ჰ) ყ ა ვ დ ნ ე ნ.

პირის ნიშნები გამოიყენება იქ სადაც სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით არ უნდა იყოს: გ ა ვ ჰ თ ლ ი დ ი თ; დ ა ვ ჰ ტ ე ვ დ ი თ; მ ო ს თ ი ბ დ ი.

საანალიზო ტექსტებში, ჩვეულებრივ, გარდამავალი და გარდაუალი ზმნების მე-3 პირის მრავლობითობა გამოხატულია „-ენ“ სუფიქსით: შ ა მ ო ვ დ ო დ ე ნ (შემოვიდოდნენ); შ ე ი ტ ა ნ დ ე ნ (შემოიტანდნენ); მ ო ჭ რ ი დ ე ნ (მოჭრიდნენ); ჩ ა მ უ ვ ა რ დ ე ნ (ჩამოუვარდათ); ჰ ყ ა ვ დ ე ნ (ჰყავდათ); ჰ ქ ო ნ დ ე ნ (ჰქონდათ);

ზოგიერთი ზმნა, რომელსაც სალიტერატურო ქართულში, თემის ნიშანი აქვს ჩვენს საკვლევ მასალაში თემის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი. მაგ.: მ ო ს თ ი ბ დ ი (მოთიბავდი).

ტაბახმელას მეტყველებაში „-ებ“ თემისნიშნის ზმნები „-ევ“ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი: ვმართვედი (ვმართვებდი); ან ენაცვლება „-ებ“-ს „-ობა“: მუასწრობდაო (მოასწრებდაო); ვკანკალობდიო (ვკანკალებდიო).

უთემისნიშნო ფუძედრეკადი ზნები წარმოდგენილია „-ავ“ თემის ნიშნით. მაგ.: მოზილავდი (მოზელდი).

„ე“ ბოლოსართიანი ზმნები წყვეტილში „ვი“-ს დაირთავს: აგვინთევით; მეიდრევით.

„-ავ“ და „-ამ“ სუფიქსიანი ზმნებს ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში ახასიათებს „ევ“-დ და „ემ“ წარმოება. მაგ.: გ ა ლ ე ს ე ვ დ ი (გალესავდი); ი ხ ი ლ ე ვ დ ე ნ (იხილავდნენ); ვ ა ს ხ ე მ დ ი თ (ვასხამდით); ვ ი ც ვ ე მ დ ი თ (ვიცვამდით). დასახელებული სუფიქსიანი ზმნები „ია“ დაბოლოებისანი ფორმითაც დასტურდება; მაგ.: მ ი ქ ა რ გ ი ა (მიქარგავს).

ზოგჯერ „ი-ა“ დაბოლოების წინ შემონახულია რედუცირებული თემის ნიშანი. მაგ.: დ ი მ ი რ გ ვ ი ა (დიმირგავს).

ხეობის მეტყველებაში სისტემურია ზმნისწინის ხმოვნითი ნაწილის შეცვლა. მაგ.: გ ი გ ი კ ე თ ე ბ ს (გაგიკეთებს); დ ი მ ი რ გ ვ ი ა (დამირგავს); ჩ ი მ ი თ ლ ი (ჩამითლი); წ ი მ ი ვ დ ა (წამივდა); შ ი მ ი ძ ლ ი ა (შემიძლია).

გვხვდება „მაგრამ“ და „რომ“ კავშირების ნაცვლად „მარა“, „რუმე“ კავშირები: მაგ.: მ ა რ ა წევდენა; მემრე იმდენი აკითხვიეს რ უ მ ე, აღარ იბნიდოდა.

მაგალითებიდან ირკვევა, რომ აქაურთა მეტყველებაში კაუზატივის სანარმოებლად გამოიყენება მხოლოდ „-ი“ სუფიქსი: მ ა ნ ა ხ ვ ი ე (მანახვინე); ა კ ი თ ხ ვ ი ე ს (აკითხვინეს).

თავი III

ტაბახმელას ხეობის მეტყველების ზოგიერთი სინტაქსური თავისებურებები

ტაბახმელას ხეობის მეტყველება საინტერესოა სინტაქსური თავისებურებების მხრივაც. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მსაზღვრელისა და საზღვრულის

ურთიერთობა. კერძოდ, მოთხრობით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან, ბოლოთანხმოვნიან მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი:

ეიგერ ჩ ე მ (ჩემმა) ბერმა უთხრა არ დემელაპარიკოთო; ჩ ე მ (ჩემმა) დიდანამ იცოდა ამ ფიფინას გაკეთება; ლამაზ (ლამაზმა) ქალმა; დიდ (დიდმა) გელინმა; ჭკვიან (ჭკვიანმა) ამხანაგმა.

პრეპოზიციური წყობის დროს საზღვრულს მიცემით ბრუნვაში მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი: ერთი ბეჭედი სამ გ ე ნ ი ლ (ს) მოგვიტანეს; ცხრათ ქ ა ლ (ს) იქმოდენ და ორი ხერთალინა დეგერთა, ვინცხამ ცქვიტი რთვა იცოდა სამ ხ ე რ ტ ა ლ (ს) დართევდა; ერ გომბიოზე სამ ქ ო რ წ ი ლ (ს) ვიჭებოდი; ავამტყოფი დანვებოდა, თუნდა თუთხმეტ დ ლ ე (ს) ყოფილიყო, ჭამა არ უნდოდა აფერი.

პრეპოზიციული წყობის დროს სუბსტანტიური მსაზღვრელი უმეტეს შემთხვევაში გვხდება ნაწილობრივ შეთანხმებული: მ უ ხ ლ ი (ს) კ ვ ი რ ი თ ა ვ ი;

ს ხ ლ ი (ს) წ ვ ე ნ ი, ყ უ რ ძ ნ ი (ს) წ ვ ე ნ ი.

ხეობის მეტყველებაში საინტერესოა რიცხვის გამოხატვის თავისებურებაც. კერძოდ, მსაზღვრელად, როცა რიცხვითი სახელია, მაშინ მასთან დაკავშირებული მსაზღვრელი ყოველთვის მრავლობით რიცხვში უნდა იდგეს, მაგრამ ჩვენს საანალიზო ტექსტებში ეს წესი ხშირად დარღვეულია: მე რუმ სახლი ევშენე ე ქ ვ ს ი კაცები (კაცი) მ უ შ ა ო ბ დ ა; ორი ამხანაგები (ამხანაგი) მოვდნენ და მეიტანეს ამბავი.

როცა ქვემდებარეს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა ახლავს, ზოგჯერ შეთანხმებულია შემასმენელთან რიცხვში, ზოგჯერ - არა: ხ ა ლ ხ ი გაჭირვებით ცხოვრობდნენ (ცხოვრობდა) ძალიან; ზ ო გ ი გ ა პ ე ნ ტ ა ვ დ ნ ე ნ (გაპენტავდა) მატყლს ჯობით; ზ ო გ ი საბძელივით ღერღეცელა სახლს ა შ ე ნ ე ბ დ ნ ე ნ (აშენებდა); ზ ო გ ი რ ა ნ დ ე ვ დ ე ნ (რანდევდა), ზ ო გ ი ქ ა მ ფ უ რ ე ვ დ ე ნ (ქამფურევდა); ტელევიზორები არ იყო, ჩვენ გვექონდა ბერმა აღრიანაი მეიტანა, ჰამა ხ ა ლ ხ ი ხომ არ ჩ ა მ დ ე ნ (ჩანდა).

სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან, როგორც მაგალითებმა გვიჩვენა, მოთხრობით ბრუნვაში დასტურდება ნაცვლად სახელობითისა: ძ რ ო ხ ა მ (ძროხა) მოვდა; მ ზ ე მ (მზე) ამოვდა; მ ი წ ა მ (მიწა) ჩამეინგრა; მ ს ხ ა ლ მ ა (მსხალი) მოვდა.

ხეობის მეტყველებაში იკვეთება უთანდებულო მიცემითის გამოყენება ადგილის გარემოების ფუნქციით: ბ ა თ უ მ ს (ბათუმში) ჩევდა; მიდის მ თ ა ს (მთაში); გოზგორა ტ ე ე ს (ტყეში) წევდა.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, სინტაქსურ თავისებურებათაგან ხეობის მეტყველებაში დადასტურდა მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, კერძოდ, მსაზღვრელის გამარტივებული სახით გამოყენების შემთხვევები: ჩ ე მ დიდანამ; დ ი დ გელინმა; ჭ კ ვ ი ა ნ ამხანაგმა; ნაცვლად - ჩემმა დიდანამ; დიდმა გელინმა; ჭკვიანმა ამხანაგმა.

გამოიკვეთა ფორმები, სადაც მიცემით ბრუნვაში მდგომ პრეპოზიციულ მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი: სამ გ ე ნ ი ლ(ს); ცხრათ ე ა ლ(ს); სამ ხ ე რ ტ ა ლ(ს); სამ ქ ო რ წ ი ლ(ს); თხუთმეტ დ ღ ე(ს).

გვხვდება სუბსტანტიური მსაზღვრელ -საზღვრულის ნაწილობრივი შეთანხმების შემთხვევებიც: მ უ ხ ლ ი(ს) კვირითავი; ს ხ ლ ი(ს) წვენი; ყ უ რ ძ ნ ი(ს) წვენი.

თავისებურება იკვეთება ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების მხრივაც: ხ ა ლ ხ ი ც ხ ო ვ რ ო ბ დ ნ ე ნ; ზ ო გ ი სახლს ა შ ე ნ ე ბ დ ნ ე ნ; ზ ო გ ი რ ა ნ დ ე ვ დ ნ ე ნ.

ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია სახელობითი ბრუნვის ნაცვლად: ძ რ ო ხ ა მ (ძროხა) მოვდა; მ ზ ე მ (მზე) ამოვდა.

აქაურთა მეტყველებაში ადგილის გარემოება გადმოცემულია უთანდებულო მიცემითით: ტ ე ე ს (ტყეში) წევდა; ბ ა თ უ მ ს (ბათუმში) ჩევდა.

თავი IV

ტაბახმელას ხეობის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურებები

ცოხალი მეტყველების ენობრივ თავისებურებათა განსაზღვრაში ლექსიკას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნობილია, ენის ლექსიკური ფონდი მუდმივად ცვალებადია. მასში ყოველდღიურად მკვიდრდება ახალი ერთეულები და ხმარებიდან გამოდის ძველი, რასაც იწვევს მიმდინარე სიტუაცია, დრო, ახალი ტექნოლოგიები და ა.შ. ამას შესაბამისად მოჰყვება ახალ ფორმათა შემოდინება, მაგრამ ენა მზადაა, რომ თავისი ლექსიკური ერთეულები დაახვედროს უცხო სიტყვას, თუმცა ხშირად, მაინც შემოდის და მკვიდრდება ახალი ერთეული და კონკრეტულ კონტექსტში ახალი სიტყვა მისაღები ხდება მომხმარებლისათვის.

ჩვენი საკვლები მასალა განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკური ერთეულების კუთხით. გამოიყო : არქაული ფორმები; საკუთრივ დიალექტური ერთეულები; უცხო ენის გავლენის გზით დამკვიდრებული ერთეულები; ხატოვანი სიტყვა-თქმები და ანდაზები, სადაც ყველაზე უკეთაა აქაურთა გონებრივი და სულიერი განწყობა გამოხატული.

ჩვენს მიერ გამოყოფილი ლექსიკური ერთეულები შევუდარეთ ქართული ენის განმარტებით, ილია აბულაძის, „ძველი ქართული ენის ლექსიკონს“, ასევე სულხან-საბას, შ. ნიჟარაძის, ნ. ჩუბინაშვილის, ნ. ნოლაიდელის სალექსიკონო ერთეულებს. მასალამ გვიჩვენა შემდეგი შინაარსობრივი თანხვედრა:

ბეჩი – საილუსტრაციო მაგალითში აღნიშნავს შტერს, დელს: ჩვენ ბაღვები ძალიან ბეჩები ვიყავით. ნიჟარაძე ამ სიტყვის თურქულ წარმოშობას აღნიშნავს და განმარტავს, როგორც შტერი, რეგენი; შდრ.: ღლონტი - (გურ. ზ. აჭარ.) ლენჩი მოსულელი; შდრ.: საბა - გაშტერებული.

დგომი - საქსოვი დაზგა: დ გ ი მ ე ბ ი ნ ა გეგეკეთებია, დგომით შალები იქსოვნებოდა, სარტყლები. შდრ.: შ. ნიჟარაძე - ვერტიკალური საქსოვი დაზგა; შდრ.: ღლონტი -(ქიზიყ) ბამბის ძაფი, რომლითაც ამოკრეფილია ქსელი; შდრ.: ჩუბინაშვილი - ქსელთ გამყოფი საფეიქროს სავარცხელი; შდრ.: საბა-ქსელთ გამყოფი, ამწვე დამწვევი საზედაოს გასაწვლელად.

ნარცხი – ეტვიან ჩვენში და ზოგადად აჭარაში პირუტყვის საჭმელს: ანი ესენი შეიტაი და ნ ა რ ც ხ შ ი ჩაყარე რაი! შდრ.: შ. ნიჟარაძე – ხილ-ბოსტნეულის და მისთანა

ნარჩენების ან მორჩვის ნახარში; შდრ.: ლლონტი-(ქიზიყ.) შთამომავალი; (ხევს. თუმ.) ჭურჭლის ყოველგვარი მონარეცხი; (აჭარ.) ხილის ბოსტნეულისა და მისთ ნარჩენების ნახარში; შდრ.: ნ. ნოლაიდელი - ხილის, ბოსტნეულის ნარჩენების ან მორჩვის ნახარში; შდრ.: ჩუბინაშვილი - მწიკულეფანთა ჭურჭელთა ანუ სამოსელთ ნაბანი წყალი; შდრ.: საბა – ნარეცხი.

უფერი - აქაურთა მეტყველებაში აღნიშნავს ხის მომსხვილო, გრძელ ჯოხს, რასაც იყენებდნენ საქსოვად დანიშნულებისამებრ: ოთხათ შეკოჭვილი ხიდან, ზოგჯელ უ ვ ე რ ე ბ ი თ ქსოვდენ. შდრ.: შ. ნიჟარაძე - მცენარის ფოთოლი; შდრ.: ლლონტი -(გურ. ქვ. იმერ.) ცუდი ბალახი ერთად სქლად ამოსული; (აჭარ) მცენარის ფოთოლი საზოგადოდ; (ლერქ.) ბრგე დიდი ახოვანი; შდრ.: საბა - ფოთლიანი რტო.

ტიტველი - შიშველი: ახლა უკეთესი ცხოვრება არის, ჰამა მაშინაც ტ ი ტ ლ ა დ არ ვიყავით; შდრ.: საბა - სრულებით შიშველი.

ტოკვეცი// ტაკვეცი - პატარა ჯოხია, რომელიც ჩვენს საანალიზო მაგალითში სიმინდის საცხევავე ხის კომბალს აღნიშნავს: სიმინდს ახმობდნენ და იმა შემრე ტ ა კ ვ ე ც ი თ მოვნაყვედით; შდრ.: შ. ნიჟარაძე - მსხვილთავა კეტი, რომელსაც სიმინდის საფშენელად იყენებენ; შდრ.: ლლონტი - (ზ. აჭარ.) ოდნავ მოლუნული მსხვილთავა კეტი; შდრ.: საბა – მოკლე კეტი.

უსკურა - სპილენძის თეფში: სპილენძის უ ს კ უ რ ა ი იყო, ძირითადი საჭმელი იყო ლობიაი. შდრ.: ლლონტი - (ზ. აჭარ.) სპილენძის თეფში ფეხიანი; ჩუბინაშვილი - ლანკანი მეტალისა, შდრ.: საბა - ესე არს ილეკროთავან ჯამნი ხუთნი, ანუ მეტნაკლები ერთსა ლანკ ნასა ზედა, ღეროიანად ქმნული სხვადასხვა საჭმელთათუს.

ფუტი - კვამლი, ბოლი: შურთევდით ქირიშებივით ხომორ-ხომორ ხიებს, ფ უ ტ ი იდგა და იდგა. შდრ.: ლლონტი - (გურ., იმერხ.) ბოლი, კვამლი; (იმრ.) 1. ხის ქრქის ღარი; 2. ფუტურო, ფულურო, გამხმარი ხე; 3. ძალიან გამხდარი ქათამი; შდრ.: საბა - ფუტი ფიტი.

ქერეჭი - ქერქი ხაპის, მჭადის, პურის, ხის ... კანი: ხაპს სქელი ქ ე რ ე ჭ ი აქ რაფერნა დაჭრა. შდრ.: ი. აბულაძე - ქერქი ნაქურცენი; შდრ.: საბა - ქერქი საზოგადოდ ითქმის ყოველთა ქერქთათუს, არამედ ქერქი საკუთარ არს ხეთა კანისაუს.

ჩუჩუნაჟ - აქაურელები ეტყვიან ნელ ადამიანს: ლიანამ სამ თვე აჰა მიეყვანა

ჩ უ ჩ უ ნ ა ი უსტიები. შდრ.: ნიჟარაძე - ნელი, ზანტი (აღამიანი); შდრ.: საბა- ჩუჩუნი ძრვასავით რამ მცირე.

წათხი - ყველის შესანახად გაკეთებული მარილიანი შრატი: მე წ ა თ ხ შ ი ვიცოდი ყველის შენახვა. შდრ. შ ნიჟარაძე - ყველის ჩასადები მარილიანი შრატი - სითხე, წაკი. შდრ.: ლლონტი - (რაჭ. ქართლ.) მარილის წყალი ყველის ჩასადებად: შდრ.: საბა - წათხი მლაშე ბალღამი.

ჭიმური - ცხელ მჭადში შეზღობილი კარაქი: ჭიმური ვიცოდით, ჭად დავეშინით და იმა კარაქ შეაზელ. შდრ.: შ. ნიჟარაძე - ერბოში ან საჭმელში ჩათუშნილი მჭადის ლუკმა; შდრ.: ლლონტი - (ქიზიყ., მოხ., ქსნის ხობ.) ხავინჯით საჭმელია: ღორის ქონში მოხალული სიმინდის ფქვილი; შდრ.: ნ. ჩუბინაშვილი - ბრინჯი ანუ სხვა მარცვალი მოხარშული და შემდგომად ერბოში მოხრაკული, ვითა ფლავი; შდრ.: საბა - ჭიმური ესე არს პური დაფხვნილი, გინა ბრინჯი, ანუ სხვა მარცვალნი მგბარი ერბოსა, ანუ ზეთში მოხრაკონ, რომელსა სპარსნი ფლავსა უწოდენ.

ჭლიკი - ფეხის ნაწილი მუხლიდან კოჭამდე: ამა ქვეი ჭ ლ ი კ ე ბ ზ ე ჩასაცმელი. შდრ.: 1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი - იგივეა რაც ჩლიქი. კუთხ. (აჭარ.) ფეხის ნაწილი კოჭიდან მუხლამდის; შდრ.: ჩუბინაშვილი-ჩლიქი. შდრ.: საბა-ჭლაქი, ჩლიქი.

ხავინჯი - ზემო აჭარაში გავრცელებული კერძია, რომელიც მზადდება კაიმალითა და მჭადის ფქვილით: ნალებს დასწვავ და ჭადი ფქვილ ამუკიდევ, მაგას ხ ა ვ ი წ ვეტყვით. შდრ.: ლლონტი - (გურ., თუშ., ხევს., ფშ., ჯავახ., მოხ., იმერ.) საჭამადი. ამზადებენ თათლისა და პურის ფქვილისაგან. შდრ.: საბა - ფქვილი ერბოთ მგბარი.

ხარო - ბელლის სათავსო, ორმო: რატონ და იქ შენახული იყო, მეც მქონდა ხის სახლი მქონდა იქ ბელელი, ბელელში ხ ა რ უ ე ბ ი იყო. შდრ. ნიჟარაძე - ბელლის (ან სასიმინდეს) ნაწილი - ყუთის მსგავსი დიდი ტევადობის სათავსი დაფუშნილი სიმინდის, ლობიოსა და მისთ. შესანახად, - ამბარი; შდრ.: ლლონტი - (ქართ., ქიზიყ., მესხ., თიან.) სკივრი ხორბლის შესანახად; დიდი ღრმა ორმო, პურის ორმო; (გურ.) ნალია, სასიმინდე; შდრ.: ნ. ჩუბინაშვილი - ქვითკირის ორმო; შდრ.: საბა - ხარო ქვითკირის ორმო.

ხეჭპო - ნიგვზის გარეთა ნაჭუჭი: კარტლი ხ ე ჭ ბ ო შ ი ამ ქვეყანას მუათავსებსო; შდრ.: შ. ნიჟარაძე - ნიგვზის, თხილის, კვერცხისა და მისთ. საფარი, კანი, ნაჭუჭი; შდრ. ლლონტი - ხეჭპო (აჭარ.) კაკლის გარეთა მაგარი კანი; შდრ. საბა - ქერქი საკუთარ არს ხეთა კანისაჲს.

ამდენად, ზემომოყვანილმა მაგალითებმა დაადასტურა მთელი რიგი ლექსიკური არქაიზმებისა ხეობის მეტყველებაში. განსაკუთრებით კი, მოხუცთა მეტყველებაში, რაც იმედს აჩენს იმისას, რომ ჯერ კიდევ დავინწყებას არ მისცემია ძველი ქართული ენის სიტყვათა მარაგი.

აქაურთა მეტყველებაში გამოიკვეთილი ბევრი დიალექტური ფორმა, რომლებიც განმარტებულია შუქრი ნიჟარაძის „ქართული ენის აჭარულ დიალექტში“, რომელთაც წარმოგიდგინთ:

ბადადი - ჩვენს საკვლევ მასალაში, იგივეა, რაც ჩვარი, ბანდი: ჩანთები გვქონდა ბ ა დ ა დ ი დ ა ნ ამოკერილი, ი ბადადიც რაფერ ნახეს ისიც საკვირელი იყო. შდრ.: შ. ნიჟარაძე - ჩვარი, ჭინჭი, დასტამალი, ბანდი; შდრ.: ლლონტი - ჩვარი.

დაყვერება - ნიჟარაძის ლექსიკონის და აქაურთა მეტყველებაშიც, აღნიშნავს ორი (ან მეტი) უღელი ხარ -კამჩის - ყვეარის შებმას უღელში: ხარებს დ უ ყ ე ვ რ ე ბ დ ი თ.

კოლოტური ქალამანი - ქალამნის წინა მხარე დახვრეტილია და თასმა ამოხვეული: ქალამნებს ვკერევიდით, კ ო ლ ო ტ უ რ ი ც იყო, შამოხვევლიც. შდრ. შ. ნიჟარაძე - ქალამნის წინა მხარე თასმის ამოხვევითაა ნაკერი.

კუტი ლამბაჲ, იგივეა რაც ფეჩატაჲ - აქაურელები სახლში აკეთებდნენ შუშის ბოთლისგან, ბოთლში ნავთს ჩაასხამდნენ, მრგვალ ვიწრო თუნუქში მარლას გაატარებდნენ და ბოთლს გაუკეთებდნენ: ლამბები იყო, კ უ ტ ი ლ ა მ ბ ე ბ ი. შდრ. შ. ნიჟარაძე - იგივეა რაც ფეჩატაჲ. ლამბა ხელში საჭერი უშუშო ლამბა, - ჭრაქი:

მაკარიაჲ - პატარა ყუთია, რომელსაც აქაურელები ნემსი-ძაფის შესანახად იყენებდნენ: მ ა კ ა რ ი ა ი ლემსი-ძაფის ჩასადებია. შდრ.: შ. ნიჟარაძე - პატარა ხის ყუთი, რომელშიაც ინახავენ ხოლმე წვრილმან საოჯახო ნივთებს.

სალაეთი - ნიჟარაძის ლექსიკონის მიხედვით საერთო, სასოფლო, საძოვარი: თიებო, თიებო, **ს ა ლ ა ე თ ე ბ ო** ტყიებო. შდრ.: ნიჟარაძე-საერთო სასოფლო საძოვარი.

ფურუჯი - შესანახად გამხმარი მსხალი: პანტა სხალს გაუახმობდით - **ფ უ რ უ ჯ ს**. შდრ.: ღლონტის და ნიჟარაძის ლექსიკონის მიხედვით - (აჭარ.) შესანახად გამხმარი მსხალი, ყურძენი და მისთ.

ჩოროთანი - აქაურთა მეტყველებაში განურული დო: წინინ იმფერი მეშოკებით ფევილი მოდიოდა, ისინი გავრეცხე, გამოვხარშე და **ჩ ო რ ო თ ნ ი** ჩასანურავაი გავაკეთე. შდრ.: შ. ნიჟარაძე - განურული დო ან შრატის დადულებით მიღებული დანალეფი.

ძიგლიგაჟ - ციგას უკეთებდნენ თვლებს და იყენებდნენ ზაფხულობით სხვასხვა ჭირნახულის მოსაზიდად: ზაფხულში **ძ ი გ ლ ი გ ა ი** გვექონდა და იმით ვზიდევდით ყართოვ, სიმინდს მე რა ვიცი. შდრ. შ. ნიჟარაძე - პატარა ურემი, მთის ურემი. შდრ.: ღლონტი - (ზ.აჭარ.) პატარა ურემი.

წირითავი - ხის საცეხველი: კორკოტ მემრე იმაში **წ ი რ ი თ ა ვ ი** თ დავნაყევდით. შდრ.: შ. ნიჟარაძე - მოკაუჭებული ხე, რითაც ფილთაქვაში ნაყავენ საკორკოტე ხორბალს.

აჭარული დიალექტი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა თურქული ენის ზეგავლენას, რამაც ხელი შეუწყო თურქიზმების შემოღინებას ჩვენს მეტყველებაში და დამკვიდრებას. ამ შემოტევას ჩვენი საკვლევი ხეობაც ვერ გადაურჩებოდა, ბუნებრივია. შესაბამისად, გვაქვს თურქული ენიდან შემოსული და დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები:

ანაჟ (თ.) - (ზ. აჭ.) დედა: **ა ნ ა ი** ახალი იყო.

არაბა (თ.) - (ეკიპაჟი, ფურგონი) ურემი: დედაბრებს გზავნიდნენ **ა რ ა ბ ე ბ ი თ**.

არხატაში (თ.) - ამხანაგი, სწორი, ტოლი: ჩემი და ბაღვ **ა რ ხ ა ტ ა შ ა დ** წეიყვანდა.

ალა (თ.) - აჭარაში თურქთა ბატონობის პერიოდის პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი. საზოგადოებრივი მდგომარეობით ალა აზნაურულ წოდებას

ეთანაბრებოდა; ბეგზე დაბლა მდგომი: სამსახურში იყო მარტო ა ღ ა ტადაი.

ბაბოჯ (თ) - იგივეა რაც მამა: ბ ა ბ ო ი წევდოდა გვიხარიოდა რაცხას მეიტანსო.

ბაშლული (თ.) - საცოლის დანიშვნის დროს გაღებული საჩუქარი, - ქრთამი, საპატარძლოს მშობლებისათვის: ქალის მშობლებს ბ ა შ ლ უ ლ ს აძლევდნენ.

ბეთმეზი (თ.) - ხილის წვენი, დადუღებული, თაფლივით სქელი და ტკბილი: ბ ე თ მ ე ზ ი რომ ცოტა მოდუღდებოდა, ქესტანას დავჭრიდით და ჩავეყრიდით .

ბეჭი (თ.)- ქალის დანიშვნასთან დაკავშირებით გაღებული საჩუქარი - „ბოხჩა - ნიშანი“: რუმ გიეთხუებოდი, ბ ე ჭ ი ნ ა წეველო.

ბითევი (თ.) - მთლიანი: ჩაველით , რუმ ბ ი თ თ ე ვ ი ბოძავრის ხალხი იქ იყო.

ბოჯა (თ.) - საღებავი: შავი ტლაპონა იეტანეს, რომ შიეღებეს, ბ ო ი ა ც არ იყო ბოიაც.

ბოლათ (თ.) - ბლომად, უხვად: ახლა ბ ო ლ ი დროა, ჭამიდანაც და ჩაცმიდანაც.

ბოშუნა (თ.) - ტყუილად, - უბრალოდ: ვუთხარ ბ ო შ უ ნ ა იტანჯებით.

გენილი (თ.) - პატარძალი: ნაზენას გ ე ნ ი ლ ი ვარო და იმაზე მივალლო.

გერჩექ (თ.) - მართალი, ნამდვილი, ჭეშმარიტი, უტყუარი (ამბავი ...): გ ე რ ჩ ე ქ გაველ, ჰამა რანა ქნას გასლამ ამისისხო თავი გახდენოდა.

გოზგორა (თ.) - აშკარაა, უეჭველია; ნამდვილად: ღორჯუმ გიეთხუა, ბიჭი ექიმი იყო და შეიყვარეს, რა ქნეს გ ო ზ გ ო რ ა, მე რავიცი და გიეთხუა.

ღონუმი (თ.) - ჯერი, გზა, რეისი: ჯვარიქეთი რუდან ერთი-ორ ღ ო ნ უ მ ვიზემდით.

ეილუგი (თ.) - სიკეთე, პატივისცემა: იმდენი ე ი ლ უ გ ე ბ ი ჩეგვეყარა წყალში.

ელჩი (თ.) - შუამავალი, მაჭანკალი; მამვალი: ე ლ ჩ ი თ გავთხოვდი.

ზენგინი (თ.) - მდიდარი: ზ ე ნ გ ი ნ ი კაცი.

ზირკლი, იგივე რაც ფოშა (თ) - ინდ. 1. მოხეტიალე უსახ-კარო ხალხი (ინდური წარმოშობისა): რანა ეჩუქებია მე რა ვიცი ზ ი რ ი კ ლ ი იყო.

თახუმი (თ.) - 1. აჯათი, ინსტრუმენტი, ზინათი; 2. გვარი, ტომი, ჯიში: ვინცხას რძალი მოსარჩენი ჰყავდა აკვნის თ ა ხ უ მ ს ვუძახიდით ვანყობდით; მემიანთ თ ა ხ უ მ ე ბ მ ა იცოდნენ სიმღერები.

თექ (თ.) - კავშ. ოლონდ, როგორმე: კაი დედამთილი მყავდა, ვეტყოდი თ ე ქ შენ ბაღვებთან იყავ, საქმე ნუ შეგედერდება.

თორი (თ.) - 1. ბადურად ნაქსოვი სარტყელი: ბადე. თ ო რ ი ნ ა მეგვექსოვნა, აბრეშუმის ქამარივით იყო, შრვალში გუყრილი.

თორომა (თ.) - შვილიშვილი, ბაღში; მოდგმა-შთამომავლობა, გვარი, ჯილაგი: ჯემპრები მთელ თ ო რ ა მ ა ს დურიგა არ დეითლება.

იშტა // იშტე (თ) - ერთი სიტყვით, ამგვარად: ი შ ტ ა ვიყავით ჯამთელი მე რა ვიცი.

ოდა (თ.) - ოთახი: მეზობლის მეიდან ო დ ი ე ბ შ ი დანაწილდებოდნენ.

ოფე (თ.) - კარტოფილის, ლობიოს, კიტრისა და მისთ. ჩასათესად გაკეთებული ორმო: ყართოფისთვინ ხელით ო ფ ი ე ბ ს ვაკეთებდით, მემრე გადვილდა.

სობა (თ.) - ღუმელის მილი: ს ო ბ ა ი არ იყო წინწინ ბუხარი იყო.

ფახირი (თ.) - სპილენძის ჭურჭელი: ფ ა ხ ი რ ი ს საინები იყო, ეიქ თავანში არი.

ფილიჯი (თ.) - თამბაქოს წვერის ფოთოლი : ფ ი ლ ი ჯ ს ა ც ცალკე ვასხემდით.

ფუსკული (თ.) - ფერადი ძაფის ან სირმის ფუნჯული: ფ უ ს კ უ ლ ი ა ნ თარაბულოსებს შამერტყემდენ წელზე,

ყათი (თ.) - 1. ფენა, პირი ; 2. სართული: ჩვენ ქვეი შვიდი ყ ა თ ი ა, ჩვენ ზეი შვიდიო.

ყაფსაფა (თ. დიალ.) - ჩირის შეჭამადი: ქლიავს გაახმობდენ და ყ ა ი ს ე ფ ე ს რაცხას გავაკეთებდით.

ყათალი (თ.) - ჭურჭლის თავსახურავი: ასე ზეიდან ყ ა ფ ა ლ ი ქონდა.

ყიშლა (თ.) - საზათხულო საძოვრების წინა საფეხური, სათიბი და აგრეთვე საგაზათხულო და საშემოდგომო საძოვარი თივის ალების შემდეგ : ყ ყ ი შ ლ ა დათოსაც ღუნგრევი, გაყიდა.

შორვა ჩორბა (თ)- **ნახარში (შეკმაზული) კერძოდ**, - წვნიანი შეჭამადი, წვენი, „სუპი“ სახვრეპი: ჯინჯრი შ ო რ ვ ა რუმ გავაკეთე იმაზე ნაყურები ხარ?

ჩათინი (თ.) - ცუდი, უვარგისი: მაშინდელი გენილობა ბირდან ჩ ა თ ი ნ ი იყო.

ჩადრი (თ.) - კარავი, ფარდული; აქაურთა მეტყველებაში ქალის თავსახურავი: წინდანა ექსოვნა, დერთო, გეჩეჩა , ჩ ა დ რ ი დ ა დიფხურა.

ჩეშიტ - ჩეშითი (თ.) - ნაირ-ნაირი, სხვადასხვაგვარი: იმისისხო შვიდ ჩ ე შ ი ტ ძაფ ეილებდენ და იმა დაკოჭევდნენ.

ძიგარად (თ.) - ქალაქში შეხვეული თამბაქო, მოსაწევად გამზადებული: ახლა ძ ი გ ა რ
ა ს ვსვამ და იმა მიყვირიან.

ჯვალი - (თ.) დიდი ტომარა: დიდვანი ხარანაი ჯვლები მქონდა სამი-ოთხი და არცეთი
ალარ არი.

ჰვენგ-ი, ხევენგ-ი (თ.) (ქობ.) - თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა, - ავანგი: უნინ ჰ ვ ე ე
ნ გ ე ბ ს ვაკეთებდით.

დასტურდება თურქულის გზით შემოსული არაბული სიტყვები:

ადეთი (არაბ.) - ადათი; ჩვეულება: მაშინ ა დ ე თ ი იყო.

აჯაფ (არაბ.) - ნეტავ, ნეტავი, მართლა: ჩემი ტელეფონი ჰად არი ა ჯ ა ფ ა ნ ი?

ბერეჟეთი (არაბ.) - ბარაქა, სიუხვე: ბ ე რ ე ქ ე თ ი ექნებაო, აფუფუნებული იქნებაო.

გაჰასილება (არაბ.) დარბილება: პური ცომივითნა მოგვბილა, გ ე გ ე ჰ ა ს ი ლ ე ბ ი ა.

გაჰაზირება, გახაზირება (არაბ.) - წინასწარ მომზადება: წინინ სტუმარი მოვდოდა, ქალები
საჭმელ გ ა ჰ ა ზ ი რ ე ბ დ ე ნ.

დეიხარჯვის (არაბ.) - ევფემიზმი. გად. გარდაიცვლება: ტაიაი იქ რომ დ ე ი ხ ა რ ჯ ა.

ემიად (არაბ.) - მამის ძმა, მამით ბიძა: შევექეთ ე მ ი ა ი იყო, მეგემ ისიც ნუსხევდა.

ებბელი (არაბ.) - მუღამ: ე ბ ბ ე ლ ი არ დიმიწთია, ბარსამს ჰქონდენ ადეთები.

ეჰვენათ (არაბ.) - ზმნს დაუბრკოლებლად: კარჭლი ფესვში გარონიებდენ და ე ჰ ვ ე ნ ა ი
მეიხდიდა.

ზათი (არაბ.) - წინათ ან ნამდვილად: ზ ა თ ი ხბო რაცხა გვექონდა ი გვენაწილეთ.

ზიბილი (არაბ.) - ჭუჭყი, ბინძური: ფერიშხანა რა რის და ზ ი ბ ი ლ ი ს ასალები.

თეჟმილი (არაბ.) - სრული, მთლიანი: ღმერთო ყველას თ ე ქ მ ი ლ ი ჭკუა მიეც.

ილლე // ილლაჰ (არაბ.) - ზმნს. უთუოდ, უეჭველად: ი ლ ა ჰ მუტანდნენ ქორწილის წინ.

ინსანი (არაბ.) - ადამიანი, კაცი: მახას მუზირი ი ნ ს ა ნ ი ხახას დალებს შენსკენო,

მეიდანოდა (არაბ.) - სტუმრისათვის განკუთვნილი ოთახი: ბათუმაც იყო ბათუმაც, მ ე ი დ ა
ნ ო ლ ა, ჩვენი ქალების იქ შესლა არ იზემდა.

მოსაფირი (არაბ.) - სტუმარი: იმისი მ ო ს ა ფ ი რ ი ს ოთახი ცალკე იყო.

მუზირი (არაბ.) - ბოროტი, ცბიერი: მახას მ უ ზ ი რ ი ინსანი ხახას დალებს შენსკენო.

მუნქური - (არაბ.) უმადური, უკმაყოფილო: გენილი უარებოდა მ უ ნ ქ უ რ ი არ ვარო.

ნიეთი (არაბ.) - განზრახვა: ნიეთი არ ქნა.

ხარტლული (არაბ. + თ.) - სახარტო ფული: ხ ა რ ტ ლ უ ლ ი ა ე აიშოი რაფერ წვალობს.

სედრი (არაბ.) - იგივეა, რაც სეფვი, კედლის გასწვრივ მიშენებული ტახტი:

ტიტველი ს ე დ რ ე ანი, საგები არ გვქონდა.

სოხახი - (თ. არაბ.) ორლობე; ეზო - კარმიდამო. ჩვენს საკვლევ მასალაში იატაკის მნიშვნელობით ითქმის: მე იმფერი ბებიანი მყავდა ჩვენ დაგვილ ს ო ხ ა ხ ე ბ ს არ იკადრებდა, ლამაზათნა დეგეგავა.

ფუხარა (არაბ.) - ღარიბი, ლატაკი: ხანუმ, ფ უ ხ ა რ ა მ ქონება ნახა.

ყირმიზი (არაბ.) - 1. წითელი ფერი: ყ ი რ მ ი ზ სიმინდ ძინარას უძახიდენ.

ქულფეთი (არაბ.) - ცოლ- შვილი, ჯალაბობა: შენ არ გიყვარს ქ უ ლ ფ ე ტ ი შჭამს.

ყუსური (არაბ.) - ნაკლი, მანკი: ღმერთო ყ უ ს უ რ ე ბ ი გვაჩუქვე.

ყურშუმყელემი (არაბ.) - გრაფიტის ან ტყვიის ფანქარი (შავი ფერის): ბერები ფანქარი მომიტაიო არ იტყოდნენ, ყ უ რ შ უ მ ყ ე ლ ე მ ი მომიტაიო ...

ხასი (არაბ.) - ძვირფასი: ხ ა ს ა თ ჩამთბარი იყენ ბალვები.

ჯეიზი (არაბ.) - მზითვევი: ჯ ე ი ზ ა დ წინწინ ისე იყო სკივრი გატანება.

ჰავამაშინად (არაბ.) - თვითმფრინავი, ჰაეროპლანი:

ძველად თვითმფრინავს ჰ ა ვ ა ბ ა ლ ო ნ ს ვუძახიდით, ბერები დაჯდებოდნენ და ჰავა ბალონმა გეიარაო.

ჰევესი (არაბ.) - ხალისი, სურვილი: საინში იალ დადებდა შ ე მ ე ჰ ე ვ ე ს ე ბ ო დ ა.

ჰელბეთ (არაბ.) - ალბათ: ახლა ცხოვრება ჰ ე ლ ბ ე თ გაადვილდა.

ჰიქმეთი (არაბ.) - საოცარი: რა ჰ ი ქ მ ე თ ო ბ ა გამოვდა არ ვიცი.

თურქელის გზით შემოსული სპარსული სიტყვები:

ახორი (სპ.) - ბოსელი: ა ხ ო რ შ ი არ ჩიმიყვანდა, არ მანველიებდა აფერი.

ბელქი (სპ.) - იქნებ, შესაძლებელია: ბ ე ლ ქ ი დ ა ბერი იყო, ან ბლენი.

გოია (სპ.) - თითქოს, ვითომ, ვითომც: გ ო ი ა რაცხას აჩუქებდა კაცი.

დედე (სპ.) - პაპა, ბაბუა: ჩემა დ ე დ ე მ დეინახა, კაი ბალვიაო.

ერისტე (სპ.) - ნამცხვარი. ჰავანში იჭრებოდა თუთუნი, ახლა ე რ ი შ ტ ა ს ჭრიან.

ზენტირი (სპ.) - ჯაჭვი: კინის ზ ე ნ ტ ი რ ე ბ ს ჩევტანდით, ჰემ სიმაგრე იყო.

თეშტი, ლეგენი (სპ.)- სარეცხის გასარეცხი დიდი ტაშტი: დიდ თ ე შ ტ შ ი ჩაჰყრიდნენ ტანსაცმელს.

უსტა (სპ.) - ოსტატი, ხელოსანი: პილლავი ალმელი უ ს ტ ა გვყავდა.

ფეშკირი (სპ.) - პირსახოცი: ეისე კუჩხეში ამხელა მოქსოვნილი ფ ე შ კ ი რ ი იყო.

ფეშტამალი (სპ.) - ქალის წინსათფარი თავშალი: ასე შეკერევი ფ ე შ ტ ა მ ა ლ .

ფიშმანი (სპ.) - ფიქრი, სინანული: ვებნევი აშენეთ ჰამა ფ ი შ მ ა ნ მოხვალთ მეთქი.

ფოსტი (სპ.) - მოქნილი ტყავი თხის ან ცხვრისა: ფოსტებს ვიგებდით, ჰამა რანა გიყოს - ერთი დადექ და ზორით დანყვეტილი ვართ.

ქარი (სპ.) - სარგებელი , მოგება, სარტა: სხვის ავატყოფობით რა ქ ა რ ი გაქ?

ქემერი (სპ.) - ქამარი, სარტყელი: სარტყელზე ქ ე მ ე რ ს შამეირტყემდი.

ქილიმი (სპ.) - ნოხი, მსხვილი მატყლის ძაფის უხაო ქსოვილი, ფარდაგი: კარები არ გვეონდა, ქ ი ლ ი მ ე ბ ი ჩამოვკიდეთ.

ხაფროზი (სპ.) - შარდის სადენი თუნუქის პატარა ქილა, აკვანში გაკეთებული (ბავშვმა რომ არ დაისველოს) - შიბაქი: ლამაზი ფანელის დიდი ჩვარი, მერე ხ ა ვ რ ო ზ ა ი .

ჯაზი (სპ.) - მკითხავი, მისანი, გრძნული: წინწინ ჯ ა ზ ო ბ ა იყო.

ჰავანი// ხავანი (სპ.)-თამბაქოს საჭრელი მონყობილობა, დანა - დაზგა:

ჰავანში იჭრებოდა თუთუნი, ახლა ერიშტას ჭრიან.

ჰამან (სპ.) - ზმნს მაშინვე, იმავე წუთს: ჰ ა მ ა ნ ხომ სახლი მონმენდილი არ არი.

აქაურთა მეტყველებებაში დადასტურდა სხვა უცხო ენიდან შემოსული რამდენიმე ლექსიკური ერთეულიც.

იტალიური: ისკელე (იტ.) - სახელდახელოდ დადგმული დაზგა მშენებლობაზე მომუშავეთა ზედ დასადგომად,- ხარაჩო: ჩემი მანთილი სამ თვე ი ს კ ე ლ ე შ ი იწვა.

ფრანგული: ვარია (//ვარელა) (ფრ.) - თიხის ან ხის მოგრძო ჭურჭელი, რაშიც კარაქს იღებენ რძის ან მანვნის შედღვეებით: ლამეი ვ ა რ ი ა ი ნ ა შეგერეკა.

კაშნე (ფრ.) - ყელზე შემოსახვევი ქსოვილი: წელზე კ ა შ ნ ი დეიხვიე.

ურუბა, ურბა (თ.ფრანგ. იტ.) - ტანსაცმელი, ტანისამოსი: გოზგორა უ რ ბ ა ს ხომ არ გეიძრობდა, ისე დანვებოდა.

ენის ექსპრესიულ შესაძლებლობათა საგანძურში დალექილია ისეთი სემანტიკური სიტყვათშეერთებანი, რომლებითაც გადმოცემულია მოკლე, ლაკონური აზრი, ან შეგონება, რომელთაც ხატოვანი სიტყვები ჰქვია. ისინი მოსწრებული გამოთქმების, ფართოსანი სიტყვების, სიტყვის მასალების, ანდაზებისა თუ მისთანა სახითაა დამკვიდრებული და ფართო ადგილს იჭერს საუბარში. მათი ლექსიკურ-სემანტიკური თვისებები ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი, არც ისაა მთლად ნათელი, თუ რომელმა დარგმა უნდა იკვლიოს ამგვარ სიტყვათშეერთებათა სტრუქტურა და სემანტიკა - სინტაქსმა თუ ლექსიკოლოგიამ.

ხატოვანმა სიტყვა-თქმებმა იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობაა მოცემული მ. ხუბუას, ალ. ლლონტის, შ. ნიჟარაძის, შ. ძიძიგურის, ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურა იდიომებთან მიმართებაში შესწავლილი აქვს ა. თაყაიშვილს (ქართული ფრაზეოლოგიის საკითხი, თბ., 1961), შ. ლლონტმა საგანგებოდ შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიზმები და 1968 წელს გამოსცა „რუსთაველის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ და სხვებს.

ხეობის მეტყველების სიტყვიერმა მასალამ მოგვცა შესაძლებლობა წარმოგვედგინა ის ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გაქვავებული თუ მყარი სიტყვათა შეხამებანი, რომლებიც სპეციფიკურია ტაბახმელას ხეობის მეტყველებისათვის:

ამჟავებული მიდიოდა სკოლაში - ცუდ ხასიათზე ყოფნა: შივამჩნიე ბალანაი გამოძინებული არ იყო, ა მ უ ა ვ ე ბ უ ლ ი მ ი დ ი ო დ ა ს კ ო ლ ა შ ი.

ბევრს ერახუნება - უცოდინარი ადამიანი ბევრ სისულელეს ამბობს: რათ მინდა და ბუმბუმი ხომ არნა წახვიდე ამ ქვეყნიდან, ერთი ც ა რ ი ე ლ ი კ ა ც ი ბ ე ვ რ ე რ ა ხ უ ბ ე ბ ა ო.

გეიბჯინა ფეხები - გაჭიუტდა: ე რამბავია ჩვენ რაულივით გ ე ი ბ ჯ გ ი ნ ა ფ ე ხ ე ბ ი, ეიგერ ნინოს მულმა გამურჩია, აფერი არ...

დამწვარი ფეხები - მოუცლელია: ანი თემურის „ფ ე ხ ე ბ ი დ ა მ წ ვ ა რ ი ა ქ“, თევფიყ ემოი შამუთლის ი დავინყდაო თიდან რომ ჩამევეყვაი და გაყინვას გადავარჩინეო, ერთი მნახოსო, ჰამა ჰად არი ვერ მეიცალა.

დანა პირს არ მიხსნის - ძლიერ გაბრაზებულია: გამუეღლ სახში და დ ა ნ ა პ ი რ ა რ მ ი ხ ს ნ ი ს, გავხელდი თუნა გამგზავნო ქორწილ დღე გამგზავნე მეორე დღე ჰა მგზავნით მეთქი.

დანყვეტილი ვართ - უმიზნოდ, უშედეგოდ განეული შრომა: ანი ფატოვ იმ მიწაზე უდომას რაფერ ვუძლებდით, ფოსტებს ვიგებდით, ჰამა რანა გიყოს - ერთი დადექ და ზ ო რ ი თ დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ი ვ ა რ თ.

ღუნის გამოცლა - გარდაცვალება: მუხამედ ემიამაც გ ა მ ე ი ც ვ ა ლ ა დ უ ნ ი ა , ჰა!

ენაბალნიანი - ნიშნავს ტკბილად მოსაუბრეს: ზემზემაი დოკნისიდან იყო, ძალიან დიდებული ქალი იყო, რაფერი ენა ჰქონდა „მოგრილი“, ბაღვებ იავრებო, ისე ეტყოდა, „ე ნ ა ბ ა ლ ნ ი ა ნ ი“ იყო.

ვარ არტყემდა - უარს ეუბნებოდა: მე კაბაზე მეგებლაჭები და მიგიყვანო, შენო არ წიგიყვანო ვ ა რ ა რ ტ ყ ე მ დ ა.

თავი ქუღში აქ - საქმე გაკეთებული აქვს, უდარდელად არის: ჩ ე მ კ ა ც თ ა ვ ი ქ უ ღ შ ი ა ქ ჰამა შენ მანთილს რაფერ აქ არ ვიცი? ეის სისონი ხელში ხეფს, თქვენ დანჯდარი სახჩი.

თვალი გვჩებოდა - ძლიერ მოგვწონდა: კალოში ნატრული ვიყავით, ვინცხაი ჩეიცვამდა თ ვ ა ლ ი გ ვ ჩ ე ბ ო დ ა.

თვალის წასვლა - რაიმეს მონდომება: აკი არ გინდოდა ბებო? მე რა ვიცი დევნახე თ ვ ა ლ ი წ ი მ ი ვ დ ა.

მიგდებული მაქ ყური - ნიშნავს ლოდინს, თუ როგორ გადაწყდება საქმე: ეიქ ჩემ ემიას ემენ მომკდარა და მ ი გ დ ე ბ ე ლ ი მ ა ქ ყ უ რ ი აქ მოჰყავან თუ არ.

სულს ღაფავს - გამოუყენებელი ხდება, ფუჭდება: თუთუნი ჩანოლილია და ს უ ლ ს ღ ა ფ ა ვ ს.

ყიაში წაჭირება - დაგროვილი საქმით შეწუხება: ახლა რომ მე წ ი მ ი ტ ი რ ე ბ ს ყ ი ა შ ი ს ა ქ მ ე, ანაი გამასხენდება.

ყრუები - ითქმის უცოდინრობის, უსწავლელობის, მნიშვნელობით: ბითთევაი ჩამორჩენილი არ ვიყავით ამ ცხოვრებიდან იმ ცხოვრებაში, მთლიანი ყ რ უ ე ბ ი ც ა რ ვიყავით, ჰამა...

ყურების დაყრა - საქმის არაფრად ჩაგდება: ამ გამოცდებს არ ვაქცევდი ყურადღებას, დაყრილი მქონდა ყურები.

შავ ფეხაი - რძლის მოყვანის შემდეგ ოჯახში, ცუდად წასვლა საქმისა: თუ არ მუვლოდენ შავ ფეხაი დარჩაო.

შამოდებული კუდი ყავარზე - იმედინად ყოფნა: მარინას ვუთხარ თველზე ამოი და დედას მუარე, შვილი მომლილი გემრიელიაო, ჰამა მითხრა როიცხა ამუელ გენილი რამეზე ხელს არ მაკარებიებსო და იმასაც „შამოდებული კუდი ყავარზე“.

შვილები წარეა - შვილის სიკვდილით გამოწვეული დარდი ადამიანს ანადგურებს: საბოლოო შვილი რუმ მუკდა მეგემ ცრემლები გადმოყარა და მეგომ მაშინ თქვა: შვილები წარეაო.

ჩხირის მისობა - ძლიერ დაავადმყოფდა: ამ ნადიკოზე ჯანთელია, ამან ბირდან მისო ჩხირი.

წარე კაცი - იტყვიან სასტიკ ადამიანზე: ოსმან ემიაი წარე კაცი იყო.

წარე სიტყვა შეგჭამს - უპატივცემულობა, დამცირება ადამიანს ბოლოს მოგიღებს: მარა საქმე ვეფერ ვერ გიზამს წარე სიტყვა შეგჭამს.

წარე ცხოვრება - მუშაობით დატვირთული: ფატოს წარე ცხოვრება აქ მომლილი, მზეს პირი თუთუნზე არნა მიეკრა, ოთხ საათზე დგებოდნენ, აღიოდენ.

წინ წამუელითო - ოჯახის საქმის კარგად წასვლა: იტყოდნენ რაც ეს შამევეყვაით წინ წამუელითო.

წყალში ჩეგვეყარა - ფულის უსარგებლოდ დახარჯვა: ე სახლი რუმ ევშენე ბერმა ბუხრი ქუები მეიტანა, მარბაში ე დიდვანი სობები გამოვდა, ი ბუხრი ქუები ეიქ იყო, მასობაში სობები გამოვდა და ათასი მანათი წყალში ჩეგვეყარა.

აქაურთა მეტყველებაში დადასტურდა ანდაზებიც:

კაი ცხენიო ქერს მეიმატებსო და გლახა ბზესო, კარქსო ქატოს აჭმევენო და გლახას

ნამჯასო - კარგი საქციელის მქონე ადამიანს დიდ პატივს სცემენ, ცუდის ჩამდენს უპატივცემულოდ ექცევიან.

მანათი გევექნიე და სუფრა გაუშალო - ცოტა ფულის დახარჯვის შემთხვევაში ბევრი რამის ყიდვა შეიძლებოდა.

რაც უქნია მამაშენსო, შენც ნუ დახევ მარმაშებსო (სილგი) - მამას როგორც უცხოვრია ისე იცხოვრე და არ შეარცხვინო.

ტკბილი სიტყვით მთაში ირემი მონწველილა; ტკბილი სიტყვით რკინის კარ გააღებ - თბილი საუბარი ყოველთვის მომგებიანია.

ფეხი აქ არ დეგედგა, იქ არ დეგედგა, არ გადავარდებოდიო- კარგად რომ დაფიქრებულიყავ, ცუდი არფერი შეგემთხვეოდაო. რამითჩელ საბერძნეთში ჩევდა, აფერი არ დიემართა და აქ... ფეხი აქ არ დეგედგა, იქ არ დეგედგა არ გადავარდებოდიო, იმისა არ იყენს...

შენი ნაქნარი წელ გატკენს და სხვისი - გულსაო - საკუთარი ძალებით გაკეთებული საქმე დაგლღის, მაგრამ საქმით კმაყოფილი დარჩები, სხვისი გაკეთებული საქმით არ დაიღლები, თუმცა არ მოგეწონბაო: ანი ძველების ნათქვამია: შენი ნაქნარი წელ გატკენს და სხვისი გულსაო, შენთვინაინა ეცადო სხუას დროის გაყვანაზე აქ საქმე.

შენი ხელიო, შენ გულ გატკენსო - საკუთარი გაკეთებული საქმით, უკმაყოფილოდ დარჩენა. შენი ხელიო, შენ გულ გატკენსო, აჰა შემეზარა ამათი მილაგება და მომისწარ ჰამან.

როგორც ვხედავთ, ტაბახმელას მეტყველებას საინტერესო ლექსიკა აქვს დაცული ხატოვანი სიტყვა-თქმებისა და ანდაზების. ბუნებრივია, ნაშრომში საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის არნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ნათელს ხდის იმას, თუ როგორ ხატოვნად და ზედმიწევნითაა ასახული აქაურთა გონებრივი, ფიზიკური, სულიერი ცხოვრების გამოცდილება მოცემულ სიტყვა - თქმებში.

ამდენად, აქაურთა მეტყველებაში გამოვლინდა არაერთი არქაული ლექსიკური ერთეული: ბეჩი საილუსტრაციო მაგალითში აღნიშნავს შტერს, დელს; დგომი საქსოვი დაზგა; ნარცხი ეტვიან ჩვენში და ზოგადად აჭარაში პირუტყვის საჭმელს.

გამოვლინდა საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები: კოლოტური ქალამანი ქალამნის წინა მხარე დახვრეტილია და თასმა ამოხვეული; კუტი ლამბაჲ, იგივეა რაც ფეჩატაჲ აქაურელები სახლში აკეთებდნენ შუშის ბოთლისგან, ბოთლში ნავთს

ჩაასხამდნენ, მრგვალ ვინრო თუნუქში მარლას გაატარებდნენ და ბოთლს გაუკეთებდნენ;

მაკარიაჟ პატარა ყუთია, რომელსაც აქაურელები ნემსი-ძაფის შესანახად იყენებდნენ.

გვაქვს საკუთრივ თურქული ენიდა შემოსული სიტყვები: **ანაჟ** - დედა; **არხატაში** - სწორი, ტოლი; **ბაშლული** - საცოლის დანიშვნის დროს გაღებული საჩუქარი.

დადასტურდა თურქულის გზით შემოსული არაბული სიტყვები: **ებბელი** - მუდამ; **ზათი** - წინათ ან ნამდვილად; **ზიბილი** - ჭუჭყი, ბინძური.

თურქული ენის გზით შემოსული სპარსული სიტყვები: **ბელქი** - იქნებ, შესაძლებელია; **ფეშტამალი** - ქალის წინსაფარი თავშალი; **ქემერი** - ქამარი, სარტყელი.

რამდენიმე ლექსიკური ერთეული დადასტურდა ტაბახმელას მეტყველებაში, რომელიც სხვა უცხო ენიდან არის შემოსული: **ისკელე (იტ.)**- სახელდახელოდ დადგმული დაზგა მშენებლობაზე მომუშავეთა ზედ დასადგომად; **ვარია (//ვარელა) (ფრ.)**- თიხის ან ხის მოგრძო ჭურჭელი, რაშიც კარაქს იღებენ რძის ან მანვნის შეღღვებით; **კაშნე (ფრ.)** - ყელზე შემოსახვევი ქსოვილი; **ურუბა, ურბა (თ.ფრანგ. იტ.)** - ტანსაცმელი, ტანისამოსი.

გამოვლინდა ხატოვან სიტყვა-თქმათა და ანდაზების დაფენება, რომლებიც გადმოგვცემს აქაურთა ხასიათს, გონებრივსა და სულიერ მდგომარეობას: **გეიბჯინა ფეხები** - გაჭიუტდა; **დუნის გამოცლა** - გარდაიცვალა, **ენაბალნიანი** - ნიშნავს ტკბილად მოსაუბრეს; **ტკბილი სიტყვით მთაში ირემი მოწველილა**; **ტკბილი სიტყვით რკინის კარ გააღებ** - თბილი საუბარი ყოველთვის მომგებიანია.

დასკვნები

ტაბახმელას ხეობის დიალექტში გამოიკვეთა რიგი თავისებურებები ენის თითქმის ყველა დონეზე, კერძოდ: ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში.

კვლევამ აჩვენა, რომ ჩვენებურთა მეტყველებისათვის ძირითადად დამახასიათებელია სრული რეგრესული ასიმილაცია: გ უ უ დ უ ღ ე ბ დ ა (გაუდუღებდა); გ უ უ ძ ლ ლ (გაუძლო); დ უ უ ნ ა ხ ი ა (დაუნახია); დ უ უ დ ე ბ დ ე ნ (დაუდებდნენ); შ უ უ რ ი გ დ ე ს (შეურიგდეს), მ უ უ ყ ვ ა (მოუყვა). ასევე გვხდება პრევერბისეულ (ა,ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრული ასიმილაციის

მაგალითებიც: ი გ ვ ი ხ ი ლ ე ს (ავვიხილეს); გ ი მ ი ქ ნ ი ა (გამიქნია); გ ი გ ვ ი ხ ა რ დ ე ბ ო ლ ა (გავვიხარდებოდა); დ ი გ ვ ი ყ რ ი დ ე ნ (დაგვიყრიდნენ); ჩ ი მ ი ლ ვ ა (ჩამიღვა); წ ი მ ი ვ დ ა (წამივიდა); შ ი მ ი ძ ლ ი ა (შემიძლია); შ ი გ ვ ი ნ ა ხ ე (შეგვინახე).

ასევე გვაქვს ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შემთხვევებიც. მაგ.: გ ე ი ლ ე ნ კ ე ბ ა (გაილენკება); ჩ ე ი ტ ა ნ დ ა (ჩაიტანდა); წ ე ი ფ ა რ ა (წაიფარა); გ ა მ ე ი მ ს ო (გამოიმსო); ჩ ა მ ე ი ტ ა ნ ა (ჩამოიტანა); მ ე ი ლ ა ლ ა (მოილალა).

დასტურდება I პირის ფორმებთან „ი“ თავსართთან პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ (ი-ს) უკვალოდ გაქრობის მაგალითები: გ ე ვ ხ ს ე ნ ო (გავიხსენო); დ ე ვ ნ ა ხ ა ვ (დავინახავ); შ ე ვ ძ ი ნ ე (შევიძინე).

ძირისეული „ი“-ც იკარგება „ვიდ“ ფუძიან ზმნებში. მაგ.: გ ე ვ დ ო ლ ა (გავიდოდა), შ ა მ ო ვ დ ა (შემოვიდა), ე ვ დ ა (ავიდა).

„მ“-ს მეზობლობაში „ო“ ხმოვანი იქცევა „უ“-დ: რ უ მ (რომ); ს ა ლ უ მ ე (სალომე); ა დ გ უ მ ა მ დ ე (ადგომამდე).

გამოვლინდა თანხმოვანთა ასიმილაციის მაგალითებიც: ხ უ თ შ ა ფ ა თ ი (ხუთშაბათი); ა ქ ო შ კ ა (აკოშკა); ო ზ დ ა ე რ თ ი (ოცდაერთი).

აქაურთა მეტყველებაში ბგერათა გამნსგავსების მოვლენები ისე არაა გავრცელებული, როგორც ბგერათა დამსგავსების. დისიმილაცია მოუღის „რ“-ს „ჯერ“ ნაწილაკდართულ სახელებში რომელთა ფუძეში არის „რ“. მაგ.: ზ ო გ ჯ ე ლ (ზოგჯერ); შ ვ ი დ ჯ ე ლ (შვიდჯერ); ხ უ თ ჯ ე ლ (ხუთჯერ).

გამოიყო ხმოვანთა დისიმილაციის შემდეგი ფორემები: გ ი ე ყ ი დ ე ს (გაეყიდეს); დ ი ე მ ა რ თ ა (დაემართა); წ ი ე ლ ო (წაელო). ხმოვანთა დისიმილაციას ადგილი აქვს სახელებშიც, მრავლობითის „ებ“ ფორმანტის „ე“ ხმოვანსა და ფუძის ბოლოკიდურ „ე, ა“ ხმოვნებს შორის. მაგ.: დ ლ ი ე ბ შ ი (დღეებში); ყ ა ვ ი ე ბ ს (მყავეებს); კ ი ბ ი ე ბ ი (კიბეები); ს ა ქ მ ი ე ბ ი (საქმეები); თ ი ე ბ ო (მთები), გ ზ ი ე ბ ი (გზები).

საკვლევ ობიექტზე დასტურდება ანალოგიის შემთხვევები. მაგ.: ა მ ტ ო ნ ე თ ი, ი მ ტ ო ნ ე თ ი.

დადასტურდა თანხმობათა მეტათეზისის, როგორც ახლოური ისე კონტაქტური გადასმის მაგალითები: ბ ლ ე ნ ე თ ა შ ი (ბნელეთაში); ზ რ უ გ შ ი (ზურგში); მ ა ხ ს რ ო ბ ა (მასხრობა); გ ა ვ ს ხ ე ნ ი თ (გავხსენით).

ბგერათშენაცვლება აქაურთა მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული. ერთმანეთს ენაცვლება როგორც თანხმოვნები ისე ხმოვნები. მაგ.: დ ა ბ ა რ ც ხ ნ ა (დავარცხნა); მ ი წ რ ო ა (ვიწროა); გ ა ნ ხ დ ა რ ა (გამხდარა); კ ა ნ უ ნ ი (კანონი); ი მ ფ ო (უმფო); კ ა ნ ვ ე რ ტ ე ბ ა დ (კონვერტებად).

აქაურთა მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებულია ბგერათა დაკარგვის შემთხვევები როგორც სიტყვის თავში, ასევე - ფუძეში: ნ უ ვ ი ს (ნურვის), ა კ ძ ა ლ უ ლ ი (აკრძალული); ძ ე ს (რძეს). ყველგან ხშირად ეს ხდება სიტყვის ფუძეში სონორ თანხმოვნებთან, როგორცაა - „რ“ თანხმოვანი. ასევე „რ“ თანხმოვანი იკარგება „ფერ“ კომპონენტთან უარყოფით ნაცვალსახელებში. მაგ.: ა ფ ე რ ი (არაფერი); ვ ე ფ ე რ ი (ვერაფერი). დასტურდება „მ“-ს დაკარგვის შემთხვევები: ზ ა რ ე ვ ლ ი (მზარეული); ს ხ ა ლ ი (მსხალი); თ ა ვ რ ო ბ ა (მთავრობა). იკარგება „ნ“ თანხმოვანი სიტყვაში: ჯ ა მ თ ე ლ ი (ჯანმრთელი).

დასტურდება ბგერის დაკარგვის საპირისპირო მოვლენა ბგერის განვითარება. ვითარდება სონორი „მ, ნ“ თანხმოვნები. მაგ.: ყ ვ ე ი ლ ა მ ფ ე რ ი (ყველაფერი); მ ო ქ ს ო ვ ნ ი ლ ი (მოქსოვილი). ვითარდება „ვ“-ც: გ ვ ა ჩ უ ქ ვ ე (გვაჩუქე); გ ვ ა ნ ა ხ ვ ე ს (გვანახეს); გ ა გ ა ს ი ნ ჯ ვ ო (გაგასინჯო).

როგორც მაგალითებმა გვიჩვენა ტაბახმელას მეტყველებაში დაცულია სრულხმოვნობა. მაგ.: თ ი ბ ი ლ ი (თბილი); კ ი ბ ი ლ ი (კბილი); კ ი ლ დ ი ე ბ შ ი (კლდეებში); ზ ი რ ი კ ლ ი (ზირკლი).

აქაურთა მეტყველებაში უხვადაა ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები, რომლებიც სახელობით ბრუნვაში ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშანს: სერგო-ი, ფატო-ი, ნადიკო-ი.

სახელობითი ბრუნვის ნიშანი დაერთვის „ვე“ ნაწილაკდართულ რიცხვით და სხვა სახელბს. მაგ.: ორნავე-ი, ათნავე-ი; ციცა-ი, ძინარა-ი.

ტაბახმელას მეტყველება ყურადღებას იპყრობს იმ კუთხითაც, რომ საკუთარი სახელები წოდებით ბრუნვაში დაირთავენ ბრუნვის ნიშანს. მაგ.: ფადიმე-ვ, ემინე-ვ, ქაზიმ-ო, თემურ-ო.

ხშირია ბოლოთანხმოვნიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის „ს“- ანის დაკარგვა : ერ კედელ(ს) ერთ თვე(ს) ლესევედა; კარაქ(ს) აჭმევდენ; სამ თვე(ს) ისკელეში იწვა.

გამოიყო ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვის შემთხვევებიც: მატყლი(ს) დართვა მახსრობა არ არი; მუხლი(ს) კვირითავი დარტყა და ველარ იარება; ყურძნი(ს) კაკალი რომ შიაგდო ცეცხლში, ტირისო.

დადასტურდა მაგალითი სადაც მოქმედებით ბრუნვაში უცვლელად ერთვის ბრუნვის ნიშანი, მაგრამ დასუსტების შედეგად დ-ად იქცევა: კვესაბედაფთ (კვესაბედით).

„ში“ თანდებული გამოიყენება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად: ს ა თ ი ბ ა ვ შ ი (სათიბად); შ ი რ ვ ე ლ შ ი (შირველად); ძ ი რ ი თ ა ლ შ ი (ძირითადად).

ხმოვანფუძიანი სახელები, რომლებიც „ე“-სა და „ა“-ზე ბოლოვდება დისიმილირდებიან მრავლობითი რიცხვის „ებ“ სუფიქსის ხმოვანთან და გვაძლევს შემდეგ ფორმებს: ლ ე ლ ი ე ბ შ ი (ლელებში); ტ ყ ი ე ბ შ ი (ტყეებში); ძ ი რ კ ვ ა ძ ი ე ბ შ ი (ძირკვაძეებში ტოპ. სახ.); თ ი ე ბ ო (მთებო), გ ზ ი ე ბ ი (გზებო).

აქაურთა მეტყველებაში ვხვდებით ისეთ მაგალითებს სადაც მრავლობითობა „ობა“ სუფიქსითაა გამოხატული. მაგ.: ნაღობა; თუთუნობა; სიმინდობა.

ზედსართავ სახელებიდან მნიშვნელოვანია: „ასეთის“ ნაცვლად „ამფერის“, ისეთის ნაცვლად „იმფერის“ გამოყენების შემთხვევები: ა მ ფ ე რ ი საქმე; ი მ ფ ე რ ი ტანსაცმელი. „მერე“-ს ნაცვლად გვხვდება „მემრე“: მ ე მ რ ე რ ა ვქნა.

მსოფლიოთა მეტყველებაში „უფრო“ ზედსართავი სახელის ნაცვლად გვხვდება „უმფო“ ფორმა: უ მ ფ ო დეილლები.

„ეს, ის“ ნაცვალსახელები თანხმოვანმოკვეცილია: ი (ის) ერთი ბეჭედიც ქურთი ქალზე იერთმევიეს ლობიაზე; ე(ეს) ფერიდვი გაშპებოდა კარზე რა იქნაო.

ტაბახმელას მეტყველებაში ძველ ქართულისებურ ვითარებას ინარჩუნებს „რა“ ნაცვალსახელი: რ ა ი ს (რ-ის) კანსერვი, მაშინ ჰა იყო.

გვხდება „მე“, „შენ“ ნაცვალსახელები, რომლებთანაც „უნდა“ ნაწილაკის „ნა“ ელემენტია შერწყმული: მ ე ნ ა (მე უნდა) მექსოვნა; შ ე ნ ა (შენ უნდა) წახვიდე თუ.

„მეგ“ ფორმით არის გამოხატული მეორე პირთან ახლოს მყოფობის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი: მ ე გ ქალი; მ ე გ ე ნ ი არ ვიცი.

სპეციფიკურია „ემე“ ფორმის გამოყენება აქაურთა მეტყველებაში „ში“ თანდებულის დართვით: ჩასხემდა ე მ ე შ ი და ალაპარაკებდა.

გვხვდება ანალოგიის შემთხვევები: ა მ ტ ო ნ ე თ ი (ამდენი); ი მ ტ ო ნ ე თ ი (იმდენი); მ ა გ ტ ო ნ ი (მაგდენი).

დამახასიათებელია „ამა და ამა“ ფორმების ნაცვლად „ამომავალი“ ფორმის გამოყენების შემთხვევებიც: ა მ ო მ ა ვ ა ლ თ ა ნ კაი სუთლი იყო.

გამოიყენება „რაცხა“, „ვინცხა“ ფორმები განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციით. მაგ.: ბათუმ კილო რ ა ც ხ ა იშოვნებოდა; ვ ი ნ ც ხ ა ს თ ა ნ ჰაცხა ღუნახია გოია ის უნდა.

ხეობის მეტყველებაში სისტემურია „-ში“, „-ზე“ თანდებულის დართვა ადგილის ზმნიზღედებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებზე: ი ქ შ ი; ი გ ზ ე.

აქაურთა მეტყველება გამოირჩევა თანდებულთა მონაცვლეობით:

ა) დასტურდება „-ზე“ და „-ში“ თანდებულიანი მიცემითის, უთანდებულო მიცემითსა და ვითარებითზე შენაცვლება: ჩვენ დროზე (დროს) იდენი მიტკალი ჰა იყო; სალამოზე (სალამოს) დიერქმებოდა; პირველში (პირველად) აქ იყო სკოლა; ჯეიზში (ჯეიზად) აყოლებდნენ: ძროხას, ნოხს, ტაშტს, გუგუმს. ბ) „-გან“ თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად „-დან“ თანდებულიანი მოქმედებითი გამოიყენება: ტ ყ ა ვ ი დ ა ნ (ტყავისგან); ჭ ა რ ბ ა დ ე ლ ა დ ა ნ (ჭარბადელასგან); ო ლ ე ნ ა დ ა ნ (ოლენასგან). გ) „-ში“ თანდებულის ნაცვლად „-ჩი“-ს გამოყენება: ს ა ხ ლ

ჩ ი (სახლში). დ) დასტურდება „-ვით“ თანდებულის ნაცვლად „-ვეთ“: ბ ა ქ ლ ა ვ ა ს ე ვ ე თ (ბაქლავასავით); ს მ ე ვ ა ს ე ვ ე თ (სმევასავით); თ ა ბ ლ ა ს ე ვ ე თ (თაბლასავით).

ე) „-მდე“ ვითარებითი ბრუნვის თანდებულებს ენაცვლება „-მდი“:

წ ა ს ლ ა მ დ ი (წასვლამდე); ქ ო რ წ ი ლ ა მ დ ი (ქორწილამდე). ვ) ხშირია „-თვი“-ს თანდებულის ნაცვლად „-თვინ“ ფორმის გამოყენება: ზ ა თ ხ უ ლ ი ს თ ვ ი ნ

(ზაფხულისთვის); დ ე დ ა მ თ ი ლ ი ს თ ვ ი ნ (დედამთილისთვის); შ ე ნ თ ვ ი ნ (შენთვის). ზ) აღნიშნულ თანდებულს ენაცვლება „გულებანი“: მიწი გ უ ლ ე ბ ა ი მოსიჰრეს. თ) „-გამო“ თანდებულს „მგონე“: ს ი ხ ა რ უ ლ ი მ გ ო ნ ე; თ უ თ უ ნ ი მ გ ო ნ ე; ს ი ც ი ვ ი მ გ ო ნ ე.

აქაურთა მეტყველებაში დადასტურდა „წინწინ“ ფორმა „უნინ, ძველად“ ზმნიზედების მნიშვნელობით: წ ი ნ წ ი ნ სტუმარი მოვდოდა კაცები ელაპარიკებოდნენ; „დიღხანს“ ზმნიზედის პარალელურად გამოიყებება „ბარსახან“: აჰ! აჰ! ბ ა რ ს ა ხ ა ნ საჭმელს არ ვსჭამდი მამთილთან.

ხეობის მეტყველებაში „უნდა“ ნაწილაკი ფონეტიკურ ნიადაგზე შეერწყმის სხვა ლექსიკურ ერთეულებს და მიიღება: ეიდა აჰა ი მ ი ს თ ვ ი ნ ა წასულიყავ თუ? ს ა ქ ო ნ ე ლ ი დ ა ჩეგებარებია.

თავისებურება ზმნებშიც დაფიქსირდა. III - ირიბი ობიექტური პირის პრეფიქსები არაა წარმოდგენილი ზმნებში: (ჰ)ქვია; (ჰ)გონიან; (ჰ)ქონდა. პირის ნიშნები გვხვდება იქ, სადაც სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით არ უნდა იყოს: გავჰთლიდით, დავჰტევდით, მოსთიბდი; გარდამავალი და გარდაუალი ზმნების მრავლობითობა მე-3 პირში „-ნენ“ და „თ“ სუფიქსის ნაცვლად წარმოდგენილია „-ენ“ სუფიქსით: მ ო ჭ რ ი დ ე ნ (მოჭრიდნენ); გ ა მ უ ა ც ხ ო ბ დ ე ნ (გამოაცხობდნენ); დ ა ხ უ რ ე ვ დ ე ნ (დაახურავდნენ); ჩ ა მ უ ვ ა რ დ ე ნ (ჩამოუვარდათ); ჰ ყ ა ვ დ ე ნ (ჰყავდათ); ჰ ქ ო ნ დ ე ნ (ჰქონდათ).

ზმნებს, რომელსაც სალიტერატურო ქართულში თემის ნიშანი აქვს ჩვენს საკვლევ მასალაში თემის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი. მაგ.: მ ო ს თ ი ბ დ ი (მოთიბავდი).

აქაურთა მეტყველებაში „-ებ“ თემისნიშნის ზმნები „-ევ“ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი: ვ მ ა რ თ ე ვ დ ი (ვმართებდი). ზოგჯერ ენაცვლება „-ებ“-ს „-ობა“: მ უ ა ს ნ რ ო ბ დ ა ო (მოასწრებდაო); ვ კ ა ნ კ ა ლ ო ბ დ ი ო (ვკანკალებდიო).

ფუძედრეკადი უთემისნიშნო ზნები წარმოდგენილია „-ავ“ თემის ნიშნით. მაგ.: მ ო ზ ი ლ ა ვ დ ი (მოზელდი).

„ე“ ბოლოსართიანი ზმნები წყვეტილში გვხვდება „ვი“ დართული: აგვინთევით; მეიდრევით.

„-ავ“ და „-ამ“ სუფიქსიანი ზმნებს ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში ახასიათებს „ევ“-დ და „ემ“ წარმოება. მაგ.: გ ა ლ ე ს ე ვ დ ი (გალესავდი); ი ხ ი ლ ე ვ დ ნ ე ნ (იხილავდნენ); დ ა ვ დ გ ე მ დ ი (დავდგამდი); ვ ა ს ხ ე მ დ ი (ვასხამდი). დასახელებულ სუფიქსიანი ზმნები „ია“ დაბოლოებიანი ფორმითაც დადასტურდა; მაგ.: მ ი ქ ა რ გ ი ა (მიქარგავს).

ზოგჯერ „ი-ა“ დაბოლოების წინ შემონახულია რედუცირებული თემის ნიშანი. მაგ.: დ ი მ ი რ გ ვ ი ა (დიმირგავს).

ხეობის მეტყველებაში სისტემურია ზმნისწინის ხმოვნითი ნაწილის შეცვლა. მაგ.: დ ი მ ი ყ ა რ ე ს (დამიყარეს); ჩ ი გ ვ ი ბ ა რ ა (ჩაგვიბარა); წ ი გ ვ ი ყ ვ ა ნ ე ს (წაგვიყვანეს); შ ი გ ვ ი ნ ა ხ ე (შეგვინახე).

„მაგრამ“ და „რომ“ კავშირების ნაცვლად გვხვდება „მარა“, „რომე“: მაგ.: მ ა რ ა წევდენა; ვუთხარ რ ო მ ე მე ვარო;

საანალიზო ტექსტებიდან ირკვევა, რომ აქაურთა მეტყველებაში კაუზატივს აწარმოებს „-ი“ სუფიქსი: მ ა ნ ა ხ ვ ი ე (მანახვინე); ა კ ი თ ხ ვ ი ე ს (აკითხვინეს).

დადასტურდა სინტაქსურ თავისებურებათაგან ხეობის მეტყველებაში მსაზღვრელის გამარტივებული სახით გამოყენების შემთხვევები: ჩ ე მ დიდანამ; დ ი დ გელინმა; ჭ კ ვ ი ა ნ ამხანაგმა; ნაცვლად - ჩემმა დიდანამ; დიდმა გელინმა; ჭკვიანმა ამხანაგმა.

თავისებურება გვაქვს მიცემით ბრუნვაში მდგომ პრეპოზიციულ მსაზღვრელთანაც, რომელსაც მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი: სამ გ ე ნ ი ლ(ს); ცხრა ქ ა ლ(ს); სამ ხ ე რ ტ ა ლ(ს); სამ ქ ო რ წ ი ლ(ს); თხუთმეტ დ ლ ე(ს).

გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, სადაც სუბსტანტიური მსაზღვრელი საზღვრულ წევრს ნაწილობრივ ეთანხმება: მ უ ხ ლ ი კვირითავი; ს ა ხ ლ ი წვენი; ყ უ რ ძ ნ ი წვენი; ო დ ი კარი.

თავისებურება გვაქვს ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შთანხმების მხრივაც: ხ ა
ლ ხ ი ც ხ ო ვ რ ო ბ დ ნ ე ნ; ზ ო გ ი ს ა ხ ლ ს ა შ ე ნ ე ბ დ ნ ე ნ; ზ ო გ ი რ ა ნ დ ე ვ დ ნ
ენ.

საინტერესოა, ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია
სახელობითის ნაცვლად: ძ რ ო ხ ა მ (ძროხა) მოვდა; მ ზ ე მ (მზე) ამოვდა.

ტაბახმელას მეტყველებაში გამოვლინდა არაერთი არქაული ლექსიკური
ერთეული: **ფუტი** კვამლი, ბოლი; **ქერეჭი** ქერქი ხაპის, მჭადის, პურის, ხის ... კანი;
ჩუჩუნაჟ აქაურელები ეტყვიან ნელ ადამიანს.

დადასტურდა საინტერესო საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები: **სალაეთი**
ნიჟარაძის ლექსიკონის მიხედვით საერთო, სასოფლო, საძოვარი; **ფურუჯი** შესანახად
გამხმარი მსხალი; **ჩოროთანი** აქაურთა მეტყველებაში განურული დო.

აჭარულ დიალექტს ქართლი ენისაგან მემკვიდრეობით გადმოეცა ტენდენცია
უცხოურ სიტყვათა სესხებისა. თურქული ენის გავლენის ქვეშ მოქცევამ თავისი დალი
დაასვა ზოგადად აჭარულ დიალექტს, მათ შორის აქაურთა მეტყველებასაც: გვაქვს
საკუთრივ თურქული ენიდა შემოსული სიტყვები: **ბოლათ** - ბლომად, უხვად; **გენილი** -
პატარძალი; **ვილუგი** - სიკეთე, პატივისცემა.

გამოიყო თურქულის გზით შემოსული არაბული სიტყვებიც: **აჯათ** - ნეტავ, ნეტავი,
მართლა; **გაჰასილება** - დარბილება; **ეჰვენაი** - ზმნს დაუბრკოლებლად.

დადასტურდა თურქული ენის გზით შემოსული სპარსული სიტყვები: **ბელქი** -
აღბათ; **ფეშკირი** - პირსახოცი; **ფიშმანი** - ფიქრი, სინანული.

რამდენიმე ლექსიკური ერთეული დადასტურდა ტაბახმელას მეტყველებაში,
რომელიც სხვა უცხო ენიდან არის შემოსული: **ისკელე (იტ.)**- სახელდახელოდ
დადგმული დაზგა მშენებლობაზე მომუშავეთა ზედ დასადგომად; **ვარია (//ვარელა)**
(ფრ.)- თიხის ან ხის მოგრძო ჭურჭელი, რაშიც კარაქს იღებენ რძის ან მანვნის
შედღვებით; **კაშნე (ფრ.)** - ყელზე შემოსახვევი ქსოვილი; **ურუბა, ურბა (თ.ფრანგ. იტ.)** -
ტანსაცმელი, ტანისამოსი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი აქაურთა მეტყველებისა ეს არის ხატოვანი სიტყვა-
თქმები, რომლებიც ყველაზე კარგად გადმოგვცემს აქაურთა ხასიათს, გონებრივსა და

სულიერ მდგომარეობას: **ამჟღავნებული მიდიოდა სკოლაში** - ცუდ ხასიათზე ყოფნა; **დამწვარი ფეხები** - მოუცლელია; **ენაბალნიანი** - ნიშნავს ტკბილად მოსაუბრეს; **რაც უქნია მამაშენსო, შენც ნუ დახევ მარმაშებსო (სილგი)** - მამას როგორც უცხოვრია ისე იცხოვრე და არ შეარცხვინო.

ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის კვლევები, ხეობათა მეტყველების თავისებურებათა გამოვლენა, დიდად შეუწყობს ხელს აჭარული დიალექტის სრულყოფილ შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1973.
2. თოფურია ვ., რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, 1946.
3. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
4. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი ლექსიკა, ბათუმი, 1971.
5. ნოლაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.
6. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949.
7. ფოჩხუა ბ., ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი, 1939.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბილისი, 1950-1964.
9. ღლონტი ალ., ქართულ კილო - თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.
10. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
11. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, გამომცემლობა, თბილისი, 1961.
12. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.
13. ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი, 1995.

დანართი

ტაბახმელას მეტყველების თავისებურებები

მოქმელი: მუნთეა გობაძე, 93 წლის.

ახლა უკეთესი ცხოვრება არის, ჰამა მაშინაც ტიტლად არ ვიყავით. თავრობას უჭირდა და ხალხშიც გაჭირვება იყო, მემრე ყველაი გაფუფუნდა. სკა გვყავდა ორი-სამი თავი, თათლს იხილევდნენ ორ ქვაბს, საქონელი ბევრი გვყავდა. ჩემი ანაი წუთხე დოში მანონს ჩაბელდა, რუმ იმა გალესევი ლამაზათ სჭამდი. აჰა იმფრათ, ყველაი მომკობილი გვექონდა.

ყართოფს გათლიდი, იმა მოლესევდნენ, იალ-ხახვი ფქვილს მოხრაკევდნენ, ჰანაი მარაგი რუმ მიეცეს, მარაგიან ფხალს გაკეთებდენ. ისეც მოხარშევდენ, ბალვებს დიგვიყრიდენ შექცნენო. კილო ფარას ჰა შოვნილობდენ ეგეც საკვირელია.

იმისისხოზე დავღარიბდითო, იმდენი რამაზანი დევჭირეთ, ფითრი ფარა ვერ მივეცითო და სათი მეზობელს მივაბარეთო და იგზე ჩამუვარდენ გონჯობა და ჩამუვარდენ.

ანი სახლი რაფერ გამეიმსო გო! სახლჩი რამე აღარ არისო! ეიკიდიჰაი! დიმირეკა რუმეო სიმიინდი მაქ ამოტანილი და წეილეო. ნაზენას გენილი ვარო და იმაზე მივალო. იქ რუმ იყო მარიჯეი, ემეს რუმ ჰყავდა, ისიც იმფერი ტყლაჰაი იყოო, იმას სხუა კაცი ჰყავდა შეყვარებული და მემრე იქ გეიქცა.

ის აიშაი გიეთხუა ქედლებში, ეიდა ვერ იხეირეს, ახალი სახლი-კარი ყვეილამფერი გაჩეჩდა, დარჩა. ჩაველით ქორწილში, რუმ ბითთევი ბოძაფრის ხალხი. ღორჯუმ

გიეთხუა, ბიჭი ექიმი იყო და შეიყვარეს, რა ქნეს გოზგორა, მე რავიცი და გიეთხუა. აჰა მისი ქორწილიაო და სადღეგძელო სადღეგძელოზე წევდა.

ერთი ბეჭედი სამ გენილ მოგვიტანეს, ეიდა აჰა იმისთვისაა წასულიყავ თუ? რა ჰქონდენ რომ რა მიეტანეს. ი ერთი ბეჭედიც ქურთი ქალზე იერთმევიეს ლობიაზე. მემრე რომ გავრიგდით, ბათი შარშანდელი ხბო რაცხა გვექონდა ი გევნაწილეთ. ორ-ორი ყათი ლოგინი მოგვინია, ცხრათი საინი მქონდა. ფახირის საინები იყო, ეიქ თავანში არი, იქში გავაკეთებდით, გოია მოხრაკულს რაცხას, მე რა ვიცი. მოხრაკულ იქში გაკეთებულ ვიღან იკადრებს. ასე ზეიდან ყათალი ქონდა, იტყოდნენ ყათალი საინი მუნერაო. მაშინ ჰეფეიჯა მოსულიერებული იყო თავრობა.

სიძესაც ისე, რაცხა ბულუმ, ერთი ყათი წინდა, კილო ზანკლები იყო, ამა ქვეი ჭლიკებზე ჩასაცმელი, ემენც იმფერი, ერთი ყათი ლოგინი ვინცხას მიენერა ის ზენგინი იყო. ჯეიზად წინწინ ისე იყო სკივრი გატანება, რუმ ურბა ჩაყარო და მიდებდი კუჩხეში. ი სკივრი ჩემ გენილ თავზე აქ.

აქვემდი მოქსოვდი ანი, ბარსამი მოქსოვნილი მაქ. თათმნის ყალიბიც იყო, ზანკლების ყალიბიც იყო.

ბათუმაც იყო ბათუმაც, მეიდანოდა. ჩვენი ქალების იქ შესლა არ იზემდა. წინწინ სტუმარი მოვლოდა, კაცები ელაპარიკებოდენ, ქალები საჭმელ გაჰაზირებდენ. შამოვლოდენ კაცები შეიტანდენ.

ქორწილზე ერიშტას მოჭრიდენ, კორკოტს ლუხუმს გამუაცხოებდენ.

გლეხის საქმე მაშინ უფრო ბევრი იყო, აღარ ხნენ ყანებს ხეირიანაი. რაცხა თივა იყო არტერში მიდიოდა. ჯვარიქეთი რუდან ერთი-ორ ღონუმ ვიზემდით. ვზიდავდით თივას და ვჭუჭკევდით. მემრე ნეკერზენა გაცდილიყავ. აჰა იმით იდარე გვექონდა. აქ სულ მოცვებს კრეფდნენ, რუმ გიეყიდეს და ფარა ჰქონოდნენ. ჩემი და ბალვ არხატაშად წეიყვანდა და ჰკრეფდა, ისე აშენდა ეიკიდი ჰაი!... ემეში გამრიგო ქალი გამოყოფილი იყო, დიდვანი პანტები იყო, იმ სათარში ერთმანეთს ვეხმარებოდითო, ორ- სამ ჯვალ პანტას მოვკრეფდითო, აჰაი ჰაი!

ბარესამი ყვარობდა, ესხრიკებოდა, წადევდა. ელჩით გავთხოვდი, სევიე ბიბომ, ჩემ ბერის და იყო გევეთხუე, ჰანა დემენახა, არც მქონდა იმის მიდროკილობა, ეი და

როიცხა... ოზდაერთი წლისა ვიყავ აქ რუმ მუელ. ჩემა დედემ დეინახა, გამოვდა ელაპარიკებოდა, კაი ბალვიაო. ე ჩემი ბერი ხიდზე ყარავლი იყო, ტახახმელი ბოლომდე გაჰყვა მეგემ.

აჰ! აჰ! ბარსახან საჭმელს არ ვსჭამდი მამთილთან. სამ სუფრას დავდგემდი, არც დალაპარიკება იყო, ბარსამი ბლაცობლუყი იყო. დილაზე ცეცხლინა დეგენტო.

ამ ტახახმელიდან ასე გამევარეთ მე და დედემ, ეიდა ეს სამი სახლი ერთად აშენებული სახლებია, ეიდა აჰა მაშინდელი გამლილი ვარ. დევლალოდით მეგვვენებდით კილო ისე, კილო ისე ავანით თაზე.

სამი ოთხი წიგნი გვექონდა და რეველი. მე რუმ ბალვი ვიყავ, აჰა იმ ხანებში აშენეს სკოლა, მანამდე ვინცხას მეზობლის ოდიებში ვსწავლობდით, მე რა ვიცი აჰა იმფრათ. მასწავლებლები საქართველოდან იყნენ. სკოლა რუმ აშენდა სკოლაში დგებოდენ, არ ვიცი სამი წელი ვიარე თუ ოთხი.

თეთრი სილგები იყო, ქვეიდან ფუჯულები ქონდა. თემენნები იყო. ფუსკულიან თარახულოსებს შამერტყემდენ წელზე, სარტყელზე ქემერს შამეირტყემდი, თავზე ლაჩაქი, გარედან წამოსხმული გაზი. თორინა მეგეგქსოვნა, აბრეშუმის ქამარივით იყო, შრვალში გუყრიდი.

წაკრა-წამოკრაი სალამოზე ვსაქმობდით. ბელქი შუქი მოვდეს, ბლენეთაში დავრჩით.

თემენნები იყო. თემენნა რა რი და ასე დაუდებოდი და ძირთედან მეიკითხევდი, ადეთი ისე იყო, ახლა ხელი ჩამორთმევარი. დოდოფალი გაკეთებდა ლამაზათნა გექნა, უშნოთ არნა გექნა, მოკითხვა იყო ის.

ჩანთები გვექონდა ბადადიდან ამოკერილი, ი ბადადიც რათერ ნახეს ისიც საკვირელი იყო, ქალამნები ჩაცმული. ჩვენ დროზე ელხემოლლებს ცხენი და ფურლუნი ჰყავდენ, ჩვენი ტოლი გოგვები ჰყავდენ და კალოშები მეიტანა და ვთქვით ჰა იყო, ჰიდან მეიტანა, აჰი ამანი დავგჩა კალოშებზე მის ციციებს უყიდა. რეზინას იემნები იყიდებოდა. გვექონდა ბაბოი წევდოდა გვიხარიოდა რაცხას მეიტანსო, რეზინასი ხელზე შეკერილი, ფათრიკა არ იყო და რამე, რათერ ჩათინი დრო გამომლილი გვაქ. რუმ დუკვირდები რამდენი ხალხი აღარ არიან, რათერი ხომორი ქალები იყნენ. ზემზემაი

დოკნისიდან იყო, ძალიან დიდებული ქალი იყო, რაფერი ენა ჰქონდა „მოგრილი“, ბაღვებ იავრებო, ისე ეტყოდა, „ენაბალნიანი“ იყო. იავრი ასეგი ფუტკარი გუშვებს იავრ, ფუტკარი რუმ ემეს გუშვებს, ფუტკარმა იავრი ქნაო.

ახლა რუმ მაშინებია, მაშინ ხალხ ფურლუნი ჰქონდენ და იმით წადიოდნენ ბათუმ. ბათუმ კილო რაცხა იშოვნებოდა, აქ აფერი არა, როიცხა-როიცხა შამოვდა, ფუხარა იყო ხალხი. შვიდჯერო დედამინა ამსილი დამსილიაო, იაჰა ის ჩვენ ვიყავით. სკოლაში რაცხა სახჩი გვექონდა იმით წახვილოდი გამოსაცლელი ჰად იყო, ის იყო რუმ გიგირეცხევდენ სუფთათ წახვილოდი. თმიები მქონდა დიდვანი. ორმოც დღეს თავი ვიბანე, მელოგინე ქალნა დიებაძოო. აჰა შეიტყოფ ქალ ბაღვი ეყოლაო, ორმოც დღე თმიები ვიბანე.

ვიარებოდიო ზამთარში, ჰამა რუმ გათოვლდებოდა ვერ მივდოდიო, იმისისხო თოვლი მოდიოდა რუმე ვერ წახვილოდი, კვალი არ იყო, გზა არ იყო, შვაგები იარებოდა, ეილა როიცხა გზა გაკეთდებოდა, მიხვილოდი ცხრათი ფურცელი გადასული იყენ. კიდევ ქართულ დევსწავლიდით, მათმატიკა ჩათინი იყო. ახლოს ვინცხაი იყენ ისინი გვაჭარბებდენ. ჩემა ბაბომ მარტო იმდენი იცოდა, ხელს მუანერიდა. ანგარიში იცოდა, ყართოფ წეილებდა გაჰყიდიდა. კილო ანბანი რაფერ ვისწავლეთ საკვირელია. იმდენი ვიცოდი იშტა, რომ ჩვენი გამრიგოსი კაცი ჯარში იყო და იმა წერილებს ვსწერიდი. კანვერტებად ისევ იმ ფურცელ შვეყათევდით და ადრესატ დავანერიდი. ერთი რუმ დევსწავლე იმა მემრე იმა ვაკეთებდი და ვუგზავნიდი. „გულს აგრილებდენ“, იმათ უნდოდენ, მე მინდოდა სწავლა.

ბიბიაი გვყავდა სახჩი მოსაქმე, ანაი ახალი იყო, ეილა ბაღვი რამდენ გასაქმებდენ. მე თავზე დიდანას ერთაი ვიარებოდი, შეძლებული დიდანაი მყავდა, ახორში არ ჩიმიყვანდა, არ მანველიებდა აფერი, ბზი მოსლამდი მეძინა, იმ თავზე სიარულმა, იქითამ-აქეთამ გამომადგა სიჯანთელე შემანარჩუნებია.

მარინას ვუთხარ თველზე ამოი და დედას მუარე, შვილი მომლილი გემრიელიაო, ჰამა მითხრა როიცხა ამუელ გენილი რამეზე ხელს არ მაკარებიებსო და იმასაც „შამოდებული კუდი ყავარზე“. დოკნისიდან აქ დედას დახედე და წაი, გენილი უარებოდა მუნქური არ ვარო, ჰამა შვილის მომლილი სხუა არი, არ შეგეფიქრება.

თუთუნი სხმაში ნად იქმოდენ და ვასხემდით, კილო მატყლი ჩეჩვაში, სიმინდი რჩევაში. ცხრათ ქალ იქმოდენ და ორი ხერთალინა დეგერთა, ვინცხამ ცქვიტი როვა იცოდა სამ ხერთალ დართევდა. სუფთათ სამი ხერთალი მატყლი დართვა მახსრობა არ არი. რუმ დართავ იმა მუახვევ და დაძახავ ჭახრაკზე, მემრე დოლაბი იყო იგზენა დეგექსელა და მეგექსოვნა. დგიმებინა გეგეკეთებია, დგიმით შალები იქსოვნებოდა, სარტყლები. კაცებისთვინ შალებს თერძი დასჭრიდა და შეკერევდა. წინწინ ბევრი კუტობა იყო ქალებისა. დიდანაი იტყოდა რუმ, სამი-ოთხი ქალი სოფელში კუტი იყო და იყო. სიცვიმგონე კუტდებოდენ. იყო ბუხარი, ისიც ადეთი იყო გენილი ვერ მიხვიდოდი. ერთი გაცივდი, ორი, გეჭედება: წელში, მენჯში და დაკუტდები. ბაბომ სობაი მეიტანა, დავდვით, მარბამდი სობაი არ ვიცოდით. მარბამდი თაზე შუაზე დაჰყრიდენ შემას და ძელურ სახში ფუტი გვიარდა წევდოდა. ე სახლი რუმ ევშენე ბერმა ბუხრი ქუები მეიტანა, მარბაში ე დიდვანი სობები გამოვდა, ი ბუხრი ქუები ეიქ იყო, მასობაში სობები გამოვდა და ათასი მანათი წყალში ჩეგვეყარა.

ახლა უნდანან ბათუმ ბუხარი, ვებნევი აშენეთ ჰამა ფიშმან მოხვალთ მეთქი. ბუხარი, ფუტიანი ბუხარი რათ გინდა, ვუთხარ ბოშუნა იტანჯებით, ვინცხასთან ჰაცხა დუნახია გოია ის უნდა. მემრე მომიგონებთ ჰამა გვიან იქნება მეთქი ვუთხარ. მემრე ინა იდერლო ჯირეკები და შეშები ჰა ვნახო, რუმ ბუხარში ცეცხლი ანთო.

ნადში ძილის მოსლამდი ვიქნებოდით. ერთი ბანო ბიბოი იყო, ბეჟანის ანაი, იმან სიმღერა იცოდა. ნადში წევდოდენ, ძილი მუარდენ იმა ეტყოდენ: ბანო ბიბო სიმღერა შამუყვირეო! ეიდა ისიც ეტყოდა: დევჰანტოთ, გათენდა, რადროი სიმღერა არიო.

ზედა სახლიდან ევშენე სახლი და გადმეგბარგეთ. კარები არ გვექონდა, ქილიმები ჩამოვკიდეთ. იქიდან აქ სახლის შენება ადვილი არ იყო. მანთილმა აღემიასთან გასული აქ მოვდა. ფატოი პანაი ბეჭით შემას მეიტანდა და იმაზე გახელდებოდენ. პანას მოგვცემდა, ბეჭით მოტანილი შეშა რამდენი იქნება ფაჩხები, რაცხა, ჰემ მანთილს არ შეხედეს ხეირიანაი. მათან იყო ჰამა ბარმლის პურს, ემეს მე ვუნაღლებდი. ფატო ბიბოს ვეტყოდი: ეიგერ სარძიე რაცხა გინდა შამეიტანეთ, თქვენც ჭამეთ მასაც აჭამეთ მეთქი. ერთი მერავიცი ავატყოფ თუ მუარებენ სარძი კარი დაყრა რალარი.

პილლაი ალმელი უსტა გვყავდა და შუაზე რუმ ვედენ ავით გახდა და შუა ზედაი, ი ზედაი ყათი სხუა უსტიებმა იგვიშენეს. რუმ გადმუელ ევადია ორი-სამი ყათი ლოგინი წამევლე და ზედა ყათში რუმ შკაფია ის. გობი, ერთი მიორე იმა მემრე შევძინე. რაცხა იყო გარიგეს. ბამბა მუატანიე დავკოჭე ლოგინები. დიდვანი ხარანაი ჯვლები მქონდა სამი-ოთხი და არცეთი აღარ არი. ჰამან ხომ სახლი მონმენდილი არ არი. ორ-ორი ჩოროთნები მქონდა, წინინ იმფერი მეშოკებით ფქვილი მოდიოდა, ისინი გავრეცხე, გამოვხარშე და ჩოროთნი ჩასანურავაი გავაკეთე. გავრიგდი ორი-სამი ძროხა მყავდა, მემრე-მემრე გავაბეგრე. ჯამუშებიც მევშენე, ცხვარიც მყავდა. ი ჯამუშიც მარონთსა აველით, იმათაც ჯამუში ჰყავდენ და ერთი კოტიანი ავართვი. საინში რუმ იალ დადებდა ნახევარი კილო იყო და შემეჰევესა, ვთქვი ე ჯამუშისარი მეთქი და გამევეჯინშე. მაშინ ფარაც არ იყო ფარაც ორი-სამი ჯვალი მატყლი მომიტანა ბერმა, ჰამა ათავდა? ჩემი მაზლი, ორაი გავრიგდი რა მოგიწევს, დედამთილსაც ცხვარი მატყლი მოვჭუჭკე და იმით გუკეთე. ცხვარ ვიღან შეინახავს. მატყლი არ იშოვნებოდა, ძვირი იყო, ათი მანათი ღირდა, ვერ იყიდდი. ახლა სილიკონიც გამოსულა, იმისი დოშეგებიც ყოფილა, ისინი არ ვიცი ერთი ნეტაი გვიღენკება? ერთი საბანია მატყლები დახვეტებულა, იმას მისი წესი აქ ხელი სისხოზენა შეკოჭო და არ დიხვეტება. საბნები კოჭვა დედამთილმაც იცოდა, ლამაზი კოჭვა, ვეცქირე და ვისწავლე. წინადლე ემინე გენილმა ილაპირიკა გოია საბანი შევკოჭე და გადავკიდეო და ფიქრიე გენილმა მითხრა გეთქვა და გასწავლიდიო, ისიც ფენა ქალი იყო. სომხებმა იმფერი ლამაზი კოჭვა იციან, გარეცხენ, ჰემ საბანზე არ დანვები ორ-სამ წელწად არ უნდა შეკოჭვა, დოშეგი ყველ წელწადნა შეკოჭო. სამოცი-სამოზდათი ყათი წინდა მარტო ნახველებში დეიხარჯოდა, ანი... იმ ომიანობი დროზე მატყლი იყიდე და ქსუე, ადეთი იყო რანა გექნა. შარვალში გასაყრელი ხონჯარინა მეგექსოვნა, სიძესთვინაცნა გექნა და მაზლისთვინ. წინდებზენა დეგედვა, ყველა ციციებზე მაქ გაკეთებული. ერ გომბიოზე სამ ქორწილ ვიჯებოდი. ნიშნობა, ნახველები ოცი-ოცდახუთი სული და მემრე წაყვანა. მაშინაც ქორწილი იყო აქ დაჰჰაიჯებდი, იქიდან მოვდოდენ. მაშინ კაი შამოსავალი გექონდა.

ბურხლიაიც იყო, წკენტიაიც. შენ რომ ფერადიანი ჯემპრი გაქ იმიდან ანდაზა გადავა, აჰა იმ სოი, იმა წკენტიაი ქვიოდა. ჩიტი თვალაი, იმფერი იყო ჩიტითვალაი

გერჩექთანაც. იმთვერი კაი წიდებია ისინი თიბილი იქნება, ჰანაი ლაზლა სუფთანა დართა, სქელი წინდები თიბილია, მეც აღარ იქნა და ლაზლი წინდები მოვძებნე. თიბილი გექნება ჭლიკები. წელი კაი გინდა, წელზე კაში დეიხვიე, ჩამეიტაი ყაითნებ დიგიბამ, მე შენთვინ გებნევი, მე წელი ამტკივდება მევეციცხავ გიმიარს. ე კაბა ცოტა მიწროა და ვერ მევხვიე, ერთი მეორე კაბანა ჩევცვა.

მე რუმ ბალვები მყავდა, ბერი ქარხანაში იყო, ჩაცმიდან არ უჭირდენ, ჰალა ნაზიკო თიბილიში იყო ბალვებს მაკასინები და კუტკები ჩამუტანა. იმ ხანებში ბერი ქარხანაში იყო, ქარხანაში რუმ გევდა იმა მემრე გაჭირვება აფრისა აღარ იყო. ოზდახუთ წელწად ქარხანაში იმუშავა სანყობი გამგედ.

ჰამანდა ერთ თვეს ვისაქმეთ, თხმელნარი ღელეში ჩამევეყანეთ და მასობაში გათოვლდა. ჩვენ შათათ-კვირას ორი წევლოდით მარბამდე მე ვიყავ, ვთხრიდი იმისისხობე მიხარიოდა რუმ... მოლალვას ვერ ვხვდებოდი, ნახევარ მეტროზე ვთხრიდით, ნოდარ ბიძიასი ბაბოი მუხლებით დაჩოქვილი სთხრიდა, ბერი კაცი იყო, ჰამა ჯანლიანი იყო. მე თიდან ჩამუელ და ჰურიემ მითხრა თქვენ წყალში არ შიგიყვანესო, ჩაველ ჯემალ ტადასთან, ვუთხარ მე ჰაცხა წყალ გეგვონებდი შენ შიგატყობიებდი, ისინი ეიქ დარი ძირში ჯყორტო იყო იმა ხმარობდენ. ეიდა მითხრა: წამოი შივამონწმოთ შვიდი თუ ჩევეტევით ჩაგთლიო, წაველ სიხარული მგონე არ ვიყავ. დილყები ჩიენყეს ექვსი, მეშვიდე ჩემი ჩამატეს, ეიდა მითხრეს რომელი გინდაო, ვუთხარ: იმ წმინდაზეც რაზ ვარ მეთქი, იცინეს. ჰოდა მოლალვა ჰალად იყო. თემური ხულას ფოსტაში მუშაობდა, ბერი ქარხანაში. შათათ-კვირას წამოვლოდენ დანარჩენი აფერი არა. როინი და წყალი ტოლები არიან. კიდურიებზე დიდი ჰარლინა გაკეთო, რუმ წვიმა არ ჩადინდეს

თუ უსტას თავ არ დადექ... აქ ორი თვისა რა იყო, კარ-აქოშკა არ უკეთებინ აფერი. ავდექ კოფენა მუდულო ვეფერი ვერ მივაგენ, დავჯექ. კილო გულმა არ მიყო, ავდექ ვეძებე, ვეძებე ვერ ვნახე, მიველ დავჯექ. თავ დადგგები ვერც იზარმაცებს, ბადრი ქალი მეზნეოდა ეგ არ მეიყვანოთო, ერ კედელ ერ თვე ლესევედა. ერ ზაფხულ ერთი კალიდორი კრასკა. თუ უსტა მეიყვანე იმისთვინ შენა დაჟდეთუ. მე რუმ სახლი ევშენე ექვსი კაცი მუშაობდა: ზოგი რანდევედენ, ზოგი ქამფურევედენ. ძროხა ბარში მყავდა, სამ

კილოიან ბანკით მანონ ჩამუტანდი, ანჯალ ყოფნიდენ. წყალი შეიხიენ ეზოდანა მეგეტანა, ნადიეი შეიტყობდა ერ დონუმაი მეიტანდა. ნადიეი რაფერ ავათ არი, მუხლი კვირითავი დარტყა და ველარ იარება, საცოდვავათ არი.

ჩვენ დროზე რაცხა ბადადებ ვაკერებდით, მე არ მიქარგია, მაშინ მულინასაც ვერ ნახევდი. ნარგულიმ იცოდა, ბევრი დარუშკები აქ ნაქარგი. ჩვენ დროზე იმდენი მიტკალი ჰა იყო.

ამ ბაღვი დასახლება აფერი ხებერია? ე რამბავია ჩვენ რაულივით გეიბჯინა ფეხები, ეიგერ ნინოს მულმა გამურჩია, აფერი არ... ქაზიმიც ასულა ძირკვაძიებში ჯანაზაზე, ენჯამი მარინაი აქავრი იყო. ამ მარინას ლამაზი ბუქსუტაი ბაღვი მუკდა, რომელცხასი ქორწილი იყო და ხელიდან გავარდნოდა. მიორე დღე გაველ, გერჩეფ გაველ, ჰამა რანა ქნას გასლამ ამისისხო თავი გახდენოდა. ამ ბადრისაც ისე მუკდა, ბედავრი მემრე გამუდგა. რა უშნოთ ყლებდენ იმ თვალეებს, ანი...

კვირაში ოთხი დღე, ოთხშაფათ თუ ხუთშაფათ, არ ვიცი, რაფერი მარხვარი იცი? იმ დღიებში სულნა იმარხო თელ სიცოცხლეში.

წუხელი ლამაზათ გამთბარიყო, ერთი საჰათი მეგემ სჭირია, ერთი საჰათი.

ღმერთო ყველას თექმილი ჭკუა მიეც.

ღმერთო ყუსურები გვაჩუქვე.

იმფერი კანუნი მისცა.

ულუზი, არ გვანახვეს.

კილო, მოსლისუმალ ხელი არ აკლია. ჩასხემდა ემეში და ალაჰარიკებდენ მენთევრები და იცინიდნენ ქალები, წასლიხანებში იცინიდნენ.

წინწინ იქა ავამტყოფები ჩადიოდნენ, ჰემ ისვენებდნენ, ჰემ კურნალობდენ. ავამტყოფი დაწვებოდა, თუნდა თუთხმეტ დღე ყოფილიყო, ჰამა არ უნდოდა აფერი, ყვეილამფერი მარაგი იყო, კარაქ აჭმევდენ, ჩაი, ყველი, თუ ძეს მეიტანდნენ ქაშ გაკეთებდნენ, თუ არა და წყლითაც მოდულდება, ფათასევეფ, იალ დასხამ და სჭამ.

ასპინძას ვიარებოდი, ასპინძარი დასაბანელი, ახლა რუმ რემონტია ის, დასალეველია, კუჭ-ნანლავის მოსაშუშვებელი. ე ფერდიები ვინცხას სტკივა იმათთვინაც კაია. ეიკიდიჰაი გუშინდელ აქეთ მომაგონდა, ახლა კილო დამავინწყდა.

ყველ წელწად ვაჟაი შვებულებაში გევდოდა და წევდოდით. მე წელი მტკივოდა, რამა მემრე იცი? ქალი რუმ ღლეში ჩადგება არდა ისაქმოსო, ქორწილი იყო და თავნები ვგავე, ზედაი ყათები მიმუანყნარე, ეილა მასობაში მეყოლა ბალვი. სამახარობლო რა გაქნენ, ციცაი გვყავსო, მე ქვემა ყათში ვინექ და ვუთხარ: ერთი ზეი ამბარგეთ, სირცხვილია მეთქი.

ჩემი მანთილი სამ თვე ისკელეში ინვა, მულობავში, რა გულიანი კაცი იყო, კარი არა, თანჯარა არა. ისკელე რარი და მარტო ზეიდან არი ღირეგებზე გადახურვილი და ერთი სედრი გეიკეთა, ერ კიდურში, გომგორა ურბას ხომ არ გეიძრობდა, ისე დანვებოდა. კაი დედამთილი მყავდა, ვეტყოდი თექ შენ ბალვებთან იყავ, საქმე ნუ შეგედერდება, ლამაზათ გულევილი უარებოდა.

ტელევიზორები არ იყო, ჩვენ გვექონდა ბერმა აღრიანაი მეიტანა, ჰამა ხალხი ხომ არ ჩამდენ. იმა მემრე მეიტანა, ლამბის სინათლეზე იყო, ნევთს ჩასხემდი, დიდი ლამბაი იყო ჩამოკიდული, ეი ჩამოჰკიდევდი, ჰემ განათლებდა, ჰემ ილაჰარიკებდა.

თველზე ამ მუხლებში მეჭედებოდა და სკამ გევტანდი და სკამზე ვემდვალეობდი. ღმერთო გამჩენელო, ნუვის სამარ ნუ დაგვტევ, მოკდენამდე ჩვენ ხელ-ფეხ ნუ მოგვიშლი, თავრობასაც ხეირი მიე, წინ წამეიყვანე.

ახლა რუმ იმფო მაგარი სისუფთეა, ისე არ იყო. მე იმფერი ბებიაი მყავდა ჩვენ დაგვილ სოხახებს არ იკადრებდა, ლამაზათნა დეგეგავა. მამიდაი გვყავდა, რაცხა მოსიჰრეს და სახჩი იყო, ავანტყოფობდა. მიწი გულებაი მოსიჰრეს. ისხრიკა, იბნიდა. გაღმა იყო გათხოვილი, ნიშანლობა იყო და კაცი მოვდოდა დეიბნიდოდა და ხოჯიებმა უთხრეს ეს იმფერი მოსიჰრულია, რომ არ ეშველებათ. რაფერ იცი? ბოყვით, იმა გახსნი, გარონიებ დაკეტავ და ზღვაში გეიქნევ. მეგემ თმიები მუაჭრეს და იმისისხო შვიდ ჩეშიტ ძათ ეილებდენ და იმა დაკოჭევდენ. იმისისხო მოსიჰრული იყო რუმე, მუხლებიდან დაკუტდა. ჩვენ ბალვები მუარდით, სტექნით წყალ მუტანდით. მემრე იმდენი აკითხვიეს რუმე, აღარ იბნიდოდა. ერთი ქალი ყანას ბარევდა და ღელისკენ წამოვდა, თქვა ღელეში არ ჩავარდესო, რაცხა დანერა, იმ ქალმა თითი მეიხოცა და ისევ დეინყო ყანი ბარვა, იყო, წინწინ ჯაზობა იყო. ერთი შევექეთ ემიაი იყო, მეგემ ისიც ნუსხევდა, ეილა ნური ემიაი შეხდა და იმან უთხრა: ეგ არ ღიგინახო, უკანა დეფნიდან გადაგავდებო!

შეხდენია და მეგემ თეზვარე, თეზვარე იძახიდა. რატონნა ქნა ისე, სხვის ავატყოფობით რა ქარი გაქ?

იმურათ იშტა აღულებ ურთავ მანნი დედოს და შედგება მანონი, მანონის ემენ იშტა ნარჩენაი, ძეს რუმ აღულებ და შეგრილდება, თით ჩაყოფ გასინჯავ მაია რუმნა მისცე გაშინჯავ მოცხელონა იყოს, ბევრი რომ მოგივდეს ეიჭრება, არ მოგივა კაი მანონი, ვირი წყლის სმევასევეთ არი.

ბალვებსა ყურზენა დიეკიდონ მაშინ ეტყვიან ვირ წყალი ასვიო?თუ იტყვის ცივი ვასვიო, პირი მუყინავსო, თუ ეტყვის ნორმა იყოვო, მეტი მოსლიაო და ვირი გაბერილაო და ისევ დეკინებთან ბალვს, არის ამთერი სასეირებელი.

ანი ენი წვერზე მიგორავს, ვიგონებ რა ჰქვია ნადიკოს გენილ და ვერ მევგონე.

ე რა ციცაია, თმიების დაბარცხნა არ უყვარს ისე ქაჩალაი არის.

სიმღერის ოსტატი იყო ბანო ბიბოი.

გაზაფხულის ვარდის შტო ხარ,

მებრალეები მართო რომ ხარ,

დედა რომ გამოგიშვებდეს,

რა თქმა უნდა ჩემთან მოხვალ.

ბოსტანში რუმ გედევხედე,

ქინძის თავი ჯეჯლობდაო,

მეტლისში რუმ გავიხედე,

ყველა ბიჭებს ის ჯობდაო.

ბოსტანში რომ გედევხედე,

მივკრიფ-მოვკრიფე ქამაო,

ნეტავ როდის მეღირსება,

შენი ნაყიდი კაბაო

ფანჯარაზე მომდგარი

თვალუყუყუნა თეთრი ქალი,

ხელსა მიქნევს აქ ამოდი,

შინ არ არის ჩემი ქმარი.

გოგოვ შენი ელფერიო
ქმარი არ გყავს შენფერიო
ის გაგლე და მე წამომყე
მე ვარ შენი საფერიო.

დიალოგებიდან

- გო ლიანავ, სხუა დედამთილი რაფერ გყავს?
- კარქა.
- საქმიები, საქმიებს მესაქმებდა ახლა?
- შენ რა იჯები თუცუნავ, ბახში სამოთ? თუცუნავ თუ ისამეფ კამპეტ მოგცემ!
- კარჭლები მოკრიფეთ?
- არა, იმისისხვანი კარჭკებია რომ....
- აბანო არ ჩამეიტანა ვაჟა ბიძიამ? არ ასვი?
- ჩამეიტანა, ამი გულობაი აველო და ჭოლუებში ჩავარდნილა.
- ჩეიცვი ბებო, ჩეიცვი, ფეხებზე არ შეგცივდეს.
- რარი ბებო შიან, აფერი დაქციო?
- გო! პირპილაი არ იყოს და ბალვ პირი არ დიენვას?
- ჰა, გეძინება? ჰაიდე წევდეთ, ლოგინები გაჰაზირებულია, ის გუკეთე და ჰაიდე წევდეთ.
- სალუმე, მაქ ემენებია შერთებული, გამოი, გამოი ერთი ჰა გამოდრა...
- მუა აქ დედიკოი, მაქ არ გეხვიდე ცივა.
- ჩემი ტელეფონი ჰად არი აჯათ ანი?
- ჯოხი აქ მევტაი, აჯათ?
- სხლი წვენი, ყურძნი წვენი, ი რა ცოდვანა იყოს, ისე წევსვი ოტკა რომ, ბული გავადინე.
- როინიმ ხულასნა წეიყვანოს და ამუაგლეჯიოს კბილი?
- თვალეებში ისე მიბლენდება რუმ, ისეგავს წნევა მაქ, ერთი წნევანა გაგასინჯო.
- დღეში ორჯელ ჩავწვებოდიო, ჰანახან ვიქნებოდიო.

- ანი ერჯელ ვთქვი ხაპი შორვა მიყვარს მეთქი, ფატო ბიბოი იყო ამოსული და გაკეთა, ენჯამი რაცხაფერ შევჭამეთ, დეილია კიდევ გაკეთა, წასლამდი ერთი შვიდჯელ გაკეთა.
- ეიკიდი ჰაი ჟავიებს ჩავდებდი დიდ ბოჭკაში, უყვარდნენ ჩვენ ხალხს ჟავიები.
- მალადეს, კაცი კდარი ჰყავს, დედამთილი, მამამთილი.... უხსენა სული.
- ტაბახმელა, ტაბახი იყო და იმითომ დარქვესო.
- ღმერთმა ღუმსუყოს კიდრიები, მათ სულს მიარგოს.
- სტოლზე დავდე, ჰალა მომაგონდა იქ პრიანიკი, იმის ვახტი ჰალა მაქ.
- ჩემი გენილი ბათუმ მჰაიჯებდა, ჰალა შიმშილია.
- იშტა დღენა მეკითხა ფენჯრი ძირში, ჰამა...
- ბადრის ძულს ქესტანაი და ყანაში არ დათესიებს, ქესტანაი ხაპი აკძალული აქ. შენ არ გიყვარს ქულფეტი შჭამს.
- იმ დედაბერმა ნევთი მიასხაო, არა მეც შუფელი ვიყავ, რომ მიმოჰყარა რაცხიები.
- მუხამედ ემიამაც გამეიცვალა დუნია, ჰა! ეიკიდი ჰაი... გენილმა მეიტანა და ერთი ჭაჭვი ორო ჩიმიყარა ჭაჭვშიო, რუმნა მიყიდოო, აქეთ სახლი ასაშენებელი, ქალი მეზნევა სახლი აშენეო, გენილმა ოქრო ჩიმიყარა და ვთქვი რუმეო სიბერეში, რუმ მოსამლეელი გავხდე მეთქი, გენილი არ მომიარსო და ვუყიდე. ქალმა ბარესამი ხელდაო, ჰამა... მალ-მალე აქ ჩამოძრებოდა
- ე რა ჰიქმეთობა გამოვდა არ ვიცი, ამ ბალვ ძე-მანონი გასინჯული არ აქ.
- ჰაიდე ვჭამეთ, აწყნარე. მე საჭმელ არ ვუნაღლებო, ი მუცელი დიენვის ადგება და სჭამსო. პანაი მოხრაკულ ჭამდა და ისიც შეიძულვა, აჰა ამფერი სატანჯავი.
- ხოშორ-ხოშორი ბალვები ჰყავს გიგლას.
- თეამაც გოგო-ბიჭი დანყვილა, ანი იმფერი ბურვაკაი ბალვი, ისიც იმა დანგვანებია.
- შენ რომ ცხვარი ყოფილიყავ, შენი პატრონი ეჰია გახდებოდა.
- ანი ესენი შეიტაი და ნარცხში ჩაყარე რაი!
- ლალამაზად ვიყავ და ახლა თუ ახლოდან არ დემელაპარიკნენ არ მესმის.
- ანი მეც მასვი, რაფერია გავშინჯო.

- ეცქირე გზიებში ვინცხამ რაცხა მოგიტანოს
- აბა ციციები თითო კაკლვანი იყენ და ახლა ყოშხოჯვანი დამხდარან.
- ამ ნადიკოზე ჯანთელია, ამან ბირდან მისასო ჩხირი.
- თბილიში ოთხი ქალი ყოფილან შოფერი და ჯერ ავარია აფერი არ მოსლიანო, და კაცებნა უკძალონ შოფრობაო, ისინი არ დათრებიან აფერი.
- ე კაცი კლა მამლი კლა, გონია ხალხს.
- ისე არ მემეტები რაულო ამელამ იყავ და დილაზე წაი. ნასვამი თუ არი შენ ამუშავე მაშინაი, თრალეებიდან საშიშოა ანი.
- დაგვა-დასუთთვა მაზეა, მათ ადგუმამდე მიმუალაგებს დაუდება.
- გოჩას ციცი რუმელ კლასშია ნაბიკო?
- მე-9-ში.
- ო, ჰეფეიჯა ასულა.
- ფერიდეს გაკვეთილზე შივაგდებდით სობაში ამჟულებს, ჩვენ ბალვები გოია გავსუსულდებოდით, ე ფერიდეი გამშებოდა კარზე რა იქნაო. ერთი ჯესიმას მუატყვილეს მიწისძვრარო და გულგახეთქილი ჩეირბინა კიბიები.
- ეს ნიშნავს გელს შიეკრას ჩენგეო.
- ჰა ბებო სხალი ჭამე მოცალივაი ხარ;
- ანი არ მინდა ვერ ვტანულეფ სალამოზე ჭამას.
- აკი არ გინდოდა ბებო? მე რა ვიცი დევნახე თვალი წიმივდა.
- აგერ რუმე ესეც რუმე არ დაზიანდეს და ემენ და ჭალივით, ტრუბასევეთ წმინდავს და ლამაზათ გამოდის. ყველთვინ კვირა დღე დავუდებოდი და ვუყურებდი, აჰა გეუბნები მანდარინის ჩირი აჰა, შეიძლება ხაპის ჩირიც იყოს ი გამოშრება კარგათ და... ამა გამოშრობა უნდა, შენ ახლა სწორე თქვი იმა მოხარშვა უნდა.

ხაპს სქელი ქერეჭი აქ რაფერნა დაჭრა.

- ხაპიდან გაკეთა, ხაპიდან თავი ამოსჭრა ფორმაზე, ყათალივით და შიან ჩაყარა და იერბაერაი შეწვეს და კაი რაცხა გამოვდა.
- ათასნაირი რაცხარი, ადრე ერთი რაცხა ფელვერდას მუადულებდა ნენეი, ბეთმეფ... აჰ, აჰ, განვითარება არ იყო.

- ჩვენ არ ვიცით, ვაშლი ვიგერ ლპება, სახლისთვინ დამზადო და ასე შეინახო ხელობას ისწავლი და, ისე არ არი აბახი?
- მაშინ მანდარინაი რომ დევნახე, ვთქვი ამა ვაშრობ-ვაშრობ და...
- მანდარინაში წყალი არ იქნება, დაგჩება ცარიელი ჩალა.
- რარიო ელაპარიკე ბაბუ, რა გადანყვიტეთ.
- ა, ა, აქ ემეს აჩვენებენ ქუმას, ქუმას, მე რა ვიცი ახლა ჩურჩხელას უძახიან.
- ფაროსანამ ზოვლე ზორი ქნაო და თხილი აღარ არი, ლობიაი ხაშრები დარჩა ცარიელიო, ყვავილი შეჭამა რალამნა მვისხას ლობიაი.
- პილლაი ნაცარ ტუტას გამეილებდნენ, ასე წყალ დაყენებდნენ და ქონში ჩურევდენ, ნაცარტუტაი ქაფდება და საპოვნათ აკეთებდენ.
- მე მაგალითზე სპეციალური სოდები იყო და იმა რუმ ჩასხემდენ, აღულებდენ, გასქელდებოდა და ყალიბებში ჩასხემდი, ბაქლაგასევეთ დასჭრიდი და გამოვლოდა ყალიბები.
- ა საპოვნი აბახასაც ექნება მოდულებული.
- საპოვნიც მუადუღეთ, ფეხსაცმელების კრასკაც მუადუღეთ. საპონი ბილა არ იყო საპონი და საპონი დუღდებოდა და მეც დავდე და მუადუღე ერთი, ჰო, ჰო.
- მე მახსოვს ბალვი ვიყავ ნაცარს ჩაჰყრიდენ ვედრაში, წყალ დასხემდენ და სარეცხ რეცხევდენ, ჰო.
- კარებში შევლოდი ვედრას ცარიელი არ გამომატანდა.
- მე მაგრად ვცემე, ევალია არ მიცემია, ერთიც ემენ ვქენ ბლის მურაბები მუადუღე და ჰემ გავაფთხილე სამ ლიტრიან ბანკით სტუმრისთვინ ვინახავ და ხელი არ წაკაროთო. მათთვინ ერთ ვედრაში ჩავასხი, ანი ვეტექიმი მოვდა, ეველ რუმ აღარ არი, მეგემ მარადის შუჭამია, ი ერთი ვედრაი სამსეც შუჭამია და სამ ლიტრიანი ბანკაც და გახელდა სტუმარი ჩემზე ხასიაო.
- ჩემი ანაი რას იტყოდა იცი, კაი ცხენიო ქერს მიემატებსო და გლახა ბზესო, კარქსო ქატოს აჭმევენო და გლახას ნამჭასო.

- ჩემი ნენეი დანისპარავლიდან იყო და ამ რეჰმეთლულ დავლა დიეცა და დავლა დაცემული რომ იყო იმდენი გახდა გარეთ გამოვდა და გარეთ რუმ გამოვდოდა და დაუდებოდა მოი დაჯე ვილაპარიკოთო. რანა დავუდეო რვა ინსანი ვართ სახჩიო, სალამოზე მოვლენ საჭმელი უნდანანო. ახლა რომ მე წიმიჭირებს ყიაში საქმე, ანაი გამასხენდება.
- ერ წელიწად ემინემ გამეიარა: როინი წევს და წნევა გუსინჯეო, გუსინჯე რომ წნევა დაბალი, ვუთხარ ემია შენ წამლები ართვი მეთქი.
- ღარიბლულა ცხოვრობდა მაგი, ხელგაშლილი იყო გაჭირვებულინა მეიკითხოო, ჰამა ახლა ვიდან ანგარიშობს ისაქმოს და ჭამოსო.
- ღმერთო ცოდვად ინსან ნუ დადეფ, ჰამა ისაქმე და... სოფლებში სიარულ... არ შეიძლება უმუშევრობა, ღმერთმა გამჩენელმა თქვაო: შენ ისაქმე და მე მოქცემო. იმა იმფერი ჭკუა მისცაო.
- საბოლოო შვილი რუმ მუკდა მეგემ ცრემლები გადმოყარა და მეგომ მაშინ თქვა: შვილები წარეაო.
- ამხელა ზალა აწყალა ამაზე დიდია, თინას ზალაში იმფერი თიბილოდა რუმე.
- ერთი ე ბალვი რამეს ლაპარიკობს თუ აფერ არა გო, კილო გასუსულდა
- რომელი სათი იქნება გოგვებო? კარგად ესაქმეს კარქა ჩვენ ასლამდე.
- გო ვთქვი ე გენილები თვალეზიდან ჰა გიმიყაიბდნენ მეთქი განა ჩამოვდოდი, ჩამოვდოდი, გო გიმიყაიბდით.
- ე ინგაი ნაოპერაცვალია ჰო, კაი გოგოა მაგიც.
- მიჭირებს კალოშები გუგულასი ტაკვეცაი კალოშები მიჭირებს, იმდენი რაცხა მომცა გუგულამ ველარ ვექანები ჩამფუთნა.
- აჰა ვიჭუჭუნეთ ერთმანეთი, ერთმანეთი ვისიყვარულეთ ხუალ კილო შევხვდებით, დილაზე მეზელულებზე ჩასლა მინდა შეიძლება მევრბინო. გო რატომ ჩაჭრეს ამ ოხრებმა ე შუქი. ბადრის ვუთხარ ბალკონზე შუქი ჩართე რაცხას დასწვავს გედევხდი მეთქი, ჰამა რატომ ჩაჭრეს არ ვიცი.

- თურმე ყოფილა კანონი მამფერი რომ აღარ გადამეტებ, იმ ჯარიმას უკან გაძლევენ, ერთი წელი რუმ ათავდება და აღარ გეცნება დიგიბრუნებენო.
- შიესწრობი საქმესნა ისაქმონა, ხომ არნა თქვან რომ წასულების მოსამსახურიები ხომ არ ვართო.
- არა გო, ჰა დარჩება რომ მარტოხელია ბაღვები ცალკე, კაცი ცალკე.
- შენ შემოგველე, ყვეილამფერი კაი მოგცა რომ დაგაინტერესა ჩემი ნომერი.

მთქმელი: ჩიტო გობაძე, 81 წლის.

რატონ არ დასწვევდნენ ყურძენს და ახალ ყლორტებს იღებს ყველ წელწად და ცოდვა არისო, მე რა ვიცი ისე მაქ გაგონილი.

დედამინა ხარის რქაზე ზისო ეიოდა იმ ხარს ბუზი ცხვირში შუძრება, უკბენს და ქას აქანებსო და იმტომ არის მიწისძვრაო, არ დიმიწახავს აფერი, ისე გაგონილი მაქ, მე რავიცი გერჩექ ასეა თუ არა.

შვიდმაისის წვიმა მადლია, თმას გივიზდისო.

„შვიდმაისის წვიმა

თმა კოჭემდი სინა”

ქართული ანდაზა არის, გეგებდება თმაო, იმა ნიშნავს. ერჯელ რაცხა ვუთხან ნათიას და დამაფინცდა.

ცისარტყელას კიბილები არნა დანახო, რომ მალე დაქცვინდებაო, ვინ უფთხილდება ახლა მაგას.

ეიქ რომ ჩანჩქერია, კორტოხ, იმაზე იტყვიან ვინცხასი სურათია ამობეჭდილიო. იმის ძირში ბაღვები გეიყვანეს ექვსკურსიაზე და დანახვეს ამოკვეთილი.

ერთი ბლაყობლუყი, დოდლოთალი რუმ მოვდოდა ცომში ხელ აკრევიებდენ და ის ცომიანი ხელი ბუხრის კერაზენა ჩამიესვა. კაცნა მიესწრა, ფეხინა დიედგა, რუმ მისი სიტყვით გეიაროსო. ძველებური ძანგაძენგი, კაც ფეხზე დადგმით შენი სიტყვით გარონიეფ.

ჯიფიებში ლუხუმს იპეჭევდნენ, თოკი გაბოგვა იყო თოკს გაბოგევდნენ და ფარას ართვემდნენ მამთილს. სარეცხი მაშინაი გამოვდა. თუთუნი კრეფაში

ჩანყვეტილი ვიყავით, იმფერი ზივთი ჰქონდა ნევთითნა გებანა, რამითჯელ ქალაღლით ნაჭამი მაქ. რაფერი დრო მაქ გამლილი. ქალამნებს ქალებიჯ ვიცვემდით, ჰადვალში ჩამოკიღული მქონდა ბარსახან. ერთი წყვილი კოლოტური ქალამანი მქონდა, ეიდა ბერები ასე ამუხვევდენ, ამუხვევდენ და იმათ იცვემდნენ. რაცხა მებრალეობდა და ვახოხვებდი, რეზინის ქალამნებიჯ იყო, ახლა რომ ჰაბრიშკებია, იმის კამერის ქალამანს იკერევედნენ და იცვემდნენ, ახლა ცხოვრება ჰელბეთ გაადვილდა. მარხილით თივებს ვზიღვედით, ახლა მანქნები ზრიალებს, კიღევ ძარი იყო, სიმინდს რომ მოსტეხდნენ, იქში ჩავჰყრიღით სიმინდს, ეიდა ინა გეგერჩია, დეგემწნა ასმები, ქუნჩელა ზედანნა დეგეტია და იმის ასმებს მუხებზე გავამწკრივებღით, რომ გამხმარიყო. აბა ასმები იყო, სიმინდის ასმა. წინწინ დეფანზე გამეკტანღით და ვნაყვეღით, მემრე მეშოკები გამეგკონეთ, შენ არ მოგსწრია კობრის საფქვავაი გქონდნენ, ბრახ-ბრახ ჰიქმეთი კაცი იყო.

მე რუმ მუელ, ეისე კუჩხეში ამხელა მოქსოვნილი ფეშკირი იყო, კნოჰკებით მიკრული, გოია ლამაზი იყო.

ბამბის მურგვები იყო წინწინ იმა დავძახევეღით ჭახრაკზე და იმით ვქსოვღით. თენტენიას მივაკერებღით ჰრასტინაზე, ჩემ ბაჯიას იმდენი ნაქსოვნი აქ, მე რა ვიცი... იმა ჰრასტინაზე მივაკერებღით და გოია უხდებოდა.

თერთმეტი კლასი მაქ დანთავრებული, ჩემა ბაჯიამ ისწავლა, მაშინ ხომ ასე ჩათინი არ იყო ჩარიცხვა. ღლიაში ამეგჩრიღით წიღნებს და ვარონიებღით, მელნები გვექონდა კიღევ, ფქვილები იყო იმას წყალს დავასხემღით და გავხსნიღით, ამხელა ყუთაი იყო დადებული იმაში ჰეროს ჩავანობღით, ერთ სიტყვას დასწერღი ხამღანნა ჩეგენო, ფანქარი იყო.

ხაზის რადიოები იყო სტოლბაზე ჩამოკიღული ეიდა ბოლოხან ი რადიოები სახლებშიჯ შევეყანეთ. დიოკნის იჟდა კაცი რადიოზე და ის გიჰასუხებდა, ტელევიზორები არ იყო. ხაზის რადიო სტოლბაზე ლაჰარიკობდა და რაცხას გეგკონებღით ის იყო.

წინა წიგნის სიძვეს ერთი წყვილი წინდა და საროჩკა, ბეიჰს ვეტყოდით, ვინცხას შიქლო ტუფლებსაც უყიდიდა, რუმ გიეთხუებოდი, ბეჰინა წეგელო. დედამთილის სკივრი, კარჭლისა, გაკრასკული, ლამაზი თაზე მაქ. დედაც ჰყავდა მამაც, ჰამა ერთი სკივრი გამუატანეს ჯეიზად.

დილასვეინა ამდგარიყავ, ცეცხლინა დეგენტო, ახლა რუმ დედაბრები ვანთობთ, ისე კი არ იყო, გენილსნა დეგენტო. დღეში ხუთჯელ ლეგენინა დაქციოლო, გენილის ემენ მარიფეთი ეგ იყო. ებბელი არ დიმინთია, მე რა ვიცი, ბარსამს ჰქონდენ იმფერი აღეთები.

აჰ, აჰ, რალარი მამამთილს კი არა, მაზლსაც ვერ დიელაჰარიკებოდი, იმაზე წარე მარიფეთი რა არის, გენილისა მონობა იყო. ეისე უკან ბოლოშინა დამუდარიყავ. მამთილი ზათი არ მყავდა, მე ჩათინი სახლი არ მქონდა, ვინცხას რომ მამთილი ჰყავდა, იქ ჩათინი იყო რძლობა.

ბარსამი ნათულაზევი მაქ სილგი,ჰალა წამოსხმა იყო, ამ სილგზე კედევ ორი მეტრო სილგინა წამოგესხა. ახლა კასინკასაც ვინ იხურავს, სილგი წერასუნდა.

ჩვენი ციციები სამნივემ მათთვინაი გიეთხუვენ, ვილან შეგეკითხება. კაი-გონჯი შურიგდეს.

მთქმელი: ნაზი გობაძე, 79 წლის.

ებელი არა. კბილები არნა დანახვო დაჭირიანდებო. კარჭლი ფესვში აძრუმლებდნენ ბალვებს კონინას წამალიაო. კონინაი, წითელაი, თუ ზეზე ადამიან არ დიემართა, მიწაში დიემართებო, კარჭლი ფესვში გარონიებდენ და ეჰვენაი მეიხდიდა.

ზლიკვ არ მოკლენ, იმა შეხდებინა გეიქნიო, უხარია.

სიძეი მეიტანდა საჩუქვარს: პურ, შექერს... ბლაცურს რა ვიცი, მეიტანდნენ გოია, დარიგებდნენ გამრიგოებში, ქალ რომ წეიყვანდნენ ფულ გადასყვეტდნენ, ბაშლულს უძახიდნენ და ფეხნაქცევი, ცხვარს რომ მეიყვანდა ის იყო, ილაჰ მუტანდნენ ქორწილის წინ.

ფული თუ გაქ ყველთვინ კაია, თუ არა და ყველთვინ ჩათინია. ახლა გაიოლდაო ვიძახით ჰამა, იმთო უჭირან წვალობენ, თურქეთი მურქეთი რა ვიცი.

თუთუნი იყო, სიმინდი იყო, შალობა იყო. მოქსოვდნენ ფარდუკ კაცებისთვინ შალ-კასტომ, სარტყლები მაქ ნაქსუარი, აჰა ისინი ვიცი, სხუა აფერი არ ვიცი. სამი ქალი დაჯდებოდენ და გეილებდენ შალს და მერე დაზგაზე ქსელს ქსოვდნენ, ამეილებდნენ დასჭრიდნენ და შეიკერევდნენ რაცხაფერ უნდოდნენ.

მეგენი აფერი არ ვიცი.

ორ წელ ერთად ჭალა ვსნიეთ და რომ წამუელით და ჩამუელით, მეგემ ეკალზე წამოვდე და დამჩა, ქვეი ჩამუელ რომ რაცხა მსუბუქაი ვიარები, დავბრუნდი და ავსნიე ჰეკალზე წამოფალაზული.

აჰა იმაში წყალ აღენდი და არ დეიქცეოდა.

ასე შეკერევდი ფეშტამალ, მაშინდელი ხალხი ჯამთელი იყო, ზამთარ ზაფხულ ეხვივნენ წელზე, მუხლებზე. ვინცხაი პერანგს არ ჩეიკვამსო, ისიო სიფუხრისარისო იტყოდნენ, ახლა ბითთევს არ აცვიან.

მაშინ უფრო დაძახული დრო იყო, ერთი სათი არ გასულიყავ სტალინი არ გაპატიებდა. ახლა რაცხაფერ გინდა ისე იზამ, ისაქმეფ შენტვინ არი, არ ისაქმეფ აფერი არა. მაშინ ქერი ყაჰვე იყო. ქორწილში ხორცი, კორკოტი, ბევრად ახლანდულა აფერი არ იყო.

დასწავდი ზეთ, მოზელდი ცომს, გვალგვალი გამოცხვებოდა. დიდ თეშტში ჩაჰყრიდნენ ერ ამოყრაი, ერთ ვედრას ამოჰყრიდნენ, კაი საჭმელი იყო, ზოვლი მაგარი არა, პურ რომ მოზელ იმაზე კარგა ჩვილი.

მოხარშევდნენ თხალ, იმაში: კაკალ, ძეს, ფქვილ მისცემდნენ,ჭადი ფქვილ მარაგად.

რაის კანსერვი მაშინ ჰა იყო. ლასტა ლობიას ასხემდნენ, დიდვან რგალეფს, გახმობდნენ, იმა რომ მოხარშავ ნედლდება და ძალიან გემრიელია.

სჭრიდნენ კვერებათ, ხან ისე ჩავაკრევდით, ხან ისე. მაშინ კეცი იყო, ფეჩი არ იყო აფერი, ჰამა ჩვენ ფეჩი გვექონდა ებედი.

დილაზე ფეჩინა დიენტო, ყველასთვის იესწრა, საღამოზე მალე ვერ დაწვებოდა. დალაპარაკება, ჭამა მანთილთან არ შეიძლებოდა. რაფერი კაი მამთილი მყავდა: ტკბილი, გემრიელი ხმას არ გვიღებდა. მუელ შევეჩვიე ხებერიც არ მქონდა, ჩვენ ოცი წელი ერთად ვიყავით. მე რომ მუელი თქვენი ქვედაი სახლი მაშინ აშენებულია და ბაბუაიც იმ წელიწად დაგაკლდენ. რამდენი ერთად საქონელი გვყავს ნაძუარი, წევლოდით ერთად არ ველაპარაკებოდი.

აბა არა თუთუნის, სიმინდი გარჩევა, მატყლი ჩეჩვა, სხუა ჰანა წახვიდე, ღამეი, ღამეი, დღეი ვინ მიეცლიდა.

ყირმიზ სიმინდ ძინარას უძახიდენ, იმისი ჭამა არ შეიძლებაო, ისე იტყოდენ, არ შურევდენ სიმინდში.

მე მეოთხე კლასიდან გამოსული ვარ, დი ეშამურიდან დიოკნის ვიარებოდი, ეილა მემრე რაცხა დედაჩემი ავით გახდა და გამომიყვანეს, ოთხი წელი ვიარე. მარტოხელი ვიყავი და გამომიყვანეს, ყველამფერს ვსაქმობდი. კაი ფორმები იყო, კაი ფორმები, გალსტუკები. პიონერს ყელსახვევინა ჰქონოდა, ისე სკოლაში არ დიგიშვებდენ. ბა, მაშინ რაფერი რეჟიმი იყო. ახლა ყველაი თვითნებური გახდა, მასწავლებელ მშობლის უფლება ჰქონა ბალანასთან. რაფერც მშობელი ბალანას დაჰყვირებდა მასწავლებელიც ისე იყო. პასტით ვერ დასწერიდი, პერო იყო ერთისოი, ყინწას უძახიდენ იმათაც, ვერ დასწერიდი.

ახლა ჰალა მოდის ზამთარი, პირველ სართულებს გუსწორდებოდა თოვლი.

ახლა რუმ შამოვლენ, აქ ერთად დაჯდებიან ისე ჰა იყო. იმისი მოსათერის ოთახი ცალკე იყო, საჭმელი ცალკე, რა ვიცი ყველაფერი განსაკუთრებული. ახლა სტუმარი ჰალად არი, მანქანაზე დაჯდება, ჩექილულ, აღარსად აღარ არი. გარედან იყო მეიდან ოდი კარი, შევლოდა იქიდან გვიარდა წევლოდა.

სარნას ვეტყოდით, იქში გამოვჩეხევდით, დანგრატით დაწურევდით. ვადულებდით ბევრ და გამოდიოდა ბეთმეზი, დედაჩემი პირველ წვენ ცალკე მუადულებდა და კაკალ ან თხილ ჩაჰყრიდა, გემრიელი გამოდიოდა, ჰამა ლეჩერი იმფო ადვილი საჭმელია, მურაბები უფრო ემენ არი წუთხე, რა ვიცი.

ჩიტი არ მოვდეს და არ შეჭამოს დათესილი, დათესილ ჩიტი მოვდოდა და ამეილებდა, ახლა დეინამლა დუნია ჩიტებიც გასწყდნენ.

მთქმელი: გუგული კახაძე, 64 წლის.

იმაშინა გამუაძრუმლო, კარჭლი ფესვებში, კონინაზე იჭებოდნენ მაგას, ეს არის საყმანვილო რომ აქ ბავშვს, ეი სირსვილის ლოცვაც იცის გიგიმ. ქამარია სპეციალური, შამიეხვიანა თელი ორსულობა, რომ არ შეეჭამა მატავრას, მაგასნა მიება მძივიც არის და ქამარიც. მატავრათ შიან მუცელში შეჭამს რაცხას, ხორცს: ატავრავ მატავრავ,

შენ ეშმაკო ხატავრავ,

სად იყავ? სიდან მოხვალ?

სად ვიყავ? მარტვილთან?

რბილთან საჭმელად,

სისხლთან სასმელად.

შენი წამალი რა არის?

ღორის ზეთი,

შავი ქათმის პოზანი, ძეძნის ჩხირი.

თახვი იგივე კატაა, ჰოდა ყურ წაჭრიან, სისხლს გამუადენენ და ბალანას ცხვირთან ახლო წუსვამ, შავი ქათმის პოზანი რომ არი იმასაც წუსვამ, ჩალოკვებ პანას. მერე სირსვილის ლოცვა:

ალავერდი ჭალასა, ხარი ხნევედა ყანასა,

ხარს ტაბიკი უტყდებოდა, სირსვილს ძირი უხმებოდა

იგივე მუნია, ხბიებს მუნი აქ ასე, რუმ ბალნებს გამუვა შამოხაზვაც უნდა, ფანქრითნა შამუხაზო გვალათ, რომ არ დემჩნეს, თანნა ულოცო, თან შემოხაზო რომ ამა იქით არ წევდეს.

ახლა იმისა მოგიტანო ორი ლოცვა კილო, შეშინებულის ლოცვაა, რამ შედაშინაო ე წერია მაქა:

შინა, შინა, რამ შეგაშინა?

ჩიტმა შეგაშინა, ყვავმა შეგაშინა,

ძალმა შეგაშინა, კატამ შეგაშინა,

ქალმა შეგაშინა, რამ შეგაშინა?

მე შეგაშინე? სულო, სულთან მიდი, გულო, გულთან მიდი.

შეშინებულ გარეთ გამოი,

ბილში თუ ხარ გარეთ გამოი.

შეშინებულ ოჰო გუუში. ამინ!

კისერი რომ დეგეგცნება და ცალთერეფაი დარჩები ან წელი. მალ-მალე მერიკოს, ბიჭიკოს ექცნებოდნენ და ცალთერეფაი იარებოდნენ და მაგას ვულოცავდით. ზეთიანი ან იალიანი ხელინა წეგესვა, იალი თუ ქონდნენ, იალს მოგცემდნენ თუ არა და ზეთითნა გეგლასუნა:

დაქსნისანი სოკოსანი,

შენ ვინ მოგცა ტყუი შვილი?

ადემი დიეცა, სისხლი მიეცა,

სამი წყარო წყალი ერთად მიეცა,

გავედი ყანაში, დავკრიფე კანაფი,

შეგიტყვე დაქსნილი ხარ,

გაუში დაქსნილი ხარ, ოჰო გუუში. ამინ!

აღისაო მალისა,

შეგილოცავ თვალისაო,

შინავრისა გარეველისა,

მოსულისა წასულისა,

ას სამოცი კაცისასა,

ას სამოცი ქალისასა,

მოდოდა შავი წყალი,

მას მოყავდა შავი ყველი, ჩავკარ შავი კარაბაკი,

ამოვიღე შავი ყველი,

ვინც ავი თვალით შენ შეგხედოს,

იმას გუხმეს ორთავ თვალი.

გამოვწურავთ ძეს, გავათბობთ ცოტას, შევათბობთ. გამეინურება ეს ძე, კაიმალიდან, რომ გამოვა, ძეს რომ გამოწურავ,თუ შემანწულია ეილეფ, თუ კაი ამინდებია, თუ არა და ... ხომ გამოვწურეთ, სიცხიან ამინდში მალე ვიღებთ. შემანწული ბევრი არნა გაბედო ტკბილში. შემანწული ძე გამურიონა კარგად, გათქვიფო და მოგივა ლამაზი ყველი თუ არა და მოგეფუშტრება. ჩაკვეთილი, ათ ლიტრა ძეს ერთი თავი კვეთი უნდა. ხანჯელ უნდა შეთბობა, ხანჯელ არა და მიტან მარილ წყალში ბეთქებ, მაშინ აღირი მეთქმია. წალკაში ჩვეელ დიდვანი ყველები იყო, ამ დაფიან ფანჯარებზე იღვა ტორტებივით. ვეკითხები ამ ქალს: რა არის ეს უმარილოდ იზამს? მიველ და პანაი უმარილოდ მოვპწკენ, გემრიელი იყო, მარა გამხმარი და მაგასო მერე წასლის დროებ რომ დავარქვამო, მერე ჩავაგდებ მარილ წყალშიო, ისევ ამეველეფ და კარდონებში ჩავანყოფო და წავალ პადარკის გადასაცემადო. მე წათხში ვიცოდი ყველის შენახვა. მერე ყურუთი მუკითხე იმ დედაბერს ძან მიეწონა და იფიქრა მეც გავაკეთებო და შაქარიც ურთო იმ მოსასპობელმა. ეს ყველები დიდვანი ფუშტურო იყო და ყურუთები მიეწონა, ჩვენი იკადრა მარა მან შექერი ურთო და მე და ინგამ ევძლნიკეთ ცხვირი.

აჩმი შორვა, მოხარშავ აჩმას, ჩალესავ, რაცხა რაოდენობა გინდა დასხამ წყალს, წამოდულდება, მერე სუზგზე გალესე, ბულკები ზათი არ აქ, გარეთაი ქერეცები რჩება სუზგზე. მიცემ ჭადი ფქვილის მარაგს, რომ შიადულდება ესენი ყველაი კოვზით ამოსაღები რომ გახდება ურთავ მარილს.

ახლა ანდრიაი გასჩენიან, ანაბელი ყავდნენ და ახლა ანდრიაი გასჩენიან. აკვანი და მისი ჯანი, ყავროი გო, ასე ხომ არი ქვი ბანკას ჩადებდი, ბანკა იყო ზეით, იყო ბრელო ბალიში,ამ ბალანას რომ ჩანვენდი, მარტო ერთი ჩვარი გესრებოდა, ბრელო უფრო თბილი და კარგია. ასე ოთხკუთხედ ამოჭრიდი, ადრე ვკერავდით, მერე გამოვდა კულოკები. ჯერ დიდი ჩვარი ხომ დიეგო, პრასტინაი გაქარგული, მუხლების კაშნი, ლამაზი ფანელის დიდი ჩვარი, მერე ხავროზაი (წონოლაი ბანკები იყო ერთსოი). კულოკს გამოვჭრიდით, გიდიეშლებოდა, მერე დაგებდი ოთხკუთხედს ბალვი კულოკზე არ დანოლილიყო, სუფთად რჩებოდა ბავში. ხელებს შუკრავდი, ფეხებსაც ზათი... თავზეც კასინკას გუდუჭირებდი.

მე გვიან გავმემთვერდი იყო ტადიციული მთელი ამბავები იყო, პატარძლები აყავდნენ, ადრე უფრო ზარზემიანი იყო, ლოდიძირ ათენებდნენ. მერე კიდევ რა იყო იცი, ჩემ ბავშვებში ძუძუ რომ არ მექნებოდა რეზინას გამოვკოჭევდი, ღუკიდავდი ბოთლს, ბალვი მოსლეპდა და ი დარჩებოდა, ბოთლი ზათი ცარიელი, მეც დევძინებდი ისიც დეიძინებდა, მანიკრუპით მყავს ბალვები გაზდილი. ეს ოთახი იყო ძველი სახლის დროზე, ექვსი ოთახი სახლი იყო.

დღეს ვმღეროდი სტუმარზე სიმღერას: მეიცაი-მეიცაი... გიგი მისმენდა და ვთქვი არ გეიგონოს, შემეშინდა გიგიმ სკოლაში არ წეილოს სიტყვა მეთქი. ახლა უკვე აღარ მახსოვს, ჰო მასხენდება, დღე ბალვ ვუმღერე თელი დღე და ახლა ვეღარ ვიგონებ.

არა, არა ბიჭიკოს ნაღდად ეისე რომ წამოვდოდნენ, ნახევდი რომ გადაკიდული კისერი.

აქ ეზოში გეიმართა პალატკა და ჩემ ეზოში პალატკა გაკეთდა და ხაზინობა მოუხდა მერიკოს და ხასანას. მერიკომ დეიკავა და მე მხარი მომცა და რა ქორწილი ჩავატარეთ, დიდებული. ხოდა ციცხვი დეიკავა ჩვენმა ფატომ, ციცხვი დამაკავნიეთ და თამარაი ჩემთან ახლო ვერ მუაო, უნდოდა ბითთევათ ხაზინობა, მარა ბოლოხან უთხრეს აბდულ ტადას და თამარა ხანუმს, რომ ხორცები მოკრიშკეს გუგულამ და მერიკომო. ჩვენი ეილუგები ჩეგვეყარა წყალში, არადა გავსწყდით საქმეში. ანაი და ბანო აბახაი აქ სითბოში კარტ თამაშობდნენ და ჩვენზე ხელდებოდნენ, კაი ქალი იყო, კაი. ბევრი ამბავები გადაგვახდიეს აბა.

რაცხა ძველებური ლექსები ვიცოდი, ჰამა ვერ მეგვონე მეიცაი-მეიცაი

ვაიმე დედავ ფეხებიო,

ტყეში დავეხეტებო,

ერთი მყავდეს ვირი,

შეგუდები და ვივლი,

მამამ ვირი მომიყვანა,

მე დავუნყე ზრუგში ფხანა.

ჭალა ჭალა მივდიოდი

მგელს დაელო პირი,

მგელმა ვირი შემოიჭამა,

დავჯექი და ვტირი.

მე არ მიძუებია, მარა ეიმისმა მაზღმა გამომიგონა ერთად რომ ვაძუებდით გახსოვსო. ეიდა თქვენი ფატო ბიბოი ქურცულში, რომ გევდოდნენ, ქვაზე დაუდებოდნენ და აღმელ ბერებს გუდუმღერებდენ:

აღმელეხო ბერებო,

მშიერებო მგელეხოლო .

ფატო ბიბოი ტაშხოში ქალი იყო, დედაჩემსაც იბარიებდა, მემთვერი რომ არ გვყავდა, მახსარაი ქალი იყო. დედაჩემიც სახალათეს, სასილგეს, კალოშებს ჩუქნიდა. მისი ქმარი, ჩემი ძმის ქირვა იყო. მე არ ვიცი იმან იცის ტოჩნად.

არ ვიცი გო, ალია დედეი იყო, თუ ჯეფერი იყო დამკრელი, რა ვიცი გამპუნკეს, ამკაზმეს, გამალამაზეს, ჰო და მოვდნენ ჩემი ხალხი გრუზავიკით. მე ადრე მოყვანილი ვიყავ ანი და მემრე გედევხადეთ ქორწილი, უორამ პაიჟა ხალხი, უორამ გედეხადა ქორწილი, ჯეფერის მუნია დოლის დაკრა, მუხომ კაზანი მონინვა, იმხიარულეს და იყო მთელი ამბავები. მემრე ჩემა მულმა განაცხადა მთელ ზასტავში ცეპინა ვაჩუქო და ხალხი ისე დამულამა რომ, მთელი ქედლები ცეპს მეკითხებოდნენ, ჰამა შენც არ მომიკდე, ჰალა ცეპი გონიან ჩემ გულზე. ბეჭდები და რალაცები, აგერ მაყვალას, დაჟე ჯემპრები მთელ თორამას დურიგა არ დეითლება მარა, ლიანამ გამუასნორა არა უშავს მდგომარეობა, ტაიაი იქ რო დეიხარჯა მოგვხედა, ვხედავ მაგას, ექიმის დარგში მოგვხედა.

ი ველარ არი ვერა დღე ხუალას იძახისო, ი ვაშლები რუმ ჯამა ზორისგან. მე და გულვარდიმ წავყეთ ასლან ემოს დარიკოს სიმინდის თოხნაში, მართლა ბეჩები ვყოფილვართ, ჰოდა იმათ გამრიგოს უძახის უქნევს უშნო სიტყვებს. შიმშილმა გიგვიარა. გვეტყვის რომ ვედეთ აგერ ვაშლების ძირში ერთი ყურუთი გვაქ და ერთი კვერი ჭაი, პანაი კვერი რაცხა ნატეხაი, არ გიმიკვირდა მიგყავს ორი ქალი დიდი გვეხი ჩუდე და. მივხედავთ მე და გულვარდი, რუმ ვაშლს რომ ახალი კუკუტები აქ, იმა რა იჯება იცი, ქუქნის. ჩვენ არ გვერევა ზარმელში. ეველით ჰაცხა ძველი ბამბის დოშეგები ყრია, ეველით ჰაცხა დამგრეველ ცხოვრებაში. ამან მეინადინა იმ ხალხზე ყვირილი,

ვეხვეწებით რო შენ ბეჩ დიგიძახებენ, მემრე მიველით სახში და თავბელი ვინყველე. უორაი წევდა ჯუმას სალოცავად და ებნევა შენ ქალიდან მწყენსო. იმდენი ეილუგები ჩეგვეყარა წყალში.

დღეს ბალანას ვუმღერე და შემეშინდა გიგიმ არ აკრიფოს მეთქი „დაუფიქრებელი სიტყვა“ რუმ არი, მე მუყოლე, რუმ ვუთხარ ეს მუხო ბაბუაია, ეს ჯესიმ ბიძოი მეთქი, მესუს მუყოლე და თუ დეიმახსოვრებს რა ვიცი? შევადარე ორი გლეხი ევდა და მასწავლებელს არ მუყვა მე რომ უხსენ ისე....

მთქმელი: ეთერი კახაძე , 74 წლის.

მე რა ვიცი, ახლა უცბათ ვერ ვიხსენებ გევხსენო ბელქი, რაი და რუმ არ ვარ იმ ფიქრში ახლა... ანი იმდენი სიმღერები ვიცოდი, მე და ნაზიკოი ერთად ვმღეროდით, რაცხა ხანდიხან მისათ გამახსენდება. ე რაცხა თავი გაბუჟებული მაქ და ვერ გევხსენე. შუამთობას რაფერ და ფეხით ევლოდით, ან არაბით. მემთევერები იალლი ჭად გამოგვიცხოზდნენ. მემრე ერთი მაშინაი „პალტარატონკა“ გამოვდა და იმით ევლოდით. აჰაი, მე სხუა აფერი შიმძლია, გეიქეც მეიქეც, შრატ ბოლო შურთე და იყბალა.

ნალებს დასწვავ, ჩაჰყრი ჭადის ფქვილს და მოზელ, კეცი გახურდებოდა, ხბოშუბლას ფურცელში შიახვევდნენ ჭადი კვერ მოზელილ, გერჩექ იმფერი ხასი გამოცხვებოდა, რომ... ზეიდან საჯს დავამხოზდით და დედაბრები დაყრიდენ წინწკალს.

რა მომაცოლეს და ლოგინი ერთი ყათი, მატყლის ლოგინი, გუგუმი, თეშტი, სკივრი ჩემ დროზე აღარ იყო. შკაფი მქონდა, წინწინ სხვანაირი შკაფები იყო, ბაბომ გარდროფი მიყიდა და ანას არ მოსწონდა და ბაბომ უთხრა: ახლა ყველაი მაგფერს იყიდიანო და დეინახეო და გერჩექ იმფერები შამოვდა მოდაში.

დილაზენა ამდგარიყავ, დედამთილისთვინ ცეცხლინა დეგენტო, ხევს დადგემდი, ახორში წახვიდლოდი, ანი რა წარე იყო ის ადგომა. სობაი არ იყო ბუხრებს ვანთობდით, ქარი რომ დუბერავდა, ქარი, ნაცარს კართან ჩეიტანდა. ისევ კეც და საჯ (ჯეშტიდან გამოჭრილ საჯ) დავამხოზდით, რომ არ წამიელო ქარს. ზეიდან ჰქოდა ფუტის გასასლელი, ჰამა ჩვენსას რატომ არ ჰქონდა რა ვიცი.

ტიტველი სედრე ანი, საგები არ გვექონდა, ამა ზეი ნათრენაი რაცხა ეგო, ქილიმი. ისიც ჰა ნახევი, შიფერი არ იყო, არც ჯეშტი, ყავრით დახურული სახლები იყო.

რაცხა უსინათლო ვერ ვუძლებ, ბნელა გო სახჩი, ჩემ თვალეფში ბლენა.

ჩემ სამშობლოს სამი-ოთხი სუტრა დეიდგმოდა. ოზდასამი სული ვიყავით, ერთი ემენ გვექონდა, ასე გვალი ფახირისა დიდი თაბლასევეთ. დაბლოკილი მაქ ტვინი. ოთხი ძმა იყნენ ჩემი სამშობლო და იმდენი გავხდით მემრე. ბუხარი გვექონდა, ერთ თერეფზე ბალვები დაუდებოდნენ, ერთ თერეფზე კაცები, დედაჩემი იყო ზარეველი. ვაშლის ჩირს გაკეთებდა, სხლისას და იმა კასრულში მოხარშევდა, მემრე მოხარშულ დიდ ჭურჭელში ჩასხემდა, იმაში შაქარს ჩაჰყრიდა, დანარჩენ ბეთმემ ჩასხემდა, ჭიქა ჰად იყო, ფახირის ჭიქები იყო წვიტი და იმაში ჩასხემდა.

ცხოვრება ყველთვინ გასაჭირია, ჰამა ახლა განვითარება არი. შეგნება რომ არ იყო, ცხოვრება ონაგორა იყო. ერთ უსკურაში ვსჭამდით.

კოფე იშვიათი იყო, ჰამა დედაჩემი იმთერი ქალი იყო ბოსტანში თესევედა და მოჰყავდა, ვინცხაი მოვლოდა ილლა გუდულებდა ჯებვეში. კოჭიგორვალას უძახიდნენ, ი რუმ დათქვევდნენ ბებერი ერქვა. ანი კოფე არ მინდა, რაცხა თავი მტკივა.

ოთხი კლასი სოფელში დავამთავრე, ჩემ დროზე ათი კლასი გამოვდა, მარბამდე თერთმეტი-თორმეტი კლასი იყო, მე რუმ დავამთავრე ათ კლასზე ჩამოვდა. სამოც-სამოზდაერთ წლებში დავამთავრე. სამ კილომეტრში იყო სკოლა, ტრაქტორი არ იყო, გზებს არ თხრიდნენ და ასე ჩახტებოდი ამოხტებოდი, მაშინ დიდი თოვლი მოდიოდა. ჩანთაი არ გვექონდა, ნაჭრიდან რაცხას თუ შეკერევენ ის იყო, დიდვან თავშლებს გამოგვიკოჭევდნენ და ის იყო ჰა იყო ჩანთები, დავჰტევდით არდადეგებზე, მემრე დიგვირიგებდნენ ან ორი ერთად ვსწავლობდით.

ასვემდნენ ხაშხაშას უძახიდნენ რაცხას, მე ვერ ვასვი, ბანგი ძილისა, მე მეშინიოდა და ვერ ვასვემდი, გვალგვალი ემენ იყო ბანგი, კანაფი. ჩემი მული ჩასხემდა ყუყუნას, დეიძინებდა. ემზარი ჩათინი ბალვი იყო, კონინაი დიემართა, გეყვანეთ და გასავალში კარჭლი ფესვში გავაძრუმლეთ, ლა...

ვუი, ნადებში პირველი ვიყავ. პანაი აღემიაი სკოლიდან მოვლოდა, სუტრას დულაგებდი, ლოგინ გუსწორებდი, შენი გასწორებული ლოგინი ხასიაო. დღეი ანასთან

ვიარებოდი ნადში და რაფერი ვიყავ იცი? ბეჩი, ცეკვა სიმღერა. მხიარული ბავშვობა მქონდა, თან დატვირთული ჰამა, თან კაი. რ. კახაძე უკრევდა მე ვმღეროდი, ი ორი წლით წინ იყო. დიოკნისის კულტურის სახლი ჩვენ გავსხენით. მაშინ ვერ დიელაპარიკებოდი, წერილ ვერ მისწერიდი და ვეფერი, ხან წიგნს გამომიქნევდა, ხან გზაზე გედემელობებოდა და ამფრა. მემრე ელჩი რუმ მოვდა, ვარი არ ვთქვი. ელჩით გაკეთდა საქმე, ბაბომ არ ქნა და უთხრა ბაშლუღინა მომცეთო, ფარა შეიცვალა და შეცლილი ფარაც არ ართვა ბაბომ, ძველი ფული არ ართვა დახურდავით და მომიტაით ახალი ფულიო. ო, აბა საქორწინო კაბა აღრე ეყიდნა ჩემ დედას შინახა. მემრე ნიშანი რომ მომიტანეს, ნიშნობაზე მეცვა.

ჩემნაირი სადოდოფლო კაბა ვინმეს არ ჰქონდა, თავზე უჩდუმი (გაზი ჯიმფულები) ჰქონდა. გაზი რაფერია იცი სილგივით იყო, აგერ რუმ ფარდებია იმფერი იყო და ასე დაკერებული ჰქონდა ფერად-ფერადი ჯიმფულები. ის რაცხა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი იყო იმფერი ნაჭერი იყო. სიძეს ჩვეულებრივად ბეჭი დედაჩემმა უყიდა და გუგზავნა, ჰამა შალ-კასტომი კი არ იყო, საროჭკა, ფეხსაცმელები, წინდები, ამფერი ნვიტი-წვუტაი.

მაზლიც მყავდა, მულიც, დედამთილიც, ობოლი მაზლიშვილიც. მემრე გადაბარგვა მოვდა და მაზლი იქ წევდა, ლაითურში და მარბაში მე დავრჩი აქა, მული გავათხუეთ, დედამთილი მოკდა და დავრჩით ბაღვები, კაცი და მე.

საწნეხელაში მოვჩეხევდით და მემრე დავწურევდით. ჯერ ქუაბებში ვადულებდით და მემრე თუჯში დავადულებდით, ანი იმდენი დუღილი უნდოდა... ერთი იმფერი გემრიელი იყო დოს და ბეთმეზ მიაყოლებდი. მაშინ გაკეთებდი ერთ საჭმელს, ახლა რამითი კეთდება.

სიმინდი იყო მარტო მე რუმ მუელ ყანაში დათესილი. გავბარეთ, მოვტეხეთ კოტოში, ჩალას ავეჩოჩევდით, ყართოფიც არ გვექონდა. ჩაველ და ბაბომ მომცა ერთი ვედრაი ყართოფი და იმით მაქ გამოთესლებული. ჩემი ცხოვრება ზღაპარია, მუელ დედამთილი ავატყოფი. ხუთშათათი გათენდა, ჯუმა, ვინცხაი დარჩნენ, რუმ ჩევბარე ზარეელობა, აბარგვა-ჩაბარგვა, ერთი კვირის მემრე ახორში წაველ. მული მხიარული იყო, შვილი იმობით მივე თუა, მემრე გალორდა.

მემრე ახორიც ევშენე, ცხვარიც მყავდა, ჯამუშიც, ხარიც გამევეშენე, ზრუგით ველარ ვზიდე და ხარებ შივაბემლი. ხარით მევეტანდით მარხილზე დავაყრიდით მევეტანდით. ხარებს დუყვერებდით (ორი უღელი ხარი ერთპირაი შებმული), ეიდა მოვხანით და მარბაში ამ სულს ემიამ რაცხა გახელდა და დეიკავა და კვარტალში ჩიგვიბარა. კვარტალი, თავრობაში გეგმა იყო ხორცის ჩაბარება. მემრე ჩემ სახჩი გამოვზარდე და ისე...

მოქმელი ნინო კახაძე, 53 წლის.

გედევდე ძველ ყვიდეში, ჰაცხანა გამომტყლიპო თუ რანა ქნა. ანი, მე ურევ-დურევ, ავაყუდე მესარი, მოგიგე და ეს არი.

ცაში ისარი ვისროლე,
ძირს დაეცა ლეგენსა,
რალა უნდა ვეშაირო
შენისთანა რეგვენსა.

თუ გინდა ციგაი თქვი და
ცაში ისარი ვისროლე
ძირს დაეცა ციგასა,
რალა უნდა ვეშაირო
შენისთანა ციგანსაო.

მაღაზიაში შევედი,
მოვიკითხე ჰაჩენიაი,
მაგის მეტი თუ არ იცი
პირი რას დიგიფჩენია.

ო მაი იყო ნაღობის დროს თუთუნობა, სიმინდობა, თველობის დროზე, ახლა ყველაი მისთინ ეცდება. ხალისი აღარ არი. მაშინ კაი იყო კაი მაგარი მხიარულობა იყო, ამას ისეგავ ძველებურები უნდა.

აბა არა, თუთუნის სხმაში, სიმინდი რჩევაში, უფრო თუთუნი და სიმინდი იყო. ანი იყო ჰამა მაგის გახსენებისა ნაღდად არ ვარ. რაცხა უფრო მაგ იმაში გედევჯარ, სიმღერები

უფრო გოგოებმა იცოდენ. მაგალითზე ხომ ვარჩიეთ სიმინდი, ვინცხას წითელი სიმინდზე კაკალი მოჰყოლოდა გათავისუფლდებოდა რჩევიდან. სიმღერები არ მასხენდება, რომ შეხება აღარ მაქ კაი ხნისა. ამან თბილი მიღგომა იცის, იმიტომ იტყვიან: „ტკბილი სიტყვით გველ ხვრელიდა გამოიყვან“,

„ტკბილი სიტყვით მთაში ირემი მოწველილა“

კი მართლა ვერ მოწველი, ჰამა ტკბილი სიტყვა ყველთვინ ხეირიანია

„ტკბილი სიტყვით რკინის კარ გააღებ“

ჰო ძინარაი ჩანერე, თავისუფალი რომ ხარ თუ გინდა იძინე, თუ გინდა დაჯექი იმხიარულე და...

ანი ახლა რა ვქნა და ჰა წევდე, შეყვარებით არა, ერთი დანახვით, ამან ჩვენთან მოვდა, მისმა დეიდაშვილმა მისაწავლა, ამფერი ამფერი გოგო არისო. ჩემ გამზდელს შეხდა ამ ნოშრემ და თუ მოგწონვარ აგერ ვარო და კამპანიე გვექონდა თხუთმეტ-ოც კაციანი.

რვა წლიანი მაქ სკოლა დამთავრებული, მემრე ჭრა-კერვაში ვიარებოდი, ჰამა დიპლომი არც იქ მაქ აღებული.

შუამთობაზე მე არ წავდიოდი, მაი ტრადიციები არ მომწონდა და არ მომწონს დღესაც, არ ვიყავ მაგის ბალეიშჩიკი.

ბიძაჩემს ყავდა ბევრი საქონელი, ფერმაშიც მუშაობდა, ჰამა ძალიან ანცი ვიყავ და იბრეთებ ვმართევდი იმ ფერმაში.

აქ ტაბახმელას თუთუნი არ დიმირგვია, საერთოდ მოვსპე. კი ერთი აკაკი მყავდა, შილიც დამხდა და მაზლი შვილებიც. მულები გათხოვილი იყვნენ, ჰამა მაინც ხომ მყავდა და. ერთად ვცხოვრობდით, მემრე გავრიგდით, იმან სამტრედიაში გადაიბარგა, ჩვენ დავრჩით ტაბახმელას.

ადრინდელი ცხოვრება უფრო მომწონს, ტელეფონის ხათრისთინ მომწონდეს ჰო. პიჭკას ერთ კაპიკად ვყიდულობდი, მარილიც დაჟე ათი კაპიკი ღირდა, ბათუმში ჩახვიდოდი ლარ ნახევრად, ამოხვიდოდი ლარ ნახევრად, იმიტომ არ მომწონს ახლა ძვირი, ძვირი...

ე ჟურნალიტი ჰაიდან მომიყვია ძველი ღროები გამახსენა.

ახლა უფრო მეტი განვითარება არი, სწორი ხარ მაგაში გეთანხმები. მედიცინა უფრო წინ არი წასული, ტექნოლოგიაც წინ მიდის, ტელეფონი სარეცხი მაშინები და ა.შ. ჰამა ფარა არ არი. ეიდა ზათი ფასი ქონდა იმ ფულსაც, რა გგონია, იტყოდნენ: „ მანათი გევექნიე და სუფრა გაგშალეო“.

მანეთ ნახევრად ჩეხვიდოდი ბათუმში, ტანსაცმელიც ონა-გორა ღირდა. ტუფლებს ყიდულებდი რვა მანეთში, ახლა ჩეიცვამ ნახავ გამშპარა ფსკერი, ადრე გამძლე იყო.

ახალათ შემოდოდა კონსერვები, შენ რა გგონია კონსერვი შამოვდა და ახლა ეგ კაია, დასილოსებულია ლობიაი. თუ გინდა გასტერილი, თუ გინდა არა მაინც...

უსკურები იყო რათერი იცი კინის თეფშები, რაკა-რუკი წევდოდა. ხის კოვზები, ჩემთან უფრო ბიძაჩემს კინის თეფშები ქონდა, კრუშკები იყო, მაშრაფას რომ უძახიან. ზოგან იყიდება შამორჩენილი არი. ჰაცხა შემხდა და ნეტაი მეყიდა მეთქი...

სკოლაში ფორმებით ვიარებოდით, ჰიონერის ყელსახვევი, თეთრი ბაბთები, ბანტები და კარიჩნიფერი ფორმები და ყელსახვევი წითელი იყო, თეთრი გეტრები და ტუფლები ამჭრელებული და მე რა ვიცი... ვინ რას ჩეიცვებდა. ეიდა სოფლის პირობებში კალოშებიც იყო, ჩემი ბიძაშვილები კალოშებით დადიოდნენ.

მზითევში, მზითი არ არი მეჯინინყალი მომყვა, თეთრეული მე რა ვიცი და გუგუმი-მუგუმი ყვეილამფერი, ღაზლა-მაზლა არ მომყოლია მე. შაქარლამა და იგინი იყო მაშინ კაკლები იყო, კაკლის ნამცხვრები, სოკოს ნამცხვრები, ფორმებში ჩასხამდი და... ახლა რაცხას ვჭამთ იმნაირი საჭმელები იყო ჩვეულებრივი. კერჩხი ლობიაი იმას რომ ასხამდნენ, ლობიას, ოდნავ მონედლო ლობიას ასხამდი და თავისთავად მემრე ემეში გახმებოდა და ბალკონზე.

ჰანაი წამეილე მანარ რა იქნება გო, წამეილე და გეხვენები კაი ვარდები ქონია დედაშენს.

ჰო გუგული უმფო ჩემზე დიდა, მუნთეა აბახასაც ეცოდინება, სო გო... დაგაპერტყოს ძირში.

მე მაგალითზე მამამთილი, დედამთილი რომ არ მყავდა, ვისთანნა მექნა რიტუალები. მაზლებთან და მულებთან ეგ არ მქონია უჩუმარაი მელაპარაკნა

რაცხა, ვჭიკჭიკებდი. ჰო გო ე მაგარი ჟურნალისტია და მივანეროთ დასასრული და კიდევ ვინცხაი სიახლეს შამოგიტანს.

საპოვნი არი იქა და დეიბან ხელ.

ტელევიზია იყო ჩემ დროში, რატომაც არა, სარეცხი მაშინაი „ოკა“, გვალი „ოკაი“ მაშინები. ბითთევაი ჩამორჩენილი არ ვიყავით ამ ცხოვრებიდან იმ ცხოვრებაში, მთლიანი ყრუებიც არ ვიყავით, ჰამა...

იმ ბუფეტშიც რა გემრიელი რაცხა იყო, შექერლამა ოცი კაპიკი ღირდა, ჰამა კაი დიდი მსუყე შექერლამები იყო.

ახლა რომ იმასჯებიან მაგალითზე სუფრას დიდს... ხაჰს მოხარშავდით, თავას გავაკეთებდით, სერიოზულა გებნევი. მე მაგალითზე კაი ფეხი მქონდა, მეზობელი დიმიძახებდა ჰაიდე გადმოი. უფრო რაფერ იცი, ხვაფი, ბერექეთი ექნებაო, ბარაქაო, აფუფუნებული იქნებაო.

ბუხრებსაც მოსწრილი ვარ, კეცებსაც მოსწრილი ვარ. ბუხარი მაგარი რაცხა იყო, კაი გემრიელი ტკაცა-ტკუცი იცოდა შეშამ. კეცებზე რომ დაყრიდნენ ნაკვერცხლებს კაი ჭადები ცხვებოდა. წამუახურავდნენ თავს, რომ იმ სიმხურვალეს ინარჩუნებდა და აცხობდა გემრიელ ჭადს.

ჩამოკიდავდნენ ჯაჭვზე, კასრულ, ქვაბს და აკეთებდნენ საჭმელს, ახლა შორვას ხომ ვერ გეტყვი. ქალაჯო რაფერ ვაკეთებდით, ჭადი გამოცხვებოდა იმა დაფუნჩხავდნენ, ცოტა ნადულს მისცემდნენ, ხახვს მოთუშავდნენ, ნიორს მოთუშავდენ და ჩასხამდნენ. ნიორი გემოვნებით რა თქმა უნდა.

ხაჰს მოხარშავდენ, რძეს ადულებდნენ და შიან ჩაყრიდენ იმ ხაჰის გულს, მოხარშავდენ, გემოვნებით მარილს მისცემდნენ, დაჯდებოდენ და მიირთმევდენ გემოზე.

ავადულებო წყალს, მემრე ჭადი ფქვილი, ნადულითაც კეთდება და მანნიდანაც. მოვხრაკავთ ხახვს კარაქში, ჩავასხამთ, ცოტა ქონდარსაც გემოვნებით მივცემთ.

ფესტილ დასჭრი, დაქუცმაცებ, წყალში მოხარშავ, ჭადი ფქვილ მისცემ, ცოტა შაქარს მისცემ გემოვნებით.

ქლიავის შორვა იცი? მაგასაც მასე და ქლიავს დასხამ თბილ წყალ. წყალში ჭადი ფევილ მოხარშავ, იმ ქლიავსაც ჩაყრი და გემოვნებით შაქარ მისცემ მაგასაც, რაც გამახსენდა ეგ არი...

თაროზე მაქ ეჩო,

რას ტინტილებ ბეჩო.

თაროზე მაქ კენჭები,

მე რად მინდა ელჩები.

თიდან გადმობარგვისა: თიებო, თიებო, სალაეთებო ტყიებო,

ჩვენ მივდივართ, თქვენ რჩებით,

ჰალალი ვუყოთ ერთმანეთსო.

გაზაფხული რომ გამოვა და ატლაპოვდება იმის ლექსია:

შამ შალახო, შალახო,

მოგლეჯილო ბალახო,

თეთრი კაბა მაცვია,

არ წემეცხო ტალახო.

მთქმელი: ნიკოლოზ კახაძე, 80 წლის.

ტაბახმელა იმიტომ დაერქვა რუმ აგერ რუმე ქუნცხებია იქ ტბა ყოფილა და ის დამშრალა და „ტბა და ხმელა“ და დიერქვა ტაბახმელა.

მაქ ყოფილა კეთილი ქალი მანია და ძალიან კეთილი ადამიანი ყოფილა მევ ქალი, აქედან არი წამოსული მანიაკეთი.

ჯვარიქეთი ძველი ქართული სახელია, ჯვრის სერი, იქ ჯვარის ქელი და ჯვარიქეთი დიერქვა. ქართულია ეს ყველაფერი ადრე აქ ქრისტიანობა იყო. ეიდა ეიქ ჭურია, ვენახში ნასაყდარი ჰქვია იქ ერთ ადგილს.

თხმელნარი, ყათრითაფი, ხომანი,იათალი, საკანაფვარი, საკანაფვარი ზედაი ტაბახმელისარი, ნარვალი, შემდეგ მოდის თენნარი ახო, გამოვდეთ აქეთ მერცხლები, ჩვენიც არის დიოკნისლებსაც, იქიდან გავდივართ, ბოკელაი ე დვაფრიენტებისარი, ო მაქ ყიშლა ჰქონდნენ ადრე ერთი, შავ ტბას ვუძახიდით, ტბა იყო იქა. წითელ ტბა ზეით არი, ი ჰალა არი ჰამა ნახევარი გახავსდა, ჩემ ბალნობაში იმფო ტბა იყო, შემდეგ მოდის

ლევნარი აქ დიოკნისაც აქნენ ლევნარში ჩვენც, უნაგირა, ნაილევვი, ფერმა რუმ იყო ირემების ჭოლო, იმას იქით არი ტაბახმელეებისარი და თაკვინეხი, მაღალი თარი, აქეთა ტაბახმელას ეკუთნის მაჩაგნარას ვუძახით. ახლა ბარისაც გინდა ადგილები? გევგეშური, ნალვარევი, იქიდან გამობვალ ჩაო, ჩაუები რაფერ ლამაში ბალნარი იყო, მემრე მეილლიზა, ჩემ ბალვობაში მეილლიზა, მერე ჩვენი მერიებია, მერე უკანხევი, ზედაი მერე მერე ორია ზედაი და ქვედაი მერე, იქიდან მერიდან მიდის აქეთ ნაბარგი, იქით ყრულელე, იქით კიდევ ჩვენია ლაშე სამი ლაშეა სულ ზედას ბარდნალი იათალი ქვია.

ვარისა ცაცხვის ხიდან შიგნიდან გამოჩიგნავენ, გვერდებზე უკეთებენ ხის კედელს, რუმ ზეიდან თავს უკეთებენ, გერმეტიულად დახურული წყალი არნა გევდეს, რუმ შიან რაცხას ჩასხამ დოს, არ გადინდეს, ეს მამაპაპური ძველია, მემრე კახმიდანაც აკეთებდნენ.

ისინი ხელბოგებს აკეთებდნენ, ხისა იყო, ძალიან კაი იყო, სიჯანთელე იყო.

მოჭრიდენ თხილის წყეპლებს, გაჩნია ბაბუ, ტკეჩის მეიტანდენ ლეკის ხის ნაჭერს, ნაბლიც იზამს, მაგას რაც შეიძლება თხლათ იმასიზმოდნენ დახეთქავენ და მემრე მოქსოვენ. ზეიდან თარგალს უკეთებენ, რომ არ დეინგრეს.

გოდრუცელას ვუძახიდით, ხელით ვქსოვდით, ზრუგში მოსაკიდათ, ხაპი იქნებოდა, სიმინდი ნარჩენაი თუ რაცხა. გოდრებში თუთუნ ვჰყრიდით. რაფერ ვწვალობდით, ძალიან წვალეა იყო წინწინ. დანყობით ვერა, ჰამა პანპანას მემრე-მემრე მოვქსოვდი, თარგალს ვერ ვაკეთებდი, ისე ვარიოლა მოსაქსუარი არ არი, ყველამ არ იცის.

ციგას ძირშიმობრილი ლეკის ხიდან გავაკეთებდით, ი ითლებოდა და გაქოფიტავდნენ და უკეთებდენ ფეხებს და კოფუებს.

სკოლიდან მოვდოდი, გესმის ჩევცვამდი ტყის ურბას, ჩევცვამდი ქალამნებს, ე უკვირან! კალოშ ჰა დეინახევი, გაჩანაგებული იყო ქვეყანა, მემრე რაფერ წინ-წინ წევდა ქვეყანა. მევტანდით შეშას, ზოგჯელ ფიჩხს, საქონელს ვაჭმევდით, ჰად იყო იმდენი თივა, ტყეებში ბალახს არ ვტევდით, ფურცელ ვსოჭევდით ნარცხათ, ეიკიდი ჰაი, იმა მოხარშევდი, ერთ უსკურა მარილ დაყრიდი და აჭმევდი, ჰად იყო ბაბუ თივა ჰად.

აღრე იყო ბაბუ ბრიგადულათ იყო, მაგალითად ჩადგებოდა სათიბავში ათი-თუთხმეტი, ოცი კაცი, რომ გიგვიბემდენ ბაღებს ბიჭი ხარ და ნუ გემუშავა, რომ მოვთიბევდით ყილევს გადავაბრუნებდით, არა პირველში არა, ორი დღი მემრე, ყველთვინ ბულულებს არ ვდგემდით, ბულულები ჰელბეთ კაი იყო, მემრე დაგზინევდით.

ძველათ შამუძახებდენ, რომ ხალხი ხოშზე მოსულიყო, მემრე კანტა-კუნტად რომ მუშაობდენ ვინ რას მღეროდა... კერძობას ბევრათ არ ვარ მოსწრილი, არტელი მახსოვს ლამაზად.

კალს და საძირს ვატანდით საქონლის კისერში, ზოგჯელ შევლებევდით წარნაქით ქიებს, იყო უღუროლა მაშალა, მშვიდობით თიობის ჩამთავრება, იყო დალოცვა, შემხვდური საქონელი მოგესალმებოდა უღუროლა მაშალა ეს წესათ იყო. ანი გამჰა დრო გელახანუმ გეიარა წევდა, ა, რა დევნახეთ?! მაგონდება ხალხი აღარ არიან. ა, ჩემი ტაიანთები ბაღვობაში ევლოდით გაფუზუნებული ეიკიდი ჰაი!... გამჰა გეიარა წევდა. ღმერთო იაროპი ახალებს შიარგე, სულ იმას ვიტყვი აიკიდი ჰაი!...

ველოსიპეტი არ გვექონდა, რამე გასართობი არ გვექონდა, არაბები გვექონდა ოთხი გოგორაი იყო და ვხრიგინებდით მაგით ბაღვობაში, მემრე ლიყები რიყეთიდან შამოვდა და გამევეშენეთ თუა აქ არ იყო, გაქრა დრო გეიარა წევდა ერ წუთზე მიდის.

ისე თბილა თოვლი მოდის. აღრე ისე იყო, რომ თოვლი მოდისო გიგვიხარდებოდა, ნახევდი რომ აღარ გათოვლდება.

ძიგლიგაი, ციგაზე მორგებული გორგლებიანი, ძიგლიგას ციგებს ვუკეთებდით, ეს იყო ზაფხულისთვინ, წევლოდით ნეკრის მოსატანათ, ხანდისხან სხლის მოსატანად, ახლა ლპება ეზო-კარში, ჰაცხა დამჰალი იყო გამოვთლიდით და ჩაის ვატანდით, ჰად იყო შექარი, ი ქეიფისა იყო. მევპარევდით სხლებს და ბეთმეზ ვადულებდით, ეიკიდი ჰაი... ღამეში ავდგებოდით და ზრუგით ვზიდევდით. მოვრეკეთ და მასობაში გელებმა აყმუვლდენ, ჰამა ჩვენთან არ მოსულან.

ოთხათ შეკოჭვილი ხიდან, ზოგჯელ ჟვერებით ქსოვდენ, ზოგჯელ ფიცრებით, მემრე კინისა შამოვდა, ახლა ჰალად არი ქუთნებსაც აღარ ხმარობენ, ხარს შიაბემდი მეთოხარინა მიჰყოლოდა და ჩახ-ჩახ გოროხინა გეტეხა. ოფიების კეთება იყო.

ყართოფისთვინ ხელით ოფიებს ვაკეთებდით, მემრე გადვილდა. სიმინდს, ლობიას, ქესტანაი, ხაპი, ყველაფერი მე ვთესავ კაცი კაცობით, ინსანი რუმ მწვანილს იყიდის... რა ვიცი ... ყველამფერი მომყავს, რა ჯობია ბოსტნისას.

ერთ ჯამში რუმ დავსცხოვდით კოვზებს, ტკაცა-ტკუცი წევდოდა ვინ ვის მუასწრობდა, კოვზები ხისა მახსოვს, საინები იყო ფახირის მოკალუელი, კალაიჯები მოვდოდნენ მოკალეფდნენ, იმა უსკურას ვუძახიდით, ხისას ჯამს ვუძახიდით. მეორე უსკურები იმფო წვიტ-წვიტი იყო, ადრე ქორწილებში მიწერა იყო მაგისა, ეგ დიდი რამე იყო. კეთდებოდა სუფრა ხისა გვალი და იმა შამუსხდებოლით გვერდიდან, თაბლები იყო ფახირის.

ორმოზდათორმეტ წელში წაველ ჯარში ვიმგზავრე ეშალონით, სადაც რუმე საქონელს ეზიდებოდნენ და წიგვიყვანეს სევასტოპოლში, სამწელწად ნახევარ ვიყავ ჯარში. ჯარიდან ერთი ჩამუედი, ისიც კაი დამსახურებით და ამბით. ახლა რუმე ზრიპინებენ ისე ჰა იყო, მაგას რამხელა დამსახურება უნდოდა იცი? დანიშნული მყავდა ქალი. ქალი მყავდა შორედან დანახული, დალაპარიკებული არ ვიყავ, შობელი გეტყოდა ის იყო. ახლა რუმ გაჩათინებულია ისე კი არ იყო, შენ არ გიჯერიან მათათ ვერ ირჩევენ. მასაც ისეგავ დანახვეს, კონცერთში ამოვდნენ და ლაპარიკი იყო.

რუმ მოვდოდა რძალი არ ლაპარიკობდა, ე რა სისულელე იყო, დანახვება არ იყო, იმა მეიყვანდი ჩაგაჩეჩებდნენ.

ადრე ქუა არ გახსენდებოდა, ხის შენობებს ვაკეთებდით, მედიცინაში ასეა რუმ ხის შენობაში ცხოვრობა მიზანშენწონილია. ბელლებს ვუკეთებდით, სიმინდის შესანახი იყო, იმას მეიტანდნენ შეშას, ფუტს დუფუტეფდნენ ახმობდნენ და იმა მემრე ტაკვეცით მოვნაყველით, გაბუქებისთვინა მეგესწრო, ხის ჭურჭუტანებში ადიოდა სითბო, პირდაპირ ტაროზე, კოტოშებზე ხომ არ მიდიოდა ფუტი, ქვეიდან სითბო აძალებდა და ახმობდა.

მოცვი, ასკილი, მე ვიცი მრავალძარღვაი, კიდევ ლემშური, ანწლიც კაია, ვიშნოვკა ანწლისა, გენილპარმადი, ოლენაი, ვაკეთებდით წოებს, ჟავიებს, კოკომჟავას შეჰკაზმევიდი სალათების მაგვარი იყო.

მოქმელი: გოგჩი, კახაძე 78 წლის.

იქაც ახორი ქონდნენ, იმ ახორში ცხოვრობდნენ, მემრე თავრობამ უთხრა აქ შკოლა ავაშენოთო და ჩამეიყვანეს, აგერ იყნენ ახორში, ბოსელში ისევ. მუხი არ ქონდნენ და სახურავზე დიდვან ქუებს აწყობდნენ, ზოგი საბძელივით ღერღეცელა სახლებს აშენებდნენ. მე მიელ სახლი დაბერებული იყო, მე მიელ სამოც წელში სახლიც აშენებული იყო და ყველაი. თავრობა კძალევდა ბოლოხან ამფერ აშენებულ სახლებს, ქვეშედან ამოდიოდა ყრალი სუნი, ავატყოფობა ჩდებო.

მაკარინაი და ბეთმეგი ქორწილის საჭმელი იყო, ეს მოსული ქალი მამამთილს არდა დალაპარიკებოდა. სობაი ხო არ იყო წინწინ ბუხარი იყო, დოდოფალი იქ ვერ მივდოდა და დაკუტდებოდა. აგერ სიცვიეში მოკდა და გახდა მოსამლელი. წინდანა ექსოვნა, ღერთო, გეჩეჩა, ჩადრიდა დიეხურა, წელზე სარტყელინა მიეხურა, მე რუმ მუელი სერგოი მეტყოდა სარტყელი მიეძრევით რათ გინდანანო.

კოლექტივი იყო კოლექტივი, კოლექტივი დროზე კანტორში დაყრიდნენ, იქ მივდოდით და ვარჩევდით სიმინდს, ჰა მიქონდნენ არ ვიცვი, ვინმეს არ მიცემდენ.

რასაც შობელი გეტყოდა კანონი ეგ იყო, ბელქიდა ბერი იყო, ან ბლენი. ერთი ქალი ამბობდა, კითხეს რომ კაცი დინახეო და ამბობდა მამთილმა კაცი მოყვანამდი მიმიყვანა სახშიო და ჯარიდან რომ ჩამოვდა დიდი ახმახი...

დოდოფალს ჩადრს დახურევდენ და გოია რაცხას აჩუქებდა კაცი, რანა ეჩუქებია მე რა ვიცვი ზირიკლი.

შაჰზენემამ მოჰყარა ნადი, მეგომ გათენდა, მამლები ყვიიან. გიგვიშვიო ეხვენებთან, ეს ატყვილებს არ გათენებულა მამლები იმიტომ ყვიიან რომ ხმა ჩადისო, ოისაქიდა გათენდა და იმიტომ ყიოდენ. შუალამემდინა გესაქმა, ეიქ გევდოდით, ძილი მოგვიარდა, ვთლიმავთ. ეი! ახლა ქალობას რაღა უნდა.

კოლექტივი იყო, შენ ჩემობას ვერ იტყოდი, ახლა ფარები რომ ევღევით მაგა ვინ მოგცემდა, გვიარდა წევდოდა. დილაზე მალენა ამდგარიყავ კიდევ, თუთუნი იყო ხან კოლექტივში გვიძახიდენ, ჩვენინა გესაქმა დეი გვიან დევჰანტოდით.

შავ-ჭრელი წინდების ქსოვნა არ ვიცოდი, ახლა აფერი არ ვიცვი მე რა ვიცვი, რა ზუხუმი იყო. ასე იმის ქსოვნა ვიცოდი ჩენგელჭალით ციციებს მუქსოვდი და შავ კაბაზე ფორმაზე მიეხვევდენ გოგვები. თეთრი ათი ნომერაი ძაფი იყო, ცოტა ხომორი, ახლა აქნენ

გოგვებს ნაყიდნი. შენ იმასა აგზე ყელსაბმევს რომ იხვევდნენ არ ხარმოსწრილი? მოსწავლე სკოლის ფორმის გარეშე ვერ მივლოდა, თეთრი და შავი ფარდუკი მოხვევლი. ახლა უნდანან ჭრელი კაბა, მაღალ ქუსლიან ტუფლს ვერ ჩეიცვებდა მოსწავლე, რუმ მასწავლებელ ეცვა.

ღარიბობა იყო, ერთ კაბას რომ იყიდდი, ისნა ხან გეგერეცხა, ისე ჩეგეცვა. თავრობასაც უჭირდა. ახალ ომი დამთავრებული იყო და ხალხი გაჭირვებით ცხოვრობდა ძალიან. რანა გენახა აბა ახლა რუმ ასე სამსახურებში ვართ, ისე ხომ არ იყო? სამსახურში იყო მარტო ალა ტადაი.

ანავ, ქორწილი ისა რაცხაგომას, დარბაზი არ იყო, ჰაცხა სახში შევდოდენ და იქ იქორწილებდენ, იმ ღამეს იქ გათენებდენ დოდოფლი სახში, გათენდებოდა სადილსაც ჭამდენ და წევდოდენ.

დოდოფალს შეჰყვებოდა დადე ერთი ქალი, კაცი შესლამდე ის ცევდა იქა, ეიდა კაცი რუმ დეიპატრონებდა წევდოდა.

ჰანა ბალე ჩუჟდუმლებდენ, ჰემ ბიჭი ბალვინა ყოფილიყო, ციცაი არა რუმ დიებედოსო. რომ მიეყვანდენ, ახლაც არი ცომში აკრევიებდენ თით ჩამუასმევიებდენ ბუხარზე, ფეჩი არ იყო აფერი არა. ახლაც რუმენო ბალვი ეყოლება ქალსა და მიეყვან პილლაი ცომინა მუაზელიო რუმ ბალე ხელები დუსკდება. ტალიკი დადება ახლა არი? ტალიკ დუდებდენ დოდოფალსა, ფეხინა დიერტყა გეტეხა. დოდოფალს ფეხი დადგმანა მიესწრა, რუმ ჩემი სიტყვით გეიაროსო, ქალი ასწრობდა ხანდიხან. ისე კანონიერად კაცმანა დაბიჯოს, ჰამა ღორი ქალი მუასწროფს. ერთი თუ არნა გეიაროს თუ გინდა ფეხზე დადგი და თუ გინდა თავზე. დოდოფალ გადაყრიდენ კაბიკებს, შიკოლატიც არ იყო, ხომკაკალა კამპეტ დაყრიდნენ.

ადრე რა ცხოვრება იყო, არა ფერი არა... რა შესადარია ახლანდელი ცხოვრობა და მაშინდელი. მე რომ სკოლა დავამთავრე კაი მოსწავლე ვიყავ, ხულოში საექთნო გეიხსნა და შობლებმა არ გამგზავნეს, რამდენი გოგვები ვიყავით, ჰამა არა არ გიგვიშვეს. წიგნებს უფასოდ გვაძლევდენ, ჰამა სკოლაში წასლაც გაჭირვებული იყო, ბარსახან ფეხშველი ვიართ სკოლაში, სწორე კაბა არ იყო ჩეგეცვა. ალა ტადაი ბათუმში რომ წევდოდა ერ კვირე იჟდა გაყიდვაც არ იყო. ახლა რა უნდა ჩაი

ორმოზდათი კაბიკი იყო რაცხა, უკან ხომ არ წამეიღეფ, ან გადაყრი, მაშინ ვერ გაჰყიდიდი.

კვარტალი იყო, საქონელიდა ჩეგებარებია, ხორცინა ჩეგებარებია, ყველი, იალი თავრობა გართვემდა. რამდენი ძროხა გყავდა იმდენ შეგანერდენ კილოობაში. ტიტველი ფეხებით ვიარებოდით, ცარიელი გვეარდით წევდოდით, თავრობაში ჰელბეთ იქნებოდა, ჰამა აქეთ თარა არ იყო გეყიდნა. კაცებს, დართევდენ ძათსა, ქალებმა იცოდენ დართევდენ დაზგაზე მოქსოვდენ და კაცებს დაზომევდენ და შარვალს შუკერევდენ.

მატერიადან შევკერევდით ჩანთებს მერვე კლასი რუმ დავამთავრეთ, ბიჭები ჯარში წეიყვანეს, რომ დაბრუნდენ ისევ მოვდნენ და ბოლოხან დამთავრეს სკოლები. რეჰმეთლული ჰურიე ნენეი ყოფილიყო იმან იმფო ბევრი იცოდა.

ი დედაბერი ძველ რაცხას ილაჰარიკებს, დინახე, დინახე ე რათერ ანახვიებს რაცხას.

მევტანდით სხალს, იმა გავრეცხევდით, აქ დიდვანი ხედან გამოჭრილი ავაზან სარნას ვუძახიდით, იმა ჩავყრიდით და ასე ჩავჩხევდით და ჩადინდებოდა ვედრაში. იმა ამევტანდით, ფახირის თემტში ჩავასხემდით და ვადულებდით, ია ბუხარში, ია ფეჩზე. მე რუმ მიელ ფეჩი იყო. რუმ დავანგრიეთ ბუხარი ჩემ მაზლს შებრალა, ერთი ძროხა მიცემული მყავსო. ერთ რომ ჩავჩხევდით მთავარი წვენი გამოდინდებოდა, წყალ დავასხემდით. პილანდელი წვენი ადვილათ მოდუღდებოდა, მეორე არა. ახლა პლასმასები რუმ ამსილია ისე ხომ არ იყო, ვედრაშინა ჩეგესხა. ერთი და ბეთმეზიც გაყაიბდა დაყველაი. მემრე იმას დავახურევდით უღელივით იყო და იმა შამუჭირებდით და დანურევდა. ბეთმეზი რომ ცოტა მოდუღდებოდა, ქესტანას დავჭრიდით, თუ გინდა მოწვიტაო სხალი ჩავყრიდით და მეიხარშოდა ხასათ, გერჩექ გემრიელი იყო.

ლუხუმს მოვბილევდით, მოთხელო პურს, ზეთ ჩავასხემდით გობში, ასენა ამოგელო, მუჭირებდით და შევწვევდით. ქორწილებში მაკარინაი, მომკდარი ვიყავით ქალები მაგი ჭრაში, ბეთმეზი, ლუხუმი. ლუხუმი იყო, ნამცხვარი ჰანა გენახა, ჰალვა. ერთი კილო რაცხა საჭმელი იყო ჰამა დამავინცდა.

ქალებს სკივრსა და დაჭედილი შკაფი. დოდოფალი მის ურბას ჩანყობდა რაცხა ქონდა, მამთილსაც ქონდა ისა, საუსტო რაცხაებს აწყობდა, უსტობდა.თემენნა ნა გეენა, ქალებზეც გო!

მაშინდელი გენილობა ბირდან ჩათინი იყო, დალაპარიკება არ იყო, ბარსახან დედამთილსაც ვერ დიელაპარიკებოდი, მანთილი ზოგი ალაპარიკებდა. ეიგერ ჩემ ბერმა უთხრა არ დემელაპარიკოთ მე ყვირალი კაცი ვარ და ილლაჰ რაცხას გეტყვიო.

ასე ხემანდილი იყო, ჰაცხა რომელცხა ქვეყნის კაცები იკეთებენ ისე გევკეთებდით, სილგი ადეთი იყო, მემრე გადავაგდეთ დედაბრებმა, თორემ სირცხვილი იყო იმი დუხურველობა.

ცხვარი რათ გინდა გო ცხვარი, ერთი-ორი ყათი ლოგინი გაკეთე და იმა არ ესხრიკო კილდიებში, გოია გავზენგინებულებიყავითნა, ქვეყანას ყავდა ერთმანეთის ბახან-ბახან ცხვარიც გვყავდა ჯამუშიც. აბლულამ თქვა თურქეთიდან ჩამეყვანეს ჯამუშები და ერთი მითხრეს შენ წეიყვაიო, ჰამა მე ვუთხარ სხვისი ჰარამი არ მინდაო და ერთი ვერც ერთმა ხეირიანაი ვერ მისარგებლა.

მე მივალ მივალ სახში, ერთი ურბას ველარ გევძრობ, იქ მალალი კიბიები არ არი ჭო? ძველებურ ანახვიებს ისაც, ერიშტანა მუამზადოს. მოზილავედი მაკარინას, მაგარი ცომი უნდოდა, მოხომროთ დავჭრიდით. უხა გაღებული სირონივით გამომცხვარი და იმა ჰავანში მოჭრიდი, წუთხე დოსაც დასხემდი. ა, ეს ქალი ამა მუდინგლე, ძველებურ საჭმელებს ალაპარიკებს ქალეფს.

პური კაკალ გარეცხევდი, ჩაყრიდი ფილა ქვიოდა იმა, როგორც სხალს დავჩხევდით ისე, ერთი სამ და ოთხ დღე ინაყებოდა ქორწილამდი. თეთრი დარჩენამდი დანაყილი არ იყო, მემრე მოხარშევდენ და დასხემდენ იალ და გახდებოდა კორკოტი.

თუ რაცხა ვინცხაი დიდი ცხოვრებელი იყო, ისა ნამცხვარს გაკეთებდა. საქონელ ჩუტანდით სიმინდ ვაჭმევდით, ჯაჭვებს გავანორიებდით, ასე გადაბმული მოვდენო, ნაძვის ხეს არ ვდგემდით, ნაძვი ტან მივტანდით ახორში შამოვდებდით, დილაზე წყალ შამევტანდით, წყალივით წინ წამოვდეთო, როგორც წყალი მიედინება ისე. ახალ წელ დავცდიდით და ვინცხაი მოვდოდა უი დავგამსო ვიტყოდით. ახლა რუმ გადადიან ღრეობენ იმთრა არ იყო.ვინცხაი რუმ მოვდოდა იმა დაბრაალიდი, ნური ემიაი

მოდლოდა და გოია მოგვივდა და ბერი ეტყოდა ნური ემიავ მოიო. ეზოდან კამპეტებს გამეიქნევდა წევლოდა, რუმ ვუთხარით გოია შენი ფეხი მოგვივდაო ესეც ბევრი დეინახა. ღამეი რომ ფჩხილ მეიჭრიდენ არ ვარგა არიო, ჰამა არა ეგ არსა არ წერიო. სიმინდს მოვხარშევდით, იმ მოხარშულ სიმინდს კარჭალ დავაყრიდით და ვჭამდით. ფხალი რომ ჭამო ახალ წელსო, მატლი დიესევაო და ფხალ არ გავაკეთებდით მაშინ. ძათ არ ავწევდით გველი შეგვხდებო, მახას მუზირი ინსანი ხახას დაღებს შენსკენო, საპონი ახალწელწად რუმ იხმარო სიმწარე დეგებედებო, ბრინჯ შამუყრიდენ კაი წელწადი დაბრუნდესო.

რამე თუ გტკივა გამთელდებო შვიდმაისის წვიმაზე იტყვიან მეც ვუდგამ, ვათობ და ტან ვიბან.

ქაშატობა დღე იმ დღე გარეთ აფერი არნა გესაქმა, ახლაც ვუფთხილდებო, ღვარობა მოვლოდა. მურადიმ ღობა და რუმ დიეცა ხომკაკალაი აფერი არ გამტკლია იქა, შათათი დღედა იყოს.

სათუხობელაი იმიტომ რუმ ჩიტი არ მოვდეს, არ შეჭამოს საფთხობელაი. მე მარწყვი რომ მოვდა ფარდუკი დავკიდე, რუმ არ შეჭამოს მეთქი. ხეს დასობდი, იმ ხეზე ჩამოკიდევდი ურბას და ქარი რომ აქანებდა ექანებოდა და დაფთხდებოდნენ, შავიდა დეგევიდა, რუმ შავიდან შეშინდენო, სიმინდებშიც აკეთებდნენ და დათვი ფთხდებოდა.

მთქმელი: ნაზიკო კახაძე, 77 წლის.

ჩვენ დროში იყო დოდოფალს რომ დეინიშნევდნენ, მათ ერთმანეთი არ იცოდნენ, რომ მიყვანდენ სახში დოდოფალს ჩამოფარებული ჰქონდა სახეზე. მერე ერთი საათის მერე შევილოდა ოთახში, სიძე ახდიდა ჩამოფარებულს, თავშალი ჰქონდა ჩამოფარებული. გინდ მოსწონებოდა და გინდ არა, მშობლების ბძანება ასე იყო. მერე მას ჯეიმ გაყოლებდენ: ჯეიმში აყოლებდნენ სადაც მიყვანდენ დოდოფალს იმათ ჩამუანერიებდი: ძროხას, ნოხს, ტაშტს, გუგუმს. ამათ ყველას ერთად შიაფასებდნენ, მუანერდნენ ხელს, დოდოფალს მისცემდნენ, რომ ეს არი დედამთილ მამამთილის საჩუქვარი. შემდეგ მშობლები გამოატანდნენ ლოგინს, კრაოტს, სკივრს, ნოხს, დულოცევდნენ ბედნიერებას. ქორწილის შემდეგ სიძე მივლოდა მათ შობლებთან,

ბიძიებთან, დასთან, ძმასთან. მეიტანდენ ძღვენს, პური, შაქარი, ბრინჯი, ქათამი მას ფეხნაქცევს უძახიდნენ.

დოდოფალს რომ სახში შამეიყვანდნენ კარებზე დანებს ჯვარედინად გააკეთებდნენ და ისე გამუარონიებდნენ. თეფშს დუღებდენ გატეხიებდენ, პოლზე ჩითს დაუგებდნენ და მაზე გარონიებდნენ. მეიყვანდნენ ბუხართან თათულში ჩაყოფიებდნენ თითებს და ბუხარზე აღმა ასმევიებდნენ. შემდეგ ხელს დედამთილი უბეში ჩაყოფიებდა და გახოციებდა, ჩემი თავი უყვარდესო. დუჟდუმლებდენ დოდოფალს ბიჭ ბალანას, ბიჭი ეყოლოს გამბრავლდესო. ფეხებში ხურდები ექნებოდა ჩაყრილი, დოდოფალს ბალანა გაძრობდა ფეხს და მაგ ხურდებს ამოიღებდა, ამის შემდეგ დაყენებდნენ დოდოფალათ, შეიძლება ორი დღე-ღამე ექორწილათ.

უნინ იყო ბევრი საქმე, მარტო რომ ვერ დავძლევდით, დუძახებდით მეზობლებს. დავიხმარიებდით თამბაქოს ასხმაში, სიმინდის გარჩევამი, კარტოფილის ამოღებაში. თამბაქოს, სიმინდს ღამეში ვარჩევდით, ჭალას დღისით ვფოცხევდით. მაშინ იყო კოლმეურნეობა ძალიან დაძახული ვიყავით, ხან სილოსში დიგვიძახებდენ, ხან ჭალაში. სილოსი იყო ამოთხრილი დიდვანი ორმოები იყო ბალახს, ჩალას დაჭრიდნენ მუაყრიდნენ მარილს, დახურევდენ თავს, დაყრიდენ მიწას, ერთი თვის შემდეგ გახსნიდნენ და აჭმევდნენ ძროხებს, ეს კაი იყო წველისთვინ. ფერმაშიც ვმუშაობდი ვიყავ მე-6 კლასელი და თრამმეტი ძროხა მყავდა მოსაწველი, თანაც ფერმის ბრიგადირად ვმუშაობდი. მაშინდელ დროზე ყოველ ძროხის ნაწველინა აგელრიცხა, თითო ძროხამ რამდენი მეინველა, ხობზე რამდენი ძენა მიგეცა, გადამუშავებელზე რამდენინა მიგეცა, ეს ზედნადები ყველაფერი სწორედნა გეგეკეთებინა.

მე-6 კლასელი როდესაც ვიყავი ავდგებოდი დილის 5 საათზე გვედოდი ფერმაში, მოვწველიდი მაგ თრამმეტ ძროხას, შემდეგ ჩემი ძმა დუყრიდა მე კი წვედოდი სკოლაში, სკოლის შემდეგ, რო დავბრუნდებოდი ნარცხი უნდა მეჭმევია საქონლისთვინ, ამის შემდეგ რომ დავამთავრებდი მუშაობას დავინყებდი სწავლას. წიგნებს ჩვენ ვყიდულებდით. იმ დროს მე-7, მე-8 კლასი ერთად ისწავლებოდა, მე-9 კლასი იყო პედსასწავლებელი, მე ოჯახური პირობების გამო აღარ გიმიშვეს სკოლაში, საქონელინა მომემლო, ბევრჯერ მომიკითხეს, მარა მშობლებმა არ გიმიშვეს დამალეს.

სკოლაში რომ წევდოდით მატერიით შევკერვდით ჩანთებს და იმით დავდიოდით, ვსწავლობდი ხულოს საშუალო სკოლაში, არ მქონდა ისეთი ტანსაცმელი რომ ჩემეცვა, ჩემა დამ მიყიდა კალოშები და ისე გიმხარდა ქვეყანა ჩემი გახდა. ასე გაჭირვებით ვცხოვრობდით, ახლა ღმერთს მადლობა კალოშებს ეზომიც აღარ ვკადრულეთო ჩასაცმელათ. ნეტაი ეს დრო ადრე მოსულიყო და ერთი დღე დეგვენახა.

უნინ იყო შელოცვები:

აღისა მალისა,

შეგილოცავ თვალისას,

თვალში ეკალი, გულში ლახვარი,

ვინცხასი თვალი გეცა

დაბალისა, მაღალისა,

შავთვალასი, ჭრელთვალასი,

შინაზრისა, გარეველისა,

შვიდი ქრივი ქალისა,

ნარი, ეკალი

გაუსკდეთ თვალის კაკალი.

თვალისა:

ელელისა მელელისა,

ჯერე ჩემი თვალისა,

შიან ჯაჭვი, გარეთ ხმალი

ემშაკების მათრახი.

ჩავჰკარ ჩემი ყავარჯენი

ამოვიღე მივჰკიდე, მოვჰკიდე

ღობებზე, ყორესა ჭკნებოდა, ჟღნებოდა,

თვალში ნაცარი, თეხში ეკალი

ნაზავდა მისი თვალის კაკალი.

მთქმელი: ვლადიმერ კახაძე, 85 წლის.

იმტონზე ვარ თვალებით ვხედავ. აფერი აღარ ვიცი ჩემ შვილის აქეთ ყველაფერი დამავიწყდა, შენ დედამთილ უმფო ეცოდინება.

წინწინ, ახლა იმფო კარგად ვცხოვრობთ, პენსიეს გვაძლევს თავრობა, თავრობა გვემსახურება, სუ ყველას ემსახურება, მთავარია მშვიდობარი, ოჯალში ჯანთელობარი. წინწინ ტყეში წავდიოდით გელახანუმ ციგიებით, ახლა მაშინები შამოვდა, ტყეში წევდოდით შეშას ფიჩხს მევეტანდით, უწინ მაშინები არ იყნენ. გაზაფხულზე ზათი გევდოდით ხნა თესვა იყო იმა ვმუშაობდით. კოლეექტივში იმუშავებდი რა მოგინევდა აფერი არა. ტყიდან შეშას მევეტანდით სხუა რანა მევეტანა.

მე გავრიგდი სამი ძმა ვიყავით სახლი მინდოდა, მეზობლებმა მომეხმარნენ, მასალა გავამზადეთ, ღმერთმა უმეზობლოთ არვინ დასტიოს. რაფერი ტკბილი შვილი მყავდა, წვიტი შვილების სიმწარე ღმერთმა არ გაგვანევიოს.

მაშინ კოლეექტივი იყო, სულ ყველას კოლეექტივი მოთიბდა, შენ ვინ მოგცემდა, წვალობაში ვიყავით, ახლა მადლობელი ვარ ამ თავრობიდან.

ახლა ვუკვირდები, ჩვენ შუა და მათ შვა რამე არ მომხდარა, აბა მეზობელ მუცელი ატკივდებანა მიხვიდეო, აბა.

წინწინ იმხელა თოვლი მოდიოდა თაზე ავდიოდით და ყავრებს ვყრიდით. ფეხით წავდიოდით. მე და შენმა მანთილმა წაველით და გოვჭირდა მეილალა. ეიქვამდე ჩამოვჰყე და მითხრა: შენ წაი სახჩი ინერვიულებენო. კოლეექტივიდან რამეს ვერ წამეილებდი, მოსთიბდი იმტონ ჭალას არ გამოგატანდნენ.

სამი წელწადი ავათავე ჯარში, ლამაზათ ჩამიელ, არ იყო ჩათინი. ორი საჰათი, ერთი საჰათი ღამეი გახვიდოდი, სიცვიე იყო, ცოტას გავგაჩერებდენ გარეთ, კაი იყო ჯარი, ჭამა იყო, სითბო იყო. მე ვერ ჩამიველ, ერთი ხანინა გამიეშვეს, მასობაში ათავდა დრო წამიელ. ლამაზათ ვიყავ უმფროსებთან, ახლა ისე ვარ მეზობლებში, კარქა ვარ, უმეზობლო ცხოვრება ჩათინია აბა. რას იზამ რას? მეზობლობა სხვადასხვანაირია, ღმერთმა უმეზობლო არ დაკვეტიოს. თაზე სახლ ვაკეთებდი და ემინეს ხომ იცნობ? გადმეიბარგა და სახლი გასალები არ დიმიტია, ეიდა შენმა დედამთილმა მუნთეა აბახამ დიობა გიმიწია მომცა გასალები, გადავხურე სახლი წამიელ.

კოლექტივი დროს ჩემ ძმასაც ჰყავდა ცხვარი, მეც მყავდა, ერჯელ დეგვეკარქა და ოცი თავი ცხვარი იყვნენ და მიორე დღეს ვნახეთ. ამფრათ ბზე, თივა მოტანა არ იყო გადაღმიდან ახლა შამოვდა, წინწინ არ ზიდევდნენ. ცხოვრება ჯახიან ბაბუ ჯახი, თუ არ იმუშავე, ჰამა ბევრათაც არნა შიაკდე. ცხოვრება ჯახიან თუ არ ეჭედე ატური პატრონი არ გახდებო, აბანა ეჭედო, ეჭედო... თხები ცოტაი გვყავდა რაცხა სამი- ოთხი, ერთმანეთ მიდევდნენ აბა.

წინწინ ერთმანეთთან მივდიოდით, წავდიოდით ჰამა, ახლა აღარ არი ე ტელევიზორი შამოვდა და იმტონ თუ რა რი არ ვიცი, აღარ არი ერთმანეთთან მისლა. მთავარი არი ჯანთელობა, თვალეების სინათლე, ეიქ ოსმან ემიაი თვალეებიდან ვერ ხედევდა და იტყოდა, ერთი თევფიყავ, ნეტაი ქვეყანას დევნახევდეო. ყველასთვინ კაი ვიყავ თავიდანაც.

ახლა მომაგონდა, ეიქ სარძიეა თუ რარე, პოლი ჩატყდა და მიველ და გავაკეთე. ჩემათ სახლები ერთი ჩემი გავაკეთე, ჰამა მეზობლებს რაცხა დასჭირდებოდა, სტანოკი მქონდა ჩემთვინ გავაკეთებდი, მეზობლისკენ შევბრუნდებოდი.

ციგასაც ვაკეთებდი აბა, მეზობელ დასჭირდებოდა გოვკეთებდი, ჩოვხევდი აბა არა. ბელქიდა ღმერთმა შიმინახა, ჰელბეთ რაცხა კაი გავაკეთე და ღმერთმა შიმინახა, მეზობლობაში სულ კაინა იყო. ერთი მიხველ, ათი მიხველ მიენყინება, ამტონეთი მოვდაო და გიგიკეთებს საქმეს, აბა.

რატონ და იქ შენახული იყო, მეც მქონდა ხის სახლი მქონდა იქ ბელელი, ბელელში ხარუები იყო, სიმინდ ჩავყრიდით, პირველში სიმინდი იყო, მემრე თუთუნი შამოვდა. იალი, ყველი სუფთათ იყო, ვეფერი შევდოდა. აბა იყო ბელელი...

ხოხ, ტაკვეც ვეტყოდით, იმა ნალიაი ერქვა, ზოგ თავანში გვექონდა ვაკეთებული, ერთიანობაში გვექონდა ნალიაი, მემრე გავრიგდი ეიქ იაზლოლში დავყრიდი და იქ მოვნაყვედი, ზოგ გარეთ ჰქონდა.

მოვსჭრიდით იმა, ასე სირაზე დავანყობდით, მემრე მოვხეშევდით, მემრე ავდოყვედით, ჭერები გვექონდა დასობილი და იმაზე ავასხემდით ჩალას, საბძელში რამტონინა გეზიდა, კარგ დროში ვართ გელახანუმ. ეს ხომ ემენ არი სიმინდი და ამას ავსწევდით და შამუახევდით, მივაყუდებდით და ავასხემდით, ნელლია და გამოხმესო.

წინწინ ჩემი ბაბო იტყოდა, ყურის ყათაღმანა ილაპარიკოსო, რა იყო იცი ყურის ყათა რადოები იყო, ტელევიზორები ჰა იყო. თავმანა ილაპარიკოსო, თავი ერთი კაკალი იყო, პანაი იყო, ეიქ დაჰკიდეს და ლაპარიკობდა თავრობა რაცხას გადმოსცემდა. ყველას მისი დერდი აქ, სუ ყველას მისი დერდი აქ აბა. აგერ რუმ სტოლებია, სინათლის სტოლებიები, ჩამოყოლებული იმფერებზე იყო ჩამოკიდული.

ბაღვობაში გვედოდით ბილას, ბილაი ხომ იცი, იმა ვითამაშებდით,მემრე ლიუებით ზეი ვედოდით დავსცურდებოდით ჩამოვდოდით.

ბილაი ეს ხომ ჯოხია, პანა ჯოხს დავარტყემდით და დეი შორს გვექნევდით, ახლა ცხოვრობას რა უნდა, ყველამფერი ემოშია, რაცხა დაგჭირდება დაბარებ ხელას, ნევთი არ იყო ან ხელასნა ჩასულიყავ ან ბათუმ.

ანო სინათლე რომელ წელნადში მოვდა იცი ორმოზდაათი- ორმოზდათორმეტი. ლამბები იყო, კუტილამბები იყო, ბოთლში ნევთ ჩავასხემდით ასე ბადად გუკეთებდით და იმით ვიყავით.

მოკაკული ხომ იქნებოდა ხე, გავჰთლიდით, შუაში ჩავხევდით თუ ხოშორი იყო, ხომ იცი ციგიები და კოფუებს გუკეთებდით. აქ ამოჭრილი იყო ამხელა, იმა ფეხებ დავადგემდით და წევდოდით ტყეში.

თუთუნი რგვა რუმ შამოვდა იმან ხალხი დავატყოფა. ქალი თუთუნმა ავათ გიმიხადა და იმით წევდა იმ დუნიას, ახლა კძალვენო ისე არ არი? ახლა ბითევათნა ასწიონო აბა მეცნიერობა არი ახლა, დაკვირება არი ახლა, ხალხმა იციან ჰიდან რა ხდება.

სახლები ხომ კეთდებოდა, მარტუალაი სახლ ვაკეთებ? სათრი თავში ვედოდით მე ისე გავაკეთე სახლი ოცი ინსანი წამყნენ, ასე ხოშორი ხიები მოვხიეთ, ჩამევტანეთ, ბარესამი ნანვალეები ვარ, აბა... მორი გავხიე შენმა მამთილმა არ ამართვა ფარა, ბევრი იყო პატივისცემა, ხემზო ქირვა კაი კაცი იყო, სახლ ვაკეთებდი სამი ტრუბა მომცა ამ სახლზე ბოძებათ მაქ დაყენებული, ვლოცავ. ბარსამი იმფერი დევნახავ მაგონდება.

ლობიას დავთესევდით ხაშარ დუსობდით მისათვინაი აღიოდა, ახლა ილაჰნა გეიარო სამი-ოთხჯელ რუმ წევდეს ხაშარზე. ახ იყნენ რამითი მეზობელი შემი მომტანი არ ჰყავდნენ, წვიტები იყნენ, ახალგაზდები წევდოდით შეშას მუტანდით რუმ სიცივეში არ იყნენო. მაშინ იყო წევდოდით ვლადიმერაი ჰექიმი იყო ხულოში ცხოვრობდა, იმასაც

ჩამუტანდით, აქიდან ჩეიტანდა სახჩი: ყართოფ კაის დათესავ, კაი მუაო, მეზობლობაში კაინა დათესო აბა...

ბარესამი ვინცხას შეშას მუტანდით, ყველაზე ი კაი მეზობლობარი აბა...

აბა პირველში აქ იყო სკოლა, ოთხ წლიანი იყო, ე დიდი სკოლა ახლა გაკეთდა, ოთხ წელნად აქ ვიარე, მეათე კლასიდან ჯარში წაველ, ჩამიელ მიხეილაი იყო გობაძე მითხრა: თეფფიყავო მოიდა ისწავლე. ერთი ღამე მიველ, ორი ღამე, არ იქნა, კოლეექტივი იყო, ზოვლი ვერ ვისწავლე, დღეი კოლეექტივი, ღამეი სკოლა ვერ ვისწავლე, ჰელბეთ მესწავლა კაი იქნებოდა.

პატივისცემა არ დეგეკარგება, ორი სტოლბა ე მომიტანა, ჩემი სახლი იმა უკავია.

ახლა რუმ დაყრილია, ამფრათ ხომ არ იყო.

საქონელს ვაძუებდით მემედეაი და მე გვალმინდორზე, იქ სამხედრო იყო, კატსონები იყო და იმა ისროდენ. ავსნიე პეროში ჩავდეფ და დავსწერი მეთქი, ეიდა ცეცხლაპირი იყო, სობები კი არ იყო, ქელფეტით შევდე და ერთი ვნახე რომ, დეიბგიალა, გავარდა, ეიდა ფაიყ ემიაი იყო და დეინყო ყვირილი ბომბა გავარდაო, სხუა მეზობლები ფენჯერასთან იყენ, ეს კატსონი ფეხზე მომხდა და სისხლი გამომდინდა, ხულას ჩიმიყვანეს და ჰექიმა დამწამლა, აბა რუჩკანა გემეკეთებია და ამფერი გადამხდა.

გელახანუმ, ჩემ ბაბოს ტუფლი არ ჩეცვამს ქალამანით იყო; ჩემი ბაბოი თაზე მაშინით არ ასულა. ქალამნებს ვკერეფდით, კოლოტურიც იყო, შამოხვევლიც, ღურსნ ემიაი კალოშ არ ჩეცვემდა, ვიცვემდით ქალამანი ჯამთელობა იყო, კალოში კაი ხომ არ არი, ჰამა ევადია წამეიდეფ. ქალამანი არ სცურეფდა, წინდებ ასე ჩეცვემდით, ქალამნებსაც ასე შამუჭირებდით და იალაჰ ტყეში.

მე რა ვიცი, მე აქ ვარ, ზოგი ფიჩხბეა, ზოგი შეშაზე წასულები. ბელქიდა ზოგი იმღერებდა, მაგტონი აღარ მახსოვს.

მაშინ ყიდვა ჰა იყო, გელახანუმ? ეი კიდი ჰაი! ახლა რუმ გეიარ სამი ოთხი კასტომია დაკიდული, ჰა იყო მაშინ, შალ ქსოვდნენ, დართეფდნენ და მოქსოვდნენ. თაზე ვიარებოდი და მე შალის შარვალი და კასტომი მქონდა, ეიდა საქონელ ვაძუებდით მე და მემედაი, მუნთეა აბახას ძმა. ვინ ისცურებს წყალშიო? წალდი გიმიქნია, ეიდა წამბიძგა და დავსველდი, გაჭირვება იყო და ქსოვდნენ. ახლა სამი, ოთხი, ხუთი

კასტომია, ჰყრია ტყელაი. ახლა ჩავალ ხელას დაყრილია, ჩავალ ხელას. ახლა ცხოვრობას რა უნდა, ეჰ ჰაი ჰაი! ეი კიდი აი!

სკოლაში წევდოდით, სკოლის ურბა სხუა იყო, სახლის ურბა ცალკე იყო. მოვდოდით ზათი გამევეცლიდით, სკოლისა სხუა იყო, შინავრი სხუა. ზათი რა იყო, თითო-ოროლი ყათი.

ამტონეთინა მისცეო.

ორასი მანათი წამალში მივე, წამალი ბირდან გაძვირეს, ბირდან. ახლა იმფო მოვმატეს წამლებს . კაპლი მანათი და ოცი ღირსო, არ არის სისწორიე აბა.ოჯალში არ აქ იმტონეთი ხალხს, რა ქნან.

ბუხარი მქონდა, აგერ ზეი რომ სახლია, იმ სახლთან სახლი მქონდა ჩადგმული, ბუხარი გვექონდა, ახალი რძალი მოვდოდა, იქ ჭაი ცხვება, ყველაი იქ მივდოდა, გენილიც გარედან ისე დადგებოდა და ისე წვალობდა, ახლა ჯართი, რაცხა კინა მიტანე, ერთი კილო მიტანე, ფარას გაძლევეს, მაშინ ჩაო ლელეში ვყრიდით. ღერთმა სისალე სიჯანთელე მოგცეს, ყველაი მენატრებიან. შიქიეთოლმასუნ, აგერ ფატო ბაჯიასთან ვერ ავსულვარ, ფენჯრიდან ვუყურეფ.

ალიზა მინარი, თიხარი, თიხა, ანაჩემი აკეთებდა, ია მუატენიებდა ეიდა ემენ ჰქონდა, ყალიბი, იმა შამუარონიებდენ ლამაზათ ამოხვეწევდენ, იმა ცეცხლზე გამოსწავდენ წინწკლით და დაკრევდენ ჭადს, პური ჰა იყო.

მაშინ ჟესპტიც არ იყო, ყავარ დავხურევდით, გამოსწვევდენ და ორი იყო, მეორეს ზეიდან დადებდი, ორი იყო წინწკალ დაყრიდენ და გამოცხვებოდა ჭადი, ბარესამ ჭაიც უყვარან.

ახალ წელწად ერთმანეთან არ მივდოდით, რომ ბირემედენი ან საქონლიდან, ან ოჯალიდან რაცხა იქნეს ია დავაბრალებდით. არ იყო სწორი, ახლა გიგვიხარდება მისლა, ჰამა ჩემი მუხლები არ იჯება. ე ზათი წავა, ამა უყვარს მეზობლები, მეზობლები რასძალა უყვარს, არ ვუშლი აბა... კარის მეზობლები მივდეს აბა, ყველაი კარქა გამყოფონ.

ერთმა რა თქვა: მეზობელ ათი მიე და მე ერთიო და მეორემ თქვა რაღარიო. მეზობელ გლახა გულით არნა შეხედო, გლახა გულით არნა დიეცქირო მეზობელ, რუმ

დამჭირდა ასწია და მომცა, კაი გულითნა შეხედო მეზობელ, მემრე მეც შამომივარდა და ავსნიე და მივე.

საქონელ გოია ახალ წელ არ დავფხანდით ტილი დიემართებაო; ზენჯირებს ვარონიებდით, რატონ ვარონიებდით იცი? კინის ზენჯირებს ჩევტანდით, ჰემ სიმაგრე იყო და ჰემ გადაბმული მოვდნენო. ახლა ზათი რამითი წელწაღია ძროხები აღარ მყავს, ერთი ზენჯირი ჰალადან მაქ ახორში, იქ ნახერხაი მაქ და ვერ მივაგენ; ხაპი არი ოჯალში შამომატებარი, გატეხონა ახალ წელწად; ახალ წელწად ოთხფეხაინა შამეიყვანოო; ახალ წელწად კაცის შამოსლა არ იყო; კატას გარეთ გავდებდენ, კატა მუზირიაო; ყველამ მისი ემენ მან იცის ოჯალში, ყველას მისი თერთიბი მას აქ; ახალ წელ გოია არ მივდოდოთ მე რა ვიცი, მოხველ შივექეცით აჰა. ახალ წელწადი დღე ხუალ ხომ არ არი?

კარქა არ ვიცი ბაბუ, ქალებისთვინ კაი იყო თმები ამუვაო.

შვიდი ყათი მინარიო, ეილა ჩვენ ხარის ქიებზე ვართ, იან რომ გიექანოს ე დედამინა ჩავარდება, ღმერთ გამჩენელ უკავია და ბუზი არ ეკარება იმა აფერი. ჩვენ ქვეი შვიდი ყათია, ჩვენ ზეი შვიდიო, ჩვენ შუაში ვართ. გასულ წელ რამხელა თოვლი იყო ამდრო ე ყვეილამფერი ღმერთიდან არი.

უმწვალელებელი აფერი არ იქნება აბა! მე ვერ ვისწავლე, ჩემათ ვარ.

ბელქიდა თავი შიგატკინე, ჰამა ღმერთი გამჩენელი იარებაო, აბა, მიდიოდნენ ღმერთ გამჩენელთან და შენ რა გინდა, შენ რა გინდაო და ერთმანეთ ებნეოდნენ ღმერთი გამჩენელი იმფერი შემძლეო, რომ კარჭლი ხეჭბოში ამ ქვეყანას მუათავსებსო, რაღარიო თრალი ებნევა და ე ებნევა ლემსი ყურშიც გაძრუმლებსო აბა იმფერი შემძლეო, აბახასაც ეცოდინება. ყვეილამფერი დამავინცდა.

რამითჩელ საბერძნეთში ჩევდა, აფერი არ დიემართა და აქ... ფეხი აქ არ დეგედგა, იქ არ დეგედგა არ გადავარდებოდიო, იმისა არ იყენს...

ოთხმოცდახუთ ვათავებ აჰადა დღეს, ოზდათერთმეტია? ოთხ იანვარ ოთხმოცდახუთ ვათავებ, ერთი სხვანაირათ ნუ ჩიმითლი და...

მოქმელი: ფატო კახაძე, 67 წლის.

ქალები შეიკრიბებოდნენ და წევლოდნენ მხალის დასაკრეფად, ივლისის დასაწყისში, ევლოდნენ თან მოკრეფდნენ, თან ერთ კვირას დარჩებოდნენ. დედაბრებს გზავნიდნენ თაზე, მანქნები არ იყო-არაბებით. ახალები ევლოდნენ და მოჰკრეფდნენ, სათა-საღლამ ქალ თაზე ვინ გაგზავნიდა თუთუნშინა ესაქმა. დიდი გენილი დაპაიჟნილი ჰყავდა, ქალამნები მუტანეს და წევდნენ თაზე, ქალამანი იყო ორნაირი კოლოტური და ამოღლაბული. ტუფლებიც ქონდა, ჰამა იმათით ვერ იარდა. მე ბარში დამტიეს, საქმე შევქელ, ჰალა გამგზავნეს, მარბამდი თაზე ვიყავ.

საჭმელებს: წვნიანს, უავეს, კარჭლიან ფხალსაც აკეთებდნენ.

ბარსახან ნოდარ ბიძიანთი ბაღვები იცვემდნენ და ვაჟამ მომადგა მეც შიმკერეო, გოია კაი ეგონა. ერთი რამითი ტყავი გვექონდა თავანში ყველთვინ ამფერი დრო არ იქნებაო, ეიკიდი ჰაი, ე საჭირო გახდებო. კალოში ნატრული ვიყავით, ვინცხაი ჩეიცვამდა თვალი გვჩებოდა, ზირკლებიდან საკერებლებს ყიდულობდნენ და იმა გამოხარშევდნენ და აკერებდნენ. ახლა ბოლი დროა, ჭამიდანაც ბოლი დროა და ჩაცმიდანაც.

სელით თივას მევტანდით.

ახლა გამოვროთო და დავუდე ხამაი.

ნადი იყო მეიხმარიებდი, შენც წახვილოდი და შალებს მოქსოვდნენ, ადლი ერქვა. ალოშვილები ჭოლოდან შავი ტლაპონა იეტანეს, რომ შიელებეს, ბოიაც არ იყო ბოიაც. ჰალა ერთისოი ბალახია სანერავს უძახიან იქშინა ჩეგედვა, ერთ ღამე იმაშინა ყოთილიყო, მემრე შავ ტლაპოს ამეიტანდი, ადულებდი და იქშინა შეგელება, ისიც ვინ შიამონმა ის შეღებავსო მე რა ვიცი. მოსვენება არ იყო, აჰა დიდვან ღამეებში ნად იქმოდენ.

იეკბაძიებში იყო, ის ტლაპო ჩვენთან არ იყო, მემრე ბოძავრზე ქუიდან ჭრიდენ. ყველაი ტლაპო ხომ არ იქს კეცად, ინა გეგეცრა, იმა რუმ მეიტანდი ინა გეგეჰასილებია, რუმ ქუა არ მიჰყვესო. ჩემ გენილ აქ, ჩემი ანაი შორვას ხარშევდა იქში, მემრე ჩემი ანაი არყი კევ ხარშევდა. მოზელდი ღამზათ პური ცომივითნა მოგეზილა, გეგეჰასილებია, ჭადი კოკვერივით გაკეთებდი გაქნიდი-გამოქნიდი, ამუკეცავდი გვერდებს, გახმობდი

და ცეცხლშია გამოგეხურვებია, ზოგი დასკდებოდა, ზოგი არა. თუ კაი ტლაპო არ შეგბდა არ დადგებოდა კეცად, მემრე ბზეზე გეიტანდი.

წინდი ქვეში რუმ დაცდებოდა, კარაჭინას გამოქსოვდი და ერთ ახალობას მეიარდა. ვინცხამ იცის მოქსოვნა შინათაი რა უნდა ვინცხამ იცის, აჰა დაცდა ამა იქით მოქსოვ ერთ ახალობას მეიარს.

დიდ ცხვირას ყილიტას დუძახებდნენ, ყილიტი ხანჯალს ერქვა, ყილიტი ყავარ რუმ ხდიდენ იმასაც ერქვა, ყავრი სახდელას; კირკა ყაზმაი ვიცი ბალვობიდან; თახრაჯაი, ეი კიდი ჰაი თერთა ვაკეს მასივი თუთუნები იყო და იქ თუთუნები გვექონდა და რიზ ემის მივეხმარე და მითხრა რუმ გაგათხუეფ იმთერი რაცხანა გიყილო არვინ არ გიყილოსო, ქალებმაც მიადგნენ რანა იყილო და ციცვვინა ვუყილო. ქორწილია ახლა ემჯამი ვდგავართ და შამოვდა მეიცადეთ საჩუქვარინა მისცესო, გაჩუმდა ეს ხალხი, ამი სიმალლე პნკვინევდა თახრაჯაი მოკალული, შიან თეთრი ციცხვი, მემრე რუმ გავრიგდი ჯართში ჩაბარეს, იმთერ ხასათ საჭმელ აღუღებდა... იცინონ ხალხმაო მეხსუსია გაკეთა.

გომბიო ვიყავ მიხეილ ბიძიაი ამოვდა, უყურა ამ გვერდს და მებნევა თუთუნი დარგულია ჰამა თეხები ჰად დაბიჯეო, აქ რუმ თეხი დემებიტებია მეილლიზოდა მეთქი და კანაოში ვაბიჯებდი მეთქი.

ბუნებრივი საუბრის დროს ჩვენრილი ფრაზები

- აქ მუა და წასლას ვერ მიხდება, კილო ოთარინსა რუმ მივა.
- დივეხმართ ამ ქალსა და დავანერიოთ.
- შინ იყო ნაზი? ეიქი სახლში დიემწყრა.
- ახალ მოსული გენილი ვიყავი და მანთილმა მითხრა თხა შამეიყვაი და პოლებზე ანორიეო.
- ემინევ თემური მოვდეს ახალ წლი ღამეს.
- ანი თემურის „თეხები დამწვარი აქ“, თევფიყ ემოი შამუთლის ი დავინყდაო თიდან რომ ჩამეყყვაი და გაყინვას გადავარჩინეო, ერთი მნახოსო, ჰამა ჰად არი ვერ მეიცალა.
- ფატოვ დევჭირე და ახლა რაცხა მომაგონდება დავსწერი და აღარ დამავინყდება.

- ეივალა ფატოვ ჰეფეიტა გაგვაშელიგე, ანი გოია თოვლს.
- ფადიმევ თემურ ტადოს შია გო.
- აბა თემურიმ იმდენი იმუშავა შიერი ხომ არ იქნება.
- ჰად იყავ თემურო ჰადა, მაშინას ანყობდი?
- მე ვერ წავალ ისე ადვილაი, ანჯალ სალამოზე მივდე სახში.
- მე კაბაზე მეგებლაჭები და მიგიყვანო, შენო არ წიგიყვანო ვარ არტყემდა. მემრე დიდანას მივადგებოდი შენ წიმიყვაი მათეი.
- ერთი ახალციხეში თიბილი წყლები რუმ ამოდის, ი რა ჰიქმეთია, თმოგვის აბანო ზოვლი ცხელია, იმფერი ცხელია თუ არ გაგრილე ვერ ჩახვალ.
- ვახტუნდა მემიან რაზიმე მითხრა თქვენი ნადიკოი რომ არი, ქალებ დანახვა საქონელი გამონწყვეტაო და ქალები გაზარმაცაო.
- ჰო რას ჭამენ, რაცხას ყიდულებენ წუმპუებს, ბაღვები გამეიშენა ძროხები გამეინყვიტა.
- მე ჩემი გარანტია არ ვიცი შიერი დავრჩები თუ რაცხა?
- მაშინ ადეთი იყო, აქ სურიე ბიბოს მუტანდი ერთი კოლოფი დო ერ კვირე გვყოფნისო მეტყოდა.
- წინწინ იმფერი საჭმელები იყო დონა დეგეყოლებია.
- ხარჩლულია ე აიშოი რაფერ წვალოფს, ჰამა ძროხებს არ იქყვეტს, ხარჩლულიაო.
- სამოზდაათი კაპეკი ღირს, თაზე ახვალ გაკეთებ წამოხვალ.
- უდის იეილაში ვართ და შევხედე სარძიეში და იმფერი ბინძური ჰა ჭამონ ჰო, კატა კუდით არ დიეცემა.
- ჭინჭარს სუზგზე დაფენენო და რაცხა ჩეინურება ის არიო, განურვა იქ არ არიო. ნალები რომ გედეინვის ერბო გამუაო.
- გოზგორა გასაყიდლად იყო და...
- ე გასათხუარი გოგოები რა მოყრილან?
- მუპტრები არიან თემურო?
- აჰა გენილო ამა მემრე შენნა იარო

- ანი მე რა ვიცი თუ ვინცხამ დემებტგინა ცალ თერეფზე ვიარ.
- ე ბორეგის ოსტატია, ერჯელ რა თქვა იცი?
- ი რაი და თიბილი უყვარან და იმიტონ. იალ მალ გავამზადებდი ყვეილამფერს, ერთი საჭათით აღრე ავდგებოდი და გევლებდი და შევკაზმევი.
- ე ყიშლა დათოსაც დუნგრევი, გაყიდა.
- დათოს მის სახლი ზედაი, ისინიც უყიდნია.
- გო ე რა ღორაი გაფარიანდა.
- თაზეც დანონოლა ერთი ბუტკა, ფენჯრები არ აქ.
- და რა დამწკრივებულან ე გასათხუარი გომბიები?
- და ბაშლული გინდანან თუ რარი ქაზიმო, თემურიმაც ისე გვითხრა.
- ვთქვი გელახანუმი თუ სახშია ფანჯრიდან დიმინახავს მეთქი და გაიეს ვნახავ მეთქი.
- კინის ქარხანა იყო, მაშინის ზედაი გოგორაი დეგვეკარქა და მე მეგონა ღუნია დეინგრა მეთქი, ეიდა ვაჟამ წეილო და გაკეთებია.
- ამდენი მაშინაი რუმ კეთდება იმდენ კინას ჰა შოვნილობენ.
- ჰად იყო იმხელა თოვლი ეგუნდავეს, ახალათ მონათხა.
- შერიფაი ემეში ვნახე და დამავინყდა, ჯანაზაზე.
- დოკნის იარებოდა და ვუთხარ რუმენე მოგიპარონნა და იცოდეო.
- სურიეი ფანჯარაზე კიბე მივაყუდეთ და ისე გედევყვანეთო, უოლიეიც მაგრე მუპარვან, ვკანკალობდიო ისე თქვა.
- მანდარინას ჰა შოვნილობთ ჰადა?
- ჩემ კაც თავი ქედში აქ ჰამა შენ მანთილს რაფერ აქ არ ვიცი? ეის სისონი ხელში ხევს, თქვენ დანჯდარი სახჩი...
- შივამჩნიე ბალანაი გამოძინებული არ იყო, ამჟავებული მიდიოდა სკოლაში.
- ანი ფატოვ იმ მინაზე უდომას რაფერ ვუძლებდით, ფოსტებს ვიგებდით, ჰამა რანა გიყოს - ერთი დადექ და ზორით დანყვეტილი ვართ.
- მეგემ წევდნენ გულვანთსა ნადში თუთუნი სხმაში, ბანო ბიბო შამუქახე, მათ სირი-სირაი ძინვან, გო და გაძრებიან სირი-სირაი ძინვან, ამ ბანო ბიბომაც გაშალა

ხელები, გათენდა და რაღანა შამუძახო, ანი ანეკლოტად დარჩა, გეიქნია ლემსი და ადგა.

- ახლა ლენგერი არ გხდება შენ?
- პირველადი გეგონე.
- ანი რაღარი...
- ერთი ემინევ რანა გითხრა იცი, შეიხების გვარინა მოვძებნო.
- ეიდა რათ გინდა?
- რათ მინდა და ბუმბუმი ხომ არნა წახვიდე ამ ქვეყნიდან, ერთი ცარიელი კაცი ბევრ ერახუნებაო მაგრეა.
- ანი აიშოვ რაცხა ბევრი რაცხა ჩიგიყრია.
- ფატოს წარე ცხოვრება აქ გამომლილი, მზეს პირი თუთუნზე არნა მიეკრა, ოთხ საათზე დგებოდნენ, აღიოდენ. ოსმან ემიანი წარე კაცი იყო, მარა საქმე ვეფერ ვერ გიზამს წარე სიტყვა შეგჭამს, დედამთილი ოგოი ჰყავდა, ერთი მული გასათხვარი, მაზლი დასასახლებელი, შილი, გასარიგი მე რა ვიცი...
- თბილიში ოთხი ქალი ყოფილან შოფერი და ჯერ ავარია აფერი არ მოსლიანო და კაცებნა უკძალონ შოფრობაო, ისინი არ დათრებიან აფერი.
- ე კაცი კლა მამლი კლა გონიან ხალხს.
- ისე არ მემეტები რაულო ამელამ იყავ და დილაზე წაი.
- ნასვამი თუ არი შენ ამუშავე მაშინაი, თუ არ სვამს აფერი არ უნდა თრალეებიდან საშიშოა ანი.
- დაგვა დასუფთვა მაზეა, მათ აღგუმამდე მიმუალაგებს დაჟდება.
- გოჩას ციცაი რომელ კლასშია ნაზიკო?
- მესამეში
- ო, ჰეფეიჯა ასულა.
- ბებო იმ სკოლი კიბიებზე არ ჩეირბინო ჩქარა ფეხი არ დიგიშპეს.
- ორი შამომლა დამჩა იმასაც ჩავაქსუეფ და... თვალეზიც დემეძიძადა.
- მოი არ შგცივდეს, ახლა ძილი დრო გაქ შენ ძილი დრო.

- ერ კვირეს არნა მისულიყავ არვისთან ახალი წელიაო, მე რა ვიცი მუფთხილდებოდიო.
- ერწამაი ასე თვალის ემეში გაკეთა.
- ე დედაბერმა ქალმა ჩირებინა ამზადოს და ამაზე კაი რარო. აა ემინევ ამის ჩირიც დევნახე მანდარინისა.
- გო გო კოფემ გადმეიარა. მაქ რომ დაუდები ყურინა ათხოო.
- ე ე ფეჩში რაფერ შედებული აქ და ახმოხს.
- ემენ მღეროდა მემიშაშვილები ალაიბეგაი, ი თახუმები მღეროდენ ჯიში-ჯიში გამოსწია.
- როინო წუხელი „კომედი არხზე“ რა იყო: სტუმრები ასე მოსული და ე ბაღვები ყველაი ჩაცქერილი ტელეფონში, აჰა მაქფრათ.
- ხუთშაბათია, სუ სუ ბელქი ის იყოს.
- დეინახე როინო, დეინახე გამოი კარზე.
- ე ლორჯუმი რაფერია იცი გზიები ლამაზია ჰამა, ლელიებში მომწყრეველი რაცხა.
- წრეველ ხასი თოვლი არ გათოვლდა, რომ ხალხ ეგუნდავეს.
- დღე ქალ ხელებზე თათმნები წამიეცვა და მაინც სამობდა.
- დიოკნის ქორწილში გამგზავნეს მეორე დღეს და მიველ ჩემთვინ ვის ეცალა, შუშანა დეიდამ კალთაში ხაჭაპური ჩიმიდვა ჭამეო, ისიც სკამზე დამუდარი ხომ, ისიც არ მიჭამია. გამუელ სახში და დანა პირ არ მიხსნის, გაუხელდი თუნა გამგზავნო ქორწილ დღე გამგზავნე მეორე დღე ჰა მგზავნით მეთქი. ეიდა სახში ყართოფი იყო მოხარბული ი მივატაი ყურუთ და ბეთმეგ, მაშინ ბეთმეგ გვექონდა, ზოვლე ხასი იყო და ვჭამე.
- ლიანამ სამ თვე აჰა მიეყვანა ჩუჩუნაი უსტიები და ვერ დანთავრეს ბინა, ანი ძველების ნათქვამია: შენი ნაქნარი წელ გატკენს და სხვისი გულსაო, შენტვინანა ეცადო სხუას დროის გაყვანაზე აქ საქმე.
- ელიფი გავაგდე, ერთი არნა ვუყურო, ი ერთი კაკალი ციცაი ხან კილდებე გადმუაგდო, ი რუმ აწვალეს, ერთი მე რა ვიცი.
- ჰო, აჰა იმფერი ტაროსები იყო გეგონება მაისში გაველითო.

- ბარსამი სიბეჩიები აქ გადახდენილი, ჰო აბა წამოკრული მაქ ყური, ერთი რათ გვინდა სხვისი ლაპარაკი გელახანუმ ღეიბეთია, ღეიბეთი.
- ე დიოკნისლების ახმახი მითხრა რუმეო შენ რაცხანა მოგიწყონო და ყურებში არ შუშვიო... ე მაშინი პაბრიშკები რომ მოგვპარეს ჩაველით ყანი ბოლოზე რომ მაშინაი დაყუყვილა.
- სტანოკი ჰქონდა თევფიყას, ბევრი ემეგები აქ ჩემზე.
- ანი ფარა დავაბანდუო სულიკომ მითხრა ეიდა ვუთხარ ჰანა წეილო მეთქი და არ ვიცო, ხანუმ ფუხარამ ქონება ნახა და გამოსავალი ვერ ნახა!
- ჩვენი ოჯახი რამითჯერ დიეფერთხა ჰამა წამოფერხდით.
- პანა ღელეში დარჩობას დიდ ღელეში დარჩობა ჯობიაო, ამფრათ გენილობა ჰა იყო გელახანუმ.
- ლამაზი ბზე მოვდა გზიები გატყდა, ჰაიდაჰაი გაველით გაზათხულზე, ე თოვლი ჰეფეიჯა გაშრა ჰეფეიჯა.
- ანო ყველდღეი პატივს მცემენ დანისპარავლელები, დრო არ მაქ თორემ ყველდღეი პატივს მცემენ.
- ჰო ეგენი ჩემი ღელიდან არიან და არ შემარცხვენენ.
- ე ნათიაიც მოკდა წინწკლი ზიდვაში, ხან აქ შამეიტანს ხან იქ გეიტანს.
- ჰო, ფერიშხანა არ გვაქ თუა, ფერიშხანა, ფერიშხანა ზიბილის ასალები.

მთქმელი: ფადიმე გობაძე, 80 წლის.

გუშვებდი გავდენიდი, წაით და საღამოზე მალე მოით მეთქი. ი შევაბევდი რკალ კისერში და გავდენიდი. ჩემ დროზე არ იყო ლოცვა აფერ არ შულოცევდი. ოზდათუთხმეტ წელწად ვიარე თაზე, ხუთ წელწად ბოკელაში ვიყავ, სამ წელწად თელი ყიშლაში. წევკინწლებოდით ხანდიხან ჰამა, მალე შევრიგდებოდით. ათ წელწად თუთუნში ვიმუშავე სამას ორმოზდაათ კილო თუთუნ ვაბარებდით.

ვეხმარებოდით ერთმანეთს, ღამეი, ღამეი, გღეი ჰა გვეცალა. ფურცელ ვსოჭევდი ძროხებ ნარცხ ვუკეთებდი, მოცვ ვკრეფდი, ასკილ ვკრეფდი. კარტოფილ ვთოხნიდით, ძროხები წაგვყავდა ონაგირას ვაძუებდი ძროხებს, ჯუმაზე რუმ წამოვლოდნენ კაცები ჩვენ ვაძუებდით. კამეჩებიც მყავდა. ახლა კაია მოსვენებული

ხართ რა გინდანან. ჩვენ მანარო, ზივთი წარე იყო, თუთუნიმგონე არ გვეცალა, დევკავებლით ქალაღდ და იმით ვჭამლით.

მატყლ გავჩეჩევი, წინდებს ვქსოვი ი ნასაქში ყვეილამფერი წეიფარა, სარტყლებს ვქსოვი, ვართევი, მე დართვა მირჩევი, ჩენგელ ჭალით ვქსოვი მაგიდაზე გადასაფარებლებს, ესენი მენა მექსოვან, ჰალა ასლან ტადა ქალებმა მითხრეს კიდე ვერ მოქსოვო.

ხუთი წლისა გასახლებაში ვიყავ, ორმოზდასამ წელში ციმბირში. მიველით ყანა დავთესეთ, ჭარხალი მოდიოდა მაგრად ხუთი წელი იქ ვიყავ, დედა იქ მომიკდა, ბებიანი და მემრე ბიძამ ჩამოგვიყვანა.

ლექსები ისინი აფერი არ მეყურება, არ ვიცი.

სანთელ მანთელ დანყობდენ და დუბულებდენ.

წინადლე შემა მიმაქ სახში, ერთი ვნახე ჩიხი გიელო ჩამოვდა მუხთოი, ეიდა ქალბატონო მეიცი დეგელაპარიკო. დავდე გობი და რაჰალმიშ მოვხობავ, მიცანო? და ვუთხარ აბა არ გიცანო და ჩიტოიცნა ვნახო.

მთქმელი: იური კახაძე, 69 წლის.

ამ წალის პოლად ქონდა ხოშორი ჭერები, ფეფენიკები რომ არი იმ ფეფენიკები ქვეიდან ტაკოზებს უკეთებდენ, დაშორებული იყო სეტკასევეთ იყო და ტაკვეციოთ მოვნაყავლით, ზოგი გაპენტავდა მატყლს ჯოხით, ქვეშ პოლზე იყრებოდა. საცერებს აკეთებდენ ძროხის ტყავიდან, თასმიდან კეთდებოდა. ტყავისაგან ამზადებდენ თასმას, ტყავიდან ჩამოჭრიდენ და გაკეთებდენ ხალბურს. ტაკვეცი იყო რაფერი იცი ხელი აქ ამფერი და დარტყემლი მოფერებულად. ჰავანში იჭრებოდა თუთუნი, ახლა ერიშტას ჭრიან, ადრე თუთუნისთვინ ვიცოლით ჰამა შეიძლება კილო რაცხას ყრიან.

ოცი თებერვალი მძულდა, თებერვლის თვიდან გადათხრა იწყებოდა, ნახევარი პარნიკი მენა გემეთხარა. ზეიდან გადმეიხედა რომ მობლუნძული თოვლ ვთხრი, მითხრა: შე კდარო რას იჯებო? პარნიკზე ზეიდან ჩარჩოებს აწყობდენ, ჯერ სტექლოიანი იყო და მემრე ცელოფანზე გუდუქციეს. ორმაგი სახურავი იყო, ზეიდან ხიდან დამზადებული სუბუქი ჩარჩოები იყო, რუმ დათბილულიყო. მარობაში მიწა გამოშრებოდა. შემოდგომიხან „როვლის“ პირიხან შამოჰქონდენ ტყის მიწა. ანავ

მივდოდით და მივადგებოდით მეშოკებით, ხამი მინანა ყოფილიყო, დუმუშავებელი ტყის მინა იყო. მომზადებული თუთუნი თესლი ითესებოდა, ახორში ჩახვებში გვექონდა ჩამოკიდული და ვალვივებდით. ფეხითნა დემეტკებნა, კალოშინა ჩეგეცვა, თუთუნი თესლი ან მინაშინა ეგესვარა, ან ნაცარში. ახლა შენ რუმ ვინცხამ გიგიტკებნოს გახელდები გიმიჩლაგნაო, ჰამა არა... ფილონკაით ვრწყევდით. პარნიკები შუაზე იყო ყუები, იყო წყლით სამსე, იქიდან ვიღებდით და ვრწყევდით. დღეითნა გედეგეხადა, რუმ ბზე ჩასულიყო, სალამოზენა დეგეხურა. მარგვლევედით, კახმიდან ვაკეთებდით ჩარჩოებს, ექვსი ემენ იყო, კახმა. თუ საჭირო გახდა მემრე შენ ჩუმატე და ... ეიდა მანში მინა გამზადებული იყო, გავაკეთებდით დონეგებს, ამ დონეგებს დავარუებდით, ჩივით ვრგევდით. პანა ხნის მემრე კიდევ ვთოხნიდით, საშრობი ერქვა ეგებოდა მინაზე ეწერი, ზრუგით ვზიდევდით მოტეხილ თუთუნს, ექვსჯელ იკრიფებოდა სიმწიფის მიხედვით. დილასვიანაი მივტანდით საშრობში გოდრით დემეთებს მივტანდით. შეტეხვის დროზე ვაკეთებდით დემეთებს, შემდეგ ვაგრუებდით დემეთებს და გოდორში ვალაგებდით საშრობში მიგვექონდა და გვიმრაზე ეწერზე ვაგებდით, ყუნნი ჰქონდა ქვედა მხარეზე. კინის ლემსებზე ვასხემდით, ჩავაბემდით ვაგონზე. იაშიკი იყო სპეციალური დავაძრობდით გამხმარ თუთუნ ძაფიდან, ჩავთაკრევდით იაშიკში, დავტუკევდით, ჩავაბარებდით თუთუნის მიმღებ პუნკტში. ძალიან ყვითელს ცალკე ვტუკევდით, ვახარისხებდით, თუთუნს ყვავილს გადავატეხევდით, სულნა გედეგეტეხა და მესისამდა ფილიჯს. ფილიჯსაც ცალკე ვასხემდით.

ფერმები იყო კოლექტივისა, ფერმაში მოჰქონდნენ გამხმარი თივა, ვაკეთებული იყო ტრანშე აკეთებდნენ სილოს, ნედლ თივას ყრიდნენ სილოსში, აყრიდნენ მარილს და ახურევდნენ, ლოქავდნენ. ერთი-ორი თვის მემრე გახსნიდნენ და აჭმევდნენ საქონელს, ქატოსაც აჭმევდნენ. ძეს ვწველიდით და მივტანდით სარძიეში ვაგზომევდით ლიტრობას. ვავათობდით ძეს ჩავასხემდით სეფერატორში და გამოვწურევდით. მემრე ვავაჩერებდით იმ ძეს ნორმაზე და ამევეყვანდით ყველს, ჩავდებდით ბოჭსკებში, ჩვენ სახში იალს კაბინებში ვდებდით, ნალებით, ნალებს მურევდით გამოვდოდა იალი, იალს ჩავდებდით კაბინში და მემრე ჩეიბარებდა კოლექტივი.

გაკეთდებოდა საჭმელი ერთ კასრულში, მემრე თიხის ჭურჭელში ჩავასხემდით დავდგამდით სუფრაზე და კოვზებით ყველა ერთ უსკურიდან ვსჭამდით, კოვზებს ჩახაჩუხი გაჰქონდა. ერთ ლენგერში ჩასხევდენ დიდი ზომისა იყო, ხან უსკურაში ვჭამდით.

ზეი ტაიასთან ევლოდით ბაღვები და გობეგით საჭმელს დიგვიდგემდნენ და ანი ჩავჩეჩდებოდით ბაღვები.

აქ იყო შევექეთ ემიაი ნუსხებს უნერდა იტყოდა: გაველ ღელეშიო რაცხა დავჩხაპნე და მემრე მოვდა მითხრა რაფერ მუხდაო და ვუთხარ შენ ნიეთზე რომ დავწერე იმიტომ მუხდაო.

ილდიზი რაფერ აქო იტყოდენ, ილდიზი რარი იცი სიცოცხლის პირი აქ თუ არაო.

მაშინ ესენი გრუპაოი არიან წასული თურქეთში, აქ ძირი ჩვენი განაყოფი ქედაშიც არიან ჰამა იქ მჟავანაძე ინერებიან, არ ვიცი თურქეთში, რომ არიან შეიცვალეს თუ არა გვარი არ ვიცი. უფრო სწორად ჩვენ შეიხები ვართ, პილლაი მოსულები ჩვენ ვყოფილვართ მეზელულები ამტკიცებს. აქედან წასული ბერები სხალთაში არიან, ჩვენი გამრიგო ჩასახლებულია. ოლლი იყო თავდაპირველად შეიხოლლი, თურქეთიდან მოსული გამრიგოები შეიხოლლებით გვაგნებდნენ, რუმ ჩამოვდა თურქეთიდან ჩვენი გამრიგო ჰკითხა.

ძველი მაცრული სიმღერა, ზემზემაი მოჰყავდნენ დიოკნისიდან და ერთი ვნახეთ რუმეო ნოდარა გობაძეს მოჰყავს ქალიო და მაშხალა იყო, ჯოხზე დახვევდენ ბადადს და ნევთს დასხემდენ და მაშხალა ერქვა. ერთი გავარდა ბერმა დაჭეცა: ქალი მოგვყავს ნათელი,

მოგვანათეთ სანთელიო.

რუმ გავარდა მაცრული სიმღერა, ჯვარიქეთიდან ჟოლიი რუმ იყო, იმათი დიდი დედეი მიქაილაი, ო რა ჭექდა. მოკდა, დანყებითების მასწალებელი იყო.

ეგეც საინტერესოა რუმე დედოფალი რუმე მოვდოდა ეზოზე თავშალდახურული იყო და დამღერებდენ: დედოფალი მოგვყავან, საჩუქვარი რა გაქვანო? და ბახშიშინა მიგეცა ან გუგუშინა გეგეტანა, ბორეგსინზე ლუხუმ გამეიტანდენ, ან ძროხანა გეგეყვანა, ან თხა, ან ცხვარი, ან ჯამუში.

ძველებური თამაშობები მახსოვს თულას ვთამაშობდით, პროსტინაი რუმ შეგრიხო, რამდენიმე კაცი დაუდებოდა და სქელი კურტკანა გცმეოდა და ზრუგზე არტყემდნენ, ხელებში ათამაშებდნენ და ერთი კაცი ეძებდა თუ ნახევდა გეიმარჯვებდა თუ არა და დარტყემდენ ზრუგზე.

შირიმშოს ვთამაშობდით, ახლა რომ გოია გაკეთებულია და ლაპარაკობს. ხიებზე გაკეთებდენ, ეი მომე შეშა, კაბის კლავებში დოვშვათ ასე კლავები იყო და უმღერიდენ. ერთი რიყეთელი ქალი იყო და ვკითხეთ: ბაღვობაში რამემ შეგაშინაო? და შირიმშომ შემაშინაო. გოია მოკდებოდა, გოია დეიმალოდა, ვიტყოდით ერთი მოვკლათო. შირიმშო, ჩემი ქუდი მანახვიე, შირიმშო! გოია თავი ჰქონდა, პირი წარბები და ასე ვთამაშობდით.

დოდოფალ რუმ მოანყობდნენ და თუ გაბუქდებოდა და ხელი შეიშლებოდა იმა უმღერიდენ: წინდა ვქსუე ქურთული,

დოდოფალი დარჩა მორთულიო.

დოდოფლიენტსა ბრაგა-ბრუგი,

ნეფიენტსა აფერი არაო

ადრე დიდი თოვლი მოდიოდა, ბათუმიდან წამოსული სულ ხელითნა გათხრილიყო გზები. კიდევ რაცხა მოგვაგონდება აჯაიბები...

ლაზარიას მოვჰკრეფდით, იკრიფებოდა თუ წვიმა გინდოდა წყალ მიახსემდენ, თუ არა ნაკვერჩხალს მიაციდენ. საჭმელსაც არჩევდენ, განვიმებაზე ფაფას აკეთებდენ, დარი თუ უნდოდენ კვერცხ შეწვევდენ. წყალ დასხევდენ იმ ცოცხს. იალი, კვერცხი, ფქვილი ესენი იკრიფებოდა, შექერი არ იკრიფებოდა, ჰა იყო.

ლაზარია, ლაზარია

ლაზარ მოვდა კარსაო,

აღარღარებს თავსაო.

ღმერთო მოგვე წმიმა-წყალი

შიგინახე მზისა თვალი.

ერთი ჯახნიძე ბერი ამოდიოდა და მისი შაირები ვიცოდი, ვიგონე ვიგონე და ვერ მეგვგონე. ერთი ე ბერი რომ გამახსენდა ე ამოვკრიფე: გადავჰკიდე კაბები,

შამოგახვიე კლავები.

იმით თავს ირჩენდა ფარას მისცემდი და მღეროდა. ორმოც კაპეკ მოგცემო ვუთხარით და არ მოგიდინგლებთო. კილო ბევრი იყო, ემეს ვიჯები ბელქი ამოვკრიფო მეთქი.

იმან ვერ გუძლო და ამოვარდა ხმარებიდან, მეიცაი მახსენდება გო ერთი რაცხა გო... ხემანდილი ძველებური სიტყვარი, ხემანდილი კაი რაცხარი და... ემინევ.

კარავანაში მაკარინას გაკეთებდნენ, სირონს აბახო, შენ მომეხმარე გვალი იყო და ყურებიანი იყო.

მაკარიაი ლემსი-ძაფის ჩასადებია.

ფერვერდას ვაკეთებდით ვაშლიდან, სხლიდან, ჰავიდლასავეფ იყო; ეიდა დედაბრები ბეთმეზი რუმ ექნებოდნენ ლეჩერს გაკეთებდნენ; მუზა რუმ მოდის გრუვდება.

სახლის კარებს ყაფი ბაშებს ვუკეთებდით, ახლა ისინი მოდაში აღარ არი, იაზლოლი იქნებოდა სინათლე შამოვდოდა იქიდან ამ ოლაში.

კორკოტს რუმ ვნაყევდით იმა ქვიოდა ქვიჯაი. ქუისა არ იყო, ჰამა ქვიჯა ქვიოდა, იქში რაცხას ვნაყევდით კილო, იარმა-იარმა მოხარშავ პური კაკალ, გაშრობ და თუ გინდა ხახვით და იალით შეჰკაზმევდი თუ გინდა შექრით. ქვეყანა ვიცი ჰამა ახლა ფარდა გედემეფარა.

ძალლი საჭმლისთვის ხეს ამოვჯამევდით იმა კველოს ვეტყოდით. ძველად თვითფრინავს ჰავა ბალონს ვუძახიდით, ბერები დაჯდებოდნენ და ჰავა ბალონმა გეიარაო. აბა ბერებმა რა იცოდნენ და გოზგორა ჰავა ბალონი დარქვეს.

ხაზული ქლიავიდან კეთდებოდა, ქლიავს ასე დახაზავ, მემრენა გეგვხმო და ყაისეფეს რაცხას გავაკეთებდით, პანტა სხალს გავახმობდით იმა ფურუჯი ერქვა, წოს გავაკეთებდით ჭარბადელადან, ოლენადან, პრასიდან, ჭარხლი ფოთლიდან, გენილპარმალიდან.

ხეს გარედან ქერქი ხომ აქ, წაბლს გაშობდნენ, იმა ამოვეცევდნენ და ქალამანს რომ თასმით შეკერევდნენ ისე შეკერევდნენ ხოკერი ერქვა და წინწინ და იმაში: ვაშლ, სხალ, ბალ მოვკრეფდით; ხალბურით ლობიას, სიმინდს ავცხრილევდით, ვაშლის საკრეფელას ხაპი ერქვა.

მენტეფრები წამოვლოდენ თიდან ურემზე დამუდარი მემთეფრები და ბალვები ღუძახებლით: ყველი ჭიპაი, ყველი ჭიპაი და ღიგვირიგებდენ. ჩვენ არ ღუძახებლით გავმწკვივდებოლით და ღიგვირიგებდენ. ლამაზი იყო ნახევდი, რუმ ეს ურემები მოღიან და დედაბრები დანუდარი და ბალვებ ყველი ჭიპას ჩამოგვირიგებდენ.

ბერები თვანქარი მომიტაიო არ იტყოდენ, ყურუმ ყელემი მომიტაიო, ეს ხომ მონაგინი არ არი, ისე იტყოდენ, ერთი ყურუმ ყელემი მომეცითო.

კორკოტ რომ ჩაყრიდი ქვიჯაში წირითავინა დეგერტყა, ხისა იყო და ქვეიდან ნალის მუხები ჰქონდა მიჭედილი და იმით დავნაყევდით, რომ გაფუცქნულიყო.

უღელში რომ შიაბემდი აპოვრები ჰქონდა ტაბიკებზე რომ თოკია გასაკოჭელი იმა ჰქვია აპოვრი. კოტა რარი იცი უღელზე ყაიში რუმნა დახვიო, ორი ჩხირი რომ აქ ის არი კოტა, კიდევ კოტა იყო თვალს უწევდი ღუნევდი, ფეხი უწიო ღუნეოლო იტყოდენ იმის ასანვეაი დასანვეელი.

ასე ხეა დასობილი, ჭერი გაბოგილი და ბალვები იქით აქეთიდან დაუდებოდენ და კატაობდენ.

ისნავლე სანამ შიგიძლია.

მოქმელი: ემინე აბულაძე, 67 წლის.

გვერდაი, გასავალი, ცაცხვები, უკანხევი, თეთრავლაი, ნალვარევი, ნატბოვრაი, გვეგეშური, ნაფეტვარი, ჩაო, ქუნცხები, მერე, კუნჭული.

გვერდას ადგილი გვერდია, გასავალი სოფლის გასასლელია ცეცტრალურ გზაზე; ცაცხვები, ცაცხვის ხიებია ბევრი, ახლა ჰალად არის; უკანხევი, სოფლის ბოლოა; ნალვარევი ალბათ წვიმის შედეგად ღვარი დგებოდა, ახლაც ღვარავს ბიჭიკოი სულ ფორიაქობს; ნატბოვრაი-სკოლის ქვეიდან ტბა იდგა, ახლაც დიდი ჭოჭყოა, დაჭოლოებულია. ე ჩაო რომ არ ჩაღლეზილიყო მაქ ოცი-ოზდაათი კაცი იქნებოდა. ტბა დაშრა დეინრიტა და დარჩა ხმელეთი ჰქვია ნატბოვრაი; ნაფეტვარი ალბათ ფეტვს თესევდენ, დღეს აღარვინ თესავს, დიერქვა ნაფეტვარი; ეიგერ ხრუკინთი სასაფლაოები რომ არი იმა თეთრავლაი ჰქვია; ჩაო რარი და რუმ მიელიზბა ტბახმელეებმა წევდენ და დიექვა ჩაო; ამ ბალვმა წერილი გაგზავნა, რუმე ბოლო სოფელიაო, რომ გაშორდა ამ სოფელს სიტყვა თქვა რალაცაო და რას იტყოდაო;

ქუცხები ნენი იყო წელში მობლუნძვილი და ქუცხები დიერქვა, ბუჩქებს არ ამბობენ ბუჩქის მაგიერ ქუცხებს ამბობდნენ; მერე მდინარის ნაპირას არსებული მიწარი იქით-აქეთ; კუნჭული ჰანაი კუჩხა.

ტბა ყოფილა დიდი, ეს მთლიანი ტბით დაფარული ტერიტორია ყოფილა, ამ ტბას გასასლელი უნახავს დამშრალა, ვინც დასახლდა ტბა ხმელი იცვალა სახელი და დიერქვა ტაბახმელა, მარა ოსმან ტადოი ამბობდა ერთი თბილისის ტაბახმელასთან მიწა დაკავშირება მგონია იქ რაცხა კავშირშიაო.

ფარა ცოტაი იყო, ყიდვის საშვალეა არ იყო, ქალები მიდიოდნენ და კრეფდნენ, ზოგი მუავედ, მწნილად გამოდგებოდა, ზოგ შეხრაკევი და სჭამდი: გენილპარმალი, აჯარკელაი, სვინდრი, ოლენაი, ჭარბადელაი, დონდოლო, კოკომუავა მუუნას უძახიან ისე ჩვენ კოკომუავას უძახილით, ქათამნაცარაი, სვინტრი, ჯინჯარი.

აჯარკელას მოხარშავდი, წვენს მუნურავდი, გარეცხავდი და შეხრაკავდი.

მაგათ ყველას მოხარშვა უნდოდა ოლენადან, სვინტრიდან მუავეებს ვდებდით.

სამკურნალოთ თხილის ფურცელს, ბალვებს ტანს ბანდნენ მაგის ნახარშში, მარიამხელა, გვირილა, ხოზიკაი.

ბიჭს სხუა ბალახში ბანდნენ, გოგოს სხვაში, პირბამბა, ტენცო.

ძარს აკეთებდნენ, დადებდნენ მარხილზე, სელზე ხაჰს, ვაშლს, სიმინდ შიან ჩაჰყრიდნენ, შიახემდნენ ხარებს და ზიდევდნენ.

ერთ კაცზე ამბობდენ ქორწილი ქნაო და მაგიდებზე აფერი არ იყო და ერთმანეთ პური ქერეჭებს უქნევდნენო.

დოდოფალი ფარფალიო,

შავ მიწაში ჩავფალიო.

ამოვიღე დამპალიო

ბლაგვი დანით დავკალიო.

ხუმრანა გიდიყარა და მასობაში თაბლას მოტყდა ქენერი და წევდა.

ჩემო გამზრდელი ლობიავ,

ჭაჭვით ჩავყარე მიწაში,

ხაშარი რომ დავისევი

კატარი წელიწადში.

მოქმედი: ოთარ გობაძე, 73 წლის.

მეცხრეობით, ტელევიზორი არ იყო, რადიო არ იყო, რანა გვესაქმა ზამთარში? საღამოზე დიერქმებოდა რომ სერი ვისთან არი, უმეტესად ჰად არი ამელამ სერი შევტყობდით ბაღვები ერთმანეთიდან, თუთიენსა ოვკიდებდენ ლამბას ვახშობა მემრე, ერთ - ერთი თამაში იყო „შირინშო“. ერთი გოგო ან ბიჭი სედრზე დანვებოდა ზრუგით და კედელზე მიანყობდა ფეხებს, ამას რაცხას ჩამუაფარებდენ, ან სხუა ოდაში შევდოდით, პირს გუკეთებდენ, სილგს და ხემანდილს დახურევდენ, მემრე რომ შევდოდით ი მორთული იყო, ყველას გონია ის არი ინსანი მიყუდებული ასე. შირინშო მუაო და გოია გეფართხუნებოდა, რაცხა სანყენ იტყოდი გადაჰკიდევდა კისერს, ხელებში ჩერბაკებს, ცოცხ დაკავნიებდი და იმას მუატაშუნებებდი. იმას ესმის დანოლილია, შენ გგონია იმა უყურებ. იმა მიინყენდენ სხუა რაცხას ვითამაშებდით.

თულაი ხელში დასველებული პირსახოცი, დასველებული მათრახით გესმის, იმა შამუარტყემდენ ზრუგზე.

შაჰბად გობაძემ გეგმა გაგზავნა დიღვირში სამუშაოთ, ბეგარაზე ჩაველით, ჭამა-სმა ნაკლები, ჩასულებს ახლავან ხიზარჯები, შევხედე რუმ აჯლაგუნებენ ხიზარს, მოი ერთი ასლანავ ჩვენებურათ ჩამუქნიოთ ხიზარიო და უმფროსებს მიენონათ ჩვენი ნამუშევარი ისინი გაყარეს სამუშაოდან და ჩვენ დაკვტიესო, მერე ფიშმან გავხდით, აი კიდი ჰაი რათ გვინდიდა ჩვენი პირით ბელა ვნახეთ არ გვეთქვა და არ დაგვტევდენო. ჰაქიც არ ვიცოი ისე მიქექეცო, მემრე ფიშმან გავხდითო.

ავიდარი, რომ მიეშალა

ქარმა დეინყო ფუკუნო,

ჩემი ფეხით რომ დავდივარ

გამჩენელ ღმერთს შუქურიო.

ძლის გამოსარჩევათ რუმ წევდოდა მაჭანკალი გაბოგევდა ჯოხს, ესტუმრებოდა ჯოხს გაბოგევდა რუმ რომ შამუა ი ვინცხანა ითხონ თუ გადახტა და გეიარა წევდა იმა არ ითხოვდენ, გეიარდენ წევდოდენ, თუ ასწევდა ჯოხს და ისე გეიარდა, ო კაიაო და შუდგებოდენ საქმეს.

დედამთილო კარში გამოი,
ჩაიბარე შენი რძალი,
ავი თვალით თუ შეხედე
ძალღმა გახრას შენი ძვალი.
დედამთილო კარი გაღე
ჯეიზად მომაქე მაქინაო.
ქალობას თუ ვერ ვიზამ
დემემდურე მაშინაო.

შენი მაქინაი მე რად მინდა
მძულს მაგისი ხრიალი.
მე ისეთი რძალი მინდა
ყანას დეინცოს ფრიალი.

მე ყანაში როგორ ჩავალ
ჩაი შექრით ვარ გამოზდილი.

ჩაი შექერი შენ გიზიდო,
შენ გაგასუქო ჭამაში.
ოი რა ტყვილაი დიმიხარჯავს
ოცი იელეგი ყუმაში,
ტანზე, ფეხზე არ დაგაკველ
ვალი დევდევ ხულაში.

მთქმელი: თამარ კახაძე, 69 წლის.

ახლა ვინ იცის რათვერ უაზროებს გეტყვი და რავიცი მე გეტყვი და თქვენ შიასწორეთ
მაჭანკლის მეშვეობით რომ მოხდებოდა შეთანხმება გოგოსა და ბიჭს შორის
დაინიშნევდნენ მიქონდნენ სამკაულები, მერე გადაწყდებოდა როის იქნებოდა დიდი
ნიშნობა. ამ ნიშნობის მემრე პატარძალს ეფერებოდა შინავრები. ძირითადად
ჩუქნიდნენ სამკაულებს, ჩაცმულობიდან ყველანაირს პარფუმერიის ჩათლით.
დიერქმებოდა ქორწილი, წევლოდა მაყარი ათი დადით, მისი მეფის ერთაი.
დედოფალს გეყვანდნენ გარეთ, არა შემცდა გადუსვი მაგას ხაზი. ეს სიძეი შევლოდა

ოდაში მომზადებული დედოფალს დელოდებოდა ოთახში, ნამდვილად ასე ვიყავ მე. მოკიდებდა მამამთილი დოდოფალს ხელს და ჩაბარებდა სიძეს, გადახურავდენ ზეიდან უჩინარ ჩადრს, ვერ ხედევდა დოდოფალი ჰად მიდიოდა, გეიყვანდა სიძეი მაშინაში ამ ჩადრით და წამოვდოდა წინ მოყვებოდა მაყარი უკნედან. როცა მოვდოდა დედოფალი ოჯალში დედამთილი დახდებოდა კალათით სამსე ტკბილეულით, გადაყრიდა ამ კამპეტს, ამ პერიოდში მამამთილი ჯვარედინათ დანებს გაკეთებდა შესასლელ კარებში, გატარებდნენ ამ დანებში დოდოფალს. რომ გადადგემდა დოდოფალი კარიზლულს წუგებდნენ ნაჭერს, დადგმევიებდნენ ფეხს გატეხიებდენ თეფშს. შეიყვანდა დედამთილი ხელმოკიდებული ფეჩიან ოდაში, დაკავნილი ხელში დედამთილი ხელში თათელსა და შეზელილ პურის ცომს ამ სობის ბორზე ასმევიებდა ჩასმევიებდა, მემრე გაფცქენიდა შიკოლატს ჯერ დოდოფალს დაკბენიებდა , მერე მეფეს და მერე დედამთილი მან შეჭამდა. ამის მერე დაუდენდნენ კრესლოზე ან სკამზე, კრესლო ჰა იყო მაშინ, სკამზე დაუდენდენ კალთაში პატარა ბავშვს ჩუყდუმლებდენ, ახდიდნენ ამ გადახურულ ჩადრს დოდოფალს ამ ბაღვს ჩამეიყვანდნენ ძირში მარჯვენა ფეხსაცმელში ექნებოდა ბლომად კაბიკები, გახდიდა ამულებდა ეს ბაღვი. რომ დაუდენდენ ან ბრინჯს გარჩევიებდენ ან სათს ჩუდებდნენ, რუმ ასე გარჩევილი აზრით გეკეთებია იმას გენილობა, ან საათივით ემუშავნა, გერჩია აზრი ჯკუა, ჰო აჰა იმასაც უდებდნენ იმასაც.

მაყარი წევდოდა პალატკაში შევდოდნენ დაუდებოდენ და წევდოდა ძველებური ქორწილის მხიარულობა.

მოქმელი: ეზელხ კახაძე, 83 წლის.

ანავ აბა დავუდებოდით ჰაცხა ნადში წევდოდით, ჰაცხა წევდოდით ფიჩხის მოსატანად მოგვიტანდნენ მაკარინას, უსკურაში ჩასხემდნენ დოს, ყველაი ამ უსკურიდან ვილებდით და ვჭამდით, თუ გინდა ოჯალი, ოჯახებშიც ისე იყო.

უნინ მე რომ მახსოვს პური არ იყო, ჭადი კეცის ჭადი. ბუხარში მივაყუდებდით კეც ჩაკრევდენ ჭადს, ეიდა ჯემტის რაცხა იყო მერავიცი, იმაზე დაყრიდნენ ნაკვერჩხალს მერავიცი, ო რა ჭადი ცხვებოდა...

თაზე მაგალითად სობაი არ იყო, ბუხარი დიდვან ემეს შურთევდით ქირიშებივით ხომორ-ხომორ ხიებს, ფუტი იღვა და იღვა, ახლა ძიგარას ვსვამ და იმა მიყვირიან.

თერთმეტი ვისწავლე და ორმოზდათვრამმეტ წელში დავამთავრე. ოთხი წელი აქ ვიარე და შვიდი დიოკნის, ოზდასამ წელწადაც ფოსტაში, ხან ტელეფონთან ვიყა, ხან ფოსტალიონათ. ასე დევკავებდით წიგნებს და წევდოდით, ჩანთები არ იყო, გვიკერავდნენ საქონელში წევდოდით და ზარმელ ჩავანყობდით, სკოლაში არ მქონდა. ფეხზე ქალამნები, ტუფლები იყო, ჰამა შეძლება არ იყო რომ მეყიდნა. შარვალი არ მქონდა რუმ ჩავსულიყავ და ტანკმა ემენ მეიტანა დიდი ტრუბა იყო და შარვალი არ მქონდა ჩავსულიყავ და დემენახა ტანკი.

მაჭანკლობით, ჰამა ჩემთვინ არ უკითხვან ესნა გითხუოთო, ანაე სოფელში აგერ იყო, ხანდიხან ევეპარებოდი ევდოდი. რაფერი ქორწილი და შალ-კასტომი არ მქონდა და რეჰმეთლული რიზო ტადამ ასე გძელი კასტომი მომცა. ქორწილზე მივდოდნენ მარტო ჭამა სმა, გარმონი სხუა დოლი რაცხა არ იყო. დედერონის კაბა მუტანე ქალ პირველი, ერთი სტეჟლოს კაბაც ვუყიდე. დაუდებოდნენ ერთ მაგიდაზე ერთ კაცი თაზე ერთი ქათამინა მიეტანა, თუ კაცი ერთ ქათამ შეშჭამდა, რუსუმ უძახიდენ ერთ მაგიდაზე ხალხი იყნენ და ქათამს მეითხოვდნენ მოგვიტანეთო, აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. შევჭავმდით მანონ და მანონ რუმ შეშჭამდი რუსუმ ველარ მეიკითხევდი. ადგებოდნენ მაგიდის ხალხი და წევდოდნენ. პალატკა რამე არ იყო, ოდიებში დანანილდებოდნენ, თუ სახში ადგილი არ იყო მეზობლის მეიდან ოდიებში დანანილდებოდნენ. პირველად მეიტანდნენ კორკოტ, პირველი საჭმელი იყო კორკოტი და ლუხუმი.

ემის ქორწილი იყო, თევრათ ემიია დაჰკიდეს და ცეცხლი მუნთეს და სინით ლუხუმი მიატანიეს და იმით გათავისუფლეს, ი წინასწარ გამზადებული იყო და სინით მეიტანდნენ.

სულ ნადში ვიყავ სამსმელოს ტყიებიდა ვზიდევდით, ვინცხაი წიგვიყვანდა ხმელ შეშას, ფეხზე ქალამნები, წიღები, ვინცხასთან მივდოდით საჭმელს გვაჭმევდნენ. ჰა იყო ვალინკა, ქალამნებით ტყეში ვიარებოდით, მოხვიდოდი ფეხები სველი. იშტა ვიყავით ჯამთელი მე რა ვიცი. ციგებით შეშას, ფიჩხზეც ვიარებოდით, წყავი ტანზე საქონელ ვაჭმევდით.

უნინ ბეტონის სახლი მოდაში არ იყო, ხის სახლი იყო, კაპილალური სახლები არ იყო მოდაში. მეიდან ოდიები გვექონდა ცალკე, მეიდან ოდა იყო სტუმრისა.

ერთი ჩემი და იყო, და მყავდა, ძმა არ მყავდა. მამინაცვალი მყავდა, ჰამა კაი კაცი იყო, კაი მამიობა გიმიწია.

ავდგებოდი დილაზე წევდოდით ერთად მოვდოდით ერთად. თიჩხი მენა მომეტანა, შეშაზე წევდოდით, მე-2 კლასში ვიყავ შეშა მევეტანე, ინა დემეხია, დემეპო, მეორე დღე ისევ წავსულიყავ, ძალიან წვალეებაში ვიყავით.

ეგ არ გიმიგონია, არ ვიცი. ჭო ისე ამბობენ ახლა მიწისძვრა რუმ არიო, ხარი თავ გაქანებსო, თევზზე დგას ხარიო, რაცხა ბუმი რაცხა მივა თავ გაქანებს და...

ცისარტყელას ჯერ ერთი ვერ გადახტები, ჯერ აქ არი, მემრე ეიქ, ბიჭი თუ ხარ გოგო გახდებიო.

კონინაი იყო და კარჭლი ფესვებშინა გიეძრუმლებია არ დიემართებაო.

ახალწელზე მაიღამაი ღვინო და ემენ არ იყო, სიმინდ მოვხარშევდით, თუ ვინცხაი მოვდოდა უჩუმარაი ლობია კაკლებ დუდუბდენ, ჭუჭულები ბევრი გამოვდნენო. საქონელს ხელ არ გუდუსევდით მატლ დაყრისო, კარგად მუარდით დღეს ახალი წელია და მაგრად გაძღენო, ჯაჭვს შამუარონიებდით ერთმანეთ არ მოშორდნენო. ოჯახში ტკბილეულობას ვეტანებოდით, ტკბილი წელწადი იყოსო.

ყანაში უმეტესად იყო სიმინდი. ოფიებს რაცხას ყართოფ დავთესევდით ხელით ვაკეთებდით, უმეტესად იყო სიმინდი. ლობიას ხაშარს დუსობდით, ლობიას ფასი და ხორცის ფასი ერთი იყო, ორნავეი სამი მანათი ღირდა.

აბა ემენ იყო ლამბის შუქი, პიჭკა არ იყო კვესაბედით ცეცხლს ვანთობდით, ქუებით ავანთობდით. აქ ნახშირზე ემეს დადებდნენ აბედას, უბერევდნენ ი გაღვივდებოდა ნახშირი, ლამბაი ეიქ იყო მაინც ვხედევდით. თაზე კუტი ლამბები გვექონდა, კუტი ლამბებს რაფერ ვაკეთებდენ, ჯეშტით აა ე რუმ პანაი იყოს იმა გუკეთებდით მარლას, პანაი ამოშვერილი იყო. იქიდან იქ აჰქონდა და უკიდებდით, მემრე გამოვდა ლამბები. მე სკოლაში ვსწავლობდი ქალი არ სწავლობდა, მე რუმ სკოლიდან მოვდოდი ჰისკენ არიან, ფისკერევანთ დიმინახევდა გეიქცეოდა. ესე იგი პირველად რუმ საქონელ

გუშვებდი ნამიანზე არ გუშვებდი რომ იბერებოდენ. რაღარი ავთანდილამ და მე ერთი ძროხა დაგვკალით ბოზავრელისა.

გო ეგ მაი დიგვიტიეთ და... ჯინჯრის შორვა ეგენი ახლაც არი, დონდოლო ისე იჭმებოდა რამე არ კეთდებოდა, აჯარკელაი კილო, იმა ხარშევდნენ და წო კეთდებოდა.

მთქმელი: ნაზი კახაძე, 64 წლის.

მერიკოი რაცხა ავათ არიო, ერთი კაკალი რაცხა გურბენენ ვერ ეიტანებენ. შენი ხელიო, შენ გულ გატკენსო, აჰა შემეზარა ამათი მილაგება და მომისწარ ჰამან. ეიქ ჩემ ემიას ემენ მომკდარა და მიგდებული მაქ ყური აქ მოჰყავან თუ არა.

ჯინჯრი შორვა რუმ გავაკეთე იმაზე ნაყურები ხარ? მრავალი სახის წვნიანი ვიცოდით, ისე მოტაფულიც ვიცოდით. ხორცეული იშვიათი იყო ყურბანს და დავკლევდით წელნადში ერჯელ იმა ვუზიარებდით ერთი-მიორეს. კარტოფილი იყო, კაპუსტო, ლობიას კონსერვი ზათი არ იყო. ნედლ ლობიას ასხემდნენ და გახმობდნენ ჩირივით, კერჩხი ლობიას ვუძახიდით. ძველი ლობიო სამნაირად კეთდებოდა, წვნიანი კეთდებოდა, ფხალლობიო და მესამეს ერქვა სირსვალი, მოხარშევდი და იალ-ხახვში შეჰკაზმევდი.

სპილენძის უსკურაი იყო, ძირითადი საჭმელი იყო ლობიაი. შავი ფხლიდან ფხალ ლობიაი კეთდებოდა და დუდი ფხალიდან, ფხალი და ყართოფი ერთად ფხლის შორვა იყო.

ეს სამასი წელი რუმ თურქეთი ბატონობდა ადათ-წესები ყვეილამფერი იქიდან არი შამორჩენილი, ერთი სამასი უნდა კიდევ რუმ გეინმინდოს.

დუდი ფხლიდან იალში და ხახვში შევკაზმევდით, ჩახრაკული ფხალი ერქვა, მეორე სახე იყო დუდი ფხალი მოხარშული, ადულებულ ძეს დასხემდი, კაკალ, ნიორ, მარილ ურთევდი ამოსანობელინა ყოფილიყო ერქვა სირსვალი.

კორკოტი რანაირი მნიშვნელობის საჭმელია იცი? ქორწილებში, ბაირამებზე, მევლუდებში აუცილებლათნა გაკეთებულიყო. კორკოტი, ხორცი ძირითადში ჰასუთა, ლუხუმი და კიდე ბოლოს ჩემ ბალვობაში შამოვდა ორმოზდაათიან წლებში სუთლი, საქონელიც არ ჰყავდნენ ხალხს, მოკრეფდნენ ძეს და გაკეთებდენ. ამომავალთან კაი სუთლი იყო, ძეში ვინცხაი წყალ არ გარევდა იმისა კაი სუთლიაო იტყოდნენ.

ქათმის ხორცს შამეინახავდნენ მეორე დღისთვის, მეგ რა იყო, მაქ რა იყო რაფერ იცი დიდი პატარაობა რომ იყო, დაუდებოდნენ ცალკე და მეითხოვდნენ ქათამს, მემრე ანდაზებს დარქვამდენ და თუ ვერ ამოხსნიდენ ქათამინა მიეტანეს ამფერი გასართობები იყო. დოდოთული რომ მოვდოდა, სიღერით მოვდოდა:

ქალი მოგვყავს ნათელი,

აგვინთევით სანთელი.

ქალი მოგვყავს ლამაზი,

დაგვიცალეთ გარბაზი.

რუმ მოვდოდა რძალი ეზოში, დაგებდენ იმას, ნაჭერს, დადებდა თეფშს და ისნა გიეტება, ერთი ფეხის შედგმითნა გიეტება, თუ ვერ გასტეხდა არ იყო კაი რამის მომასწავლებელი. ქალ პირი კი არ უჩანდა, ჩადრი ჰქონდა დახურული ჰა მიდიოდა ვისთან მიდიოდა კი არ იცოდა.

ვის ქონდა იმდენი თაფლი, თაფლი ესვა, პური ცომ მოზელდენ ჩამუასმევიებდნენ ბორბე, რამით ხან იყო აღარ მახსოვს, თაფლი მემრე შამეილეს. იტყოდნენ რაც ეს შამეყვავით წინ წამუელითო, თუ არ მუვდოდენ შავ ფეხაი დარჩაო. რძალ რუმ მიყვანდენ რამაზანი დასაკავებელი არნა მოჰყოლოდა, ვალით მოვდაო იტყოდნენ.

ახლა ქალობას რალა უნდა ნალდად რომ თავისუფლობარი, მე ვარ სამოზდარვა წელში მოსული და რამდენი რამე შეიცვალა იმა მემრე. სოფელში სამი ქალი ვიყავით კასინკებს რომ ვიხურევდით, სახჩი სილგები გვეხურა. მემრე ვინცხაი გამოსული ქალი იყო კაშნი გამოვდა და იმა იხურევდნენ, ბათხულში დიდვანი თავშლებინა დეგეხურა.

სკოლა საშვალო დავამთავრე მარა პირველად ოთხ წლიანი სწავლება შამოვდა. დედაჩემის თაობის ქალები ოჯახებში დადიოდნენ მასწავლებლები და ასწავლიდნენ, მემრე შვიდ წლიანი შამოვდა და მემრე გედევდა საშუალოზე.

ჩემი თაობის დროს ფორმები იყო, წიგნებს მე მაგალითად ვყიდულობდი, ჩემამდე სკოლა აძლევდა, მაშინ რა იყო წიგნების ფასი, კაბიკები იყო. სკოლები იყო საბჭოებში, საბჭოების მიხედვით გეიხსნა.

მაგა როის იტყოდნენ იცი მიწისძვრა რომ არი, ხარ ბუზი შუძრაო და თავი გაქანა და დედამინა გექანაო. შვიდმაისის წვიმა სხვათა შორის სამკურნალო იყო, თმის ამოსაყვანად.

კარჭლი ფესვში არ იცოდენ რახიტი რით იყო გამოწვევლი და სამჯელ გაძრუმლებდენ, ვითომ არიან იქ უხილავი არსებები და ბაღვი იქიდან შვებას ღებულობს, წამალს ღებულობსო.

რუმ შამოვდა ჩვენთან პირველათ, მანამდე იყო ლამბები, ჯერ ლამბები ჰა იყო, იტყოდნენ რომ ფეჩის შუქზე ვსწერთო და ისე ვსწავლობთო, თაზე იყო კუტი ლამბები, ბოთლში ჩასხემდენ ნევოს, გაკეთებდენ ფითილს, მეც ვაკეთებდი, ფეჩები არ იყო მემრე გამეიგონეს, ბუხარს ქონდა პატარა დასადგამი, ჩამოსადები და იქ იყო დადებული კუტი ლამბაი და იმით ნათლდებოდა ოდა.

სახლებს ჰქონდა სტუმრისთვინ, ცალკე კიბე, მოსაფირი ოდა ერქვა. ცალკე კიბე იყო შამოსასლელი იაზლოლი, იაზლოლიდან შეხვიდოდი მეიდანოდაში. მეიდანოლი ფეჩთან ლატუნის ტაშტი გვექონდა ი სულ გახეხილი, გაპრიალებულინა ყოფილიყო.

ახალ წელს ხდებოდენ როგორ: დილას ვინც მუასწრობდა წყლის შამოტანას, დილას ვინცხაი წყალზე მიასწრობდა ქვანა დიედვა, ახორში დულაპარიკებელინა ჩასულიყავ და ზენჯირინა ამოგერონებია ბაგიებში, ნაძვი ტან გუდუსვემდით გამბრავლდესო, სიმინდინა მოგეხარშა, ხაპინა გეგეტეხა და მოგეჩეჩებია კაკლები ბევრი ფარა მიგელო. ფერხება იყო, იმა კარგადნა შეხვედროდი რა იყო, რა იყო ვაშლის კამპეტი თუ გექნებოდა ყველაზე კაი შენ იყავ.

ოთხი-ხუთი გამრიგო რომ ვიყავით, დაცდა იცოდა დედაჩემის შილმა, დარქვეს რუმ მე არნა გიმიშვან და მე იქ მუსლელი ვერ ვქენ. დიმიყარეს სათამაშოები შექცესო და იაზლოლი კარიც დიმიკეტეს, დამწყრეველი ვიყავ, დიდი თოვლი იყო და ე დიდანაი მოვდა სტუმრათ და დიემწყრა. ახლა მიქცევენ კარი დიმიყარეს იაზლოლისა ჰადმე არნა გიმიშვან, ეი დადგნენ სალოცველად და მე გავაღე კარები, დეფნიდან გადავხტი და წაველ, მუელ მცემეს.

თაზე გაბარგვიხან რა იცოდენ იცი რაცხამდენ სულ გამუშვებდი იმდენი ქუანა შეგეტანა და ჩეგეყარა ბაგაში რუმ იმდენი დაბრუნებულიყენ უკან, არ შიეჭამა რამეს.

ნადობა იყო რანაირი იცი ჩემ დროზე მოლაში, ვინცხაი სახლ აშენებდა ნადინა გექნა, ვალდებული იყავ შენ თვითონ მეზობელი, ახლა ფარა მისცე არვინ მოგეხმარება.

მაშინ არტელობა იყო თუ ვინცხას თოხის დაკავნა შიქლო ნადშინა წასულიყო. აქ რუმ მუელ აქაც იყო ჩეჩვაზე ნადი, დართვა დეგერიგებიანა დიერთეს, გოგო გათხოვდებოდა ასი წყვილი წინდანა წიელო.

სიმინდის რჩევა იყო, ყირმიზ სიმინდ ვინცხაი ნახევდა იმა განთავისუფლებდენ, იმანა დიეძინა და ვინ მალე ნახავსო და ბელქი მე ვნახო, ბელქი მე ვნახოო და მასბაში ერჩეოდა სიმინდი, ჩქარა გერჩიეს ის იმისა იყო. თუთუნი ასხმაზე ნადობა იყო გაქანებული. სკლატში ავასხით თუთუნი და ბოძავრზე ემენ რუმ არი გამოთხოვლი, ე სკლატი გვექონდა და ე სახლს ვინცხაი იშენებს ამისი თუთუნი ჩაწოლილია და სულს ლათავს და გოგვებს ვუთხარ: მოი თვარიან ლამეში მოვკრიფოთ მეთქი და მეორე დღეს შუთვალე და ე კაცი გახელდა და მეორე დღე ე გოგვები მოვკრიფე ისევ შამოვზიდეთ და ავასხით.

ვარი რეკვა იყო ლამეი, ვარიანა შეგერეკა. ჩემი სარეცხი დღეი არ გარეცხილა, ლამეი გავრეცხევდი, წყალზე შუდგემდი, დილაზე ავდგებოდი ახორს მეგსაქმებდი იმა გავფენდი და სამსახურში ისე წევდოდი დიოკნის.

ანი მე თუ რამე ამტკივდებოდა არ მეგონა იმფერი შემძლე ვიყავ, ლობიი ხაშარ მე გავამზადებდი, დილასვე დიოკნის წასლამდე იმა დუსობდი და ისე წევდოდი, ახლა ქალობას რალა უნდა, გადვილდა, წყალი სახში არ იყო ეზოდანნა გეზიდა ახლა თიბილი წყლებია ყველგან სახლეფში.

ალისასა მალისასა,

შიგილოცავ თვალისასა,

ქრივსა ქალისასა

უი, აღარ ვიცი მაგა იქით.

დაქცნილისა მუსიკოსი,

შიგილოცავ რა არი შენი წამალი,

შავი ქათმის პოზანი

წოვსვი მაგრად და სამჯერნა შულოცო და უჰუ გუშვი.

ასკილ კუკულ ჯიმჯიმა,
მე ჭალაში მეძინა,
ქურთის გოგომ გამეიარა,
შოვხტი გამომელვინა

მთქმელი: ნაზიკო გობაძე, 60 წლის.

ჩემი შილი ისევ ჩემი დეიდაია, მე ემის გამორჩეული ვარ მაზლისა. გვედნენ კორტოს ვინცხა ციცას დასანახავათ და არ მოსწონდნენ, იმათ ვარი უთხრეს და ჩამოვდნენ დედიკოს სამშობლოს ამ ჩემა მაზლმა უთხრა მე გენილი გამორჩეული მყავსო, ჰამა ციცაი რას იტყვის არ ვიცო და მემრე გარიგებით თანხმობა იყო. ნიშნობა გვექონდა, ნახველი იყო, ბევრი მოვლოდნენ ორმოზდაათი-სამოცი კაცი მოვლოდა, დაჰჰაიყებდნ და მოვლოდნენ. საჩუქრები ბევრი იყოდნენ, მარტო ოქრო არა. სუ ყველაფერი მოჰქონდნენ. ნიშნობა რომ იქნებოდა, დეიდაშვილებზე, ბიძაშვილებზე სულ საჩუქრები მოჰქონდნენ. ისინი რომ რძალს ნახევდნენ რძალიც ჩუქნიდა: კაი პერანგს, წინდას, ფეშკირს, პლატოკს. კაცებს: საროჩკები, წინდა, ფეშკირი, პლატოკი. დანიშნული თუ დიდხანს დარჩებოდა მამთილი გენილს შუამთობაზე დაჰჰაიყებდა, გადაჰპატიყებე იყო, სიძესაც გადმეიჰპატიყებდნენ. როცა ქორწილი იქნებოდა, სამზადისი გოგოს მხრიდან ვეში მოჰქონდნენ: კუხნა, სპალნა, მდივანი... ვისაც რა შიეძლო. რძალი რომ შემოდიოდა სახში, კიბის ასასლელზე დედამთილი დახდებოდა თეთრ ნაჭერს დაგებდნ, თეფშს დუდებდნ და ინა გეტეხა. დიდი ვაზით კამპეტ გადაყრიდა, მთელ მექორწილეს გადაყრიდა, ი რა მოდა იყო არ ვიცო? თათლს ჩამუასმევიებდნ ფეჩზე, სათ ჩუდებდნ კალთაში, დროის ათვლესევეთ იყო, პატარა ბალანას ჩუყენდნ რომ იმრავლოსო.

ნადებში წავდიოდი: თუთუნის ასმაზე, სიმინდის რჩევაზე. ზამთარში: მატყლის ჩეჩვა, ვართევლით, ერთმანეთ მუტანდით მევეხმარებოდი ერთმანეთ დართვაში. მევლაგებდით ახორებს ადრიანაი და მივეხმარებოდი ერთმანეთ. ბებრუკებს, უილეტებს ვქსოვდით და კიდე თავშლებს ჩენგელ ჭალით, გამარტებამდე მარტის ჩათვლით ამ ამბებში ვიყავით. ვისაც თუ რძალი მოსაყვანი ჰყავდა დარუშკებს ვქარგევდით. ვინცხას რძალი მოსარჩენი ჰყავდა აკვნის თახუმს ვუძახილით ვაწყობდით.

ვინც ახალი რძალი იყო თავის ხელით გაქარგევდა პროსტინებს ბალიშებს, ზანავესკები ზოვლი ვიცოდით. ზანავესკა ფანჯარაში შუა ქვეი იყო გაქარგული, თეთრი ნაჭერინა ყოფილიყო, ძალიან ლამაზი გაქარგული. ნემსით გაკეთებული იყო ძალიან სასწაული. კრაოტებზე რომ გამოჩნდებოდა პროსტინის ბოლოზე უკეთებდენ ლამაზ გაქარგულ, პირსახოცებზეც ვქარგავდით.

სიმღერები, შაირები იყო რამდენიც გინდა დილაამდე. ზამთარში კაცები სულ შეშაზე ტყეში, ციგაი, ვინ რომელ დიდ ბოლკოს მეიტანდა, ვინ რომელ ბევრ დახველ ციგის ზომაზე, ფიჩხ მეიტანდნენ, სტეხდნენ საქონელს ვაჭმევდით.

ჩვენ დროზე ძალიან ძნელი იყო, დილაზენა ამდგარიყავ რძალი კარებინა გეგეხსნა, ვინც ლოცულობდა ლეგენი, წყალინა დეგედვა, ფეჩინა დეგენტო, პირველ რიგში კიბეს გადავრეცხევდი, რძალს ყველდღეი ეზონა დეგეგავა, ვინც მეოჯახე იყო საჭმელი-სასმელი გაკეთდებოდა. დალაპარაკება არ იყო, თორმეტი წელნადი ისე გევდა მამთილ არ ველაპარაკებოდი, მემრე სავატყოფოში წავყე და იშტა მაშინ დეველაპარაკე.

ზამთარში საოფელი გუგუნებდა, ზოგი ვინც რომ მელექსე და ამფერი ხალხი იყო მეიპატიუებდენ, მაშინ გახსენდებოდენ რძლების დაპატიუება, დეინყობდნენ სოფლი კიდურიდან გევდოდენ სოფლი ბოლოზე, რომ სოფელ გაცნობოდა.

რძალი რომ მოვდოდა ბევრი საჩუქარინა მიეტანა, განსაკუთრებული საჩუქვარი, ან ნაყიდი ან მისი ხელით გაკეთებული.

მე ბებიანი მყავდა ასი წლის და ბალვებ მოგვამზადებდა წინასწარ, შვიდ მას რომ განვიმდებოდა კაი მოსავალი იქნებო, უმისოთ ხომ უშლიდენ, მაშინ გაგზავნიდენ, ბევრი დავადება იყო და ეჭვენაი გედეიტანსო, თუ არ განვიმდებოდა იტყოდენ ჭირიანი წელი იქნებო, არც ბალნებში იქნება სიჯანთელე და არც მიწაზე მოსავალი.

ძველი სტილის ნათქვამი იყო, როცა ცისარტყელა იქნებოდა ბალვებს გაგვაფთხილებდენ პირს ნუ გახსნით მერიდეთო, იგიმჭრელდება დიგიჭირიანდებაო. ბიჭებს გაფხილებდენ არ გადახტეო, ზოგი იტყოდენ იმა არნა გადახტე უშვილო დარჩებიო.

ადრე ვიცოდი ფიფინაი, ის რაფერ კეთდებოდა იცი ჩემმა დიდანამ იცოდა ამ ფიფინას გაკეთება, კარაქ დავწვავთ, ბლომათ ხახვი, მოვთუშავთ კარქათ, ტომატი არ ნა ვქნათ ზაფრანაი, ხმელი ყვავილია, ხმელი სურნელები, ცოტა წყალი, ერთი კოვზი ფქვილი და გამოფქვილი კაკალი ბლომად და რომ მოშუშდებოდა, ქათმის ხორცი დაცინქელი, ერთი კაი დიდი ჯამითნა ჩაყარო შიან, ერთი ხუთი წუთის მერე მიტან მაგიდასთან. კილო ქალაჯოს ვაკეთებდით აჩმი შორვას, შავ ქლიავის ჩირს გავაკეთებდით და გავჩირევდით, მოვხარშავდით კარქათ სამტკიცავში გაცრილ ჭადი ფქვილ ვურთევდი, ერთი მუჭა შაქარი, კაკალი. სამტკიცავი სულ სუფთა საცერი. ამ სამტკიცავში ვსცრიდით ხმელ სურნელებს: ქინძი, უცხო სურნელი, ჭარხლი ბალახს ვუძახიდით.

ნადულს ჩავდებდით კასრულში, დავასხემდით წყალს, გამომცხვარ ჭადს დავუშნიდით და ჩავჰყრიდით, მოვხარშავდით კარგად, მარილსაც ვურთავდით, ნიორი და ცალკე დავწვავდით კარაქს და კარგად ბლომად და დავასხამდით.

ვიარებოდით და რამდენი საქონელი წაჰყავდა, რამითი სულისა, ოთხი-ხუთი რიგი საქონელი გვყავდა. წასლიხან ყველაფერს ვამზადებდით, უკან ჩამოსასლელი არ ვყოფილიყავით, მაღაზიები არ იყო და წამწუთ ასლა ჩამოსლა არ იყო ბევრი რამენა წეგველო. კილო შუამთობაზე ვინც ამბარე გვყავდა იმათი ხალხიც გვესტუმრებოდნენ. დედმამიშვილები რომ მოვლოდენ ცხვარ დავკლევდით, ხან ერთად იქნებოდენ, მეორე დღე მეორესთან გედევლოდენ. მემხლიან ვუძახიდით, ცეცხლ დანთობდენ პაბრიშკებით, ცეკვა, მუსიკა, დოლ-აკარდიონი ქუხდა. გადმობარგვიხან ძინალებას მუადულებდით, იაღლი პურ გამუაცხოვდით, პაჩენიებს. ახალ პატარ-პატარა დაგორგვალეხულ ნადულიდან გაკეთებულ ყურუთებს ჩამეიტანდა დედამთილი.

რომ ჩევბარგე ლანჩხუთში ასნია პასტა და იმდენი ლექსი დუნერა რა ვიცი.

რომ ჩამეზბარგოდით დედამთილი კასრულით ჩამეიტანდა, სკოლაში რომ ბაღნები მიდიოდენ და არიგებდა ამ პაჩენიებს, იაღლი პურს, პანჯან ყურუთებს.

მე რომ სკოლაში ვსწავლობდი პასტები არ იყო, მელანი და კალმები იყო. პასტა მემრე შამოვდა ათი წელწადი ვისწავლე. წიგნებს სკოლაში მოდიოდა გვირიგებდა

მასწავლებელი, გაზაფხულზე ისევნა ჩეგებარებია. ფორმებს ჩვენ ვყიდულობდით, კაბები გვქონდა, ყელსაბამები, ფარდუკები, პიონერი ვინც იყო ყელსახვევინა ჰქონოდა.

ძინალებას გაკეთება. დასწავანა ნალები, მერე ჩავასხამთ ცოტა რძეს, ჭადის ფქვილი სუფთად გაცრილი. გავსნათნა ცალკე და ნალებში, ფეჩზე დადებულ ქვაბშინა ვასხათ, პირდაპირ არნა ამუკიდო და მემრე მუაშუშვო.

ფხალ ლობიას კაკალ ლობიოს მოვხარშავთ, ფხალსაც ცალკე, შავი ფხალი უნდა, დუდი ფხალითაც აკეთებენ, ჰამა შავ ფხლით უმფო გემრიელია, ამა გადურევ ერთმანეთში და საკაზმავი არის ნიორ, კაკალი, პიმპილი, ხმელი სუნელები, მარილი.

ადრე უფრო ხახვს ვთესევდით, იმდენი ხახვი მოგვყავდა ჰამანდა წლიდან წლამდე გვყოფნიდა. ქონდარი და ტარხუნა ისეც გვქონდა. ქონდარი ბელლეთი კილდიებში სამსე იყო. ზაფრანაი ძალიან ითესებოდა. ხმელ სურნელებს სახჩი ვამზადებდი.

ყავისთვინ ვფქვევდით ქერს, იმა გადავარჩევდით, მაგრად მოვხალავდით და წისკვილში დავფქვევდით ვინცხას ბევრი ჰქონდა, მაგას ამბობდენ მუცლი ტკივილისთვინ ძან კაია.

ბაღებს ჰაცხა წაყვანა იქნებოდა ვახვევდით ხოჩიჩში. ჩავაცვემდით ლამაზათ და ადიალში მოვხოჩიჩებდით, ხასათ ჩამთბარი იყნენ, სამშობლოს წევდოდით წევყვანდით. ზამთარში მამთილი სამშობლოს წეყვანდა დურქვემდა დროს, მემრე დედ-მამა მეყვანდა. თუ გინდოდა წიდას მოქსოვდი, ბევრმა იცოდა ხელსაქმარის გატანება. დედამთილი მყავდა, ოღონდ დამუდარიყო იმდენს მოქსოვდა იმდენს...

თორმეტ წელწად არ დავლაპარიკებივარ და ჭამა რალარი.

სახლი პირველი შესასლელი ოთახი იყო სტუმრის ოთახი, ქალები არ შევდოდენ, საჭმელს გაკეთებდნენ კაცები შეიტანდნენ.

მე ახალ მოსული ვიყავ, მანთილმა მეყვანა რაიონიდან ხალხი, ლამაზად, კულტურულად საჭმელი გავაკეთე ხემზიმ შეიტანა, ლოგინებიც მან გუსწორა. ლეგენი იყო, ხელშინა დეგეკავნა, პანაი სპილენძის გუგუმები იყო და იმითნა დეგებანებია სტუმარზე ხელები. რომ მივე პირსახოცი რაიონის კაც გუკვირდა და ეს რა ლამაზი პირსახოციაო და ხელები არ შეიხოცა და ხემზიმ უთხრა ჩემი მეუღლის დაქარგულიაო და დილაზე დიმიბარა შენ შიგიძლია რომ გაქარგო და გამოთენა გაკეთოო? მაშინ არ

იყო ასე გენილის გაშვება და მაშინ დედამთილ მამამთილი განაგებდა ოჯახს, ადექ ამდგარიყავნა, დაჯექ დამუდარიყავნა.